6033/2 13828
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№025 (12 095)
1 თებერვალი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ტრანსფერები 2007

## ფანჯრის დახურვამდე

ბოლო დღის მთავარი გადასვლა:

## უეფამ მასკერანო ლივერპულში გაუშვა 6

ბოლო დღეების ყველა ტრანსფერი



## დამნაშავეა საქართველოს ნაკრები

ოფიციალური ვერსია

გოგიტა გოგუას ტრანსფერი ქვეყნის მთავარი გუნდის დაბალმა რეიტინგმა ჩაშალა, ყველა გზა ისევ რუსეთისკენ მიდის 3

## იზრუნეთ ნაკრების რეიტინგზე!




ისევ რონალდოზე

## თუ რამე გაწყენინეთ, ბოდიშს გიხდით 7

ინტერის ფანებმა ფენომენს სასტიკად დასცინეს

## ავიღეთ პოლტავა და ავედით კარპატებზე

დინამომ და ზესტაფონმა უკრაინული კლუბები აჯობეს 2



დინამო-ვორსკლა. სანდრო კობახიძე (მარჯვნივ)

მოგითხრობთ ვლადიმერ სტეფანია

## ევროპელი ამერიკაში

თემა საკითხავში 16



სამწვრთნელო ძვრები ბუნდესლიგაში

## დესაპოტი გააგდეს, გენერალი დაბრუნდა





დიდი ამბები მიუნხენში 6

## ჰიტცფელდი ისევ ბაიერნში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლუბები მეორე წრის წინ. ამხანაგური მატჩები

დინამო

# უგრინმა პოლტავა მოილია



ვორსკლას შეტევა. დინამოს მცველებს იაშვილიც (9) ეხმარებოდა

**დინამო-ვორსკლა 2:0**

1:0 მერებაშვილი (26. იაშვილის პასით), 2:0 ხმალაძე (67. დილმელაშვილის პასით).

დინამო: ლორია, შ. კაშია, გ. კაშია კრშკო, თომაშვილი, ფეიქრიშვილი, ხმალაძე, დილმელაშვილი, კობახიძე, მერებაშვილი (30. ხუციშვილი), იაშვილი. მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: გრიშიკაშვილი, ნოზაძე, ჯანაშია, დოს სანტოსი, დვალი.

თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" გუშინ მორიგი მატჩი გამართა. **დუშან უგრინის** გუნდი უკრაინის უმაღლესი ლიგის კიდევ ერთ წარმომადგენელს, პოლტავის "ვორსკლას" დაუპირისპირდა. სხვათა შორის, "ვორსკლა" უკვე კარგა ხანია, თურქეთში ემზადება და გუშინდელი მატჩი მათთვის რიგით მეექვსე მატჩი იყო. ამ დროის განმავლობაში პოლტაველებს თამაში არ წაეგოთ და მხოლოდ ერთი ბურთი გაეშვათ.

თბილისური კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძის** ცნობით, მატჩი სწრაფ ტემპში წარიმართა. დინამოელები კარგად გამოიყურებოდნენ და შეცდომები, პრაქტიკულად, მინიმუმი იყო დაშვებული. შესამაბისად, ამ თამაშში "დინამო" დომინირებდა. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმში იყო საგრძნობი.

საწყის 45 წუთში "ვორსკლას" კარს **ხმალაძე, იაშვილი, მერებაშვილი** და **ხუციშვილი** დაემუქრნენ, ანგარიშის გახსნა წილად მერებაშვილს ერგო. 26-ე წუთზე ხმალაძემ დასწრებაზე კარგად ითამაშა, იაშვილი მოძებნა, რომელმაც მერებაშვილი დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა და 1:0.

შესვენების შემდეგ სახიფათო მომენტები ორივე კართან შეიქმნა. **ჯანაშიას, თომაშვილისა** და ხუციშვილის სახიფათო დარტყმებს შედეგი არ მოჰყოლია. 67-ე წუთზე **დილმელაშვილმა** ბურთი საჯარიმოში ჩაკიდა, იქ ყველას ხმალაძემ დაასწრო და თავური დარტყმით ანგარიში გაზარდა - 2:0.

როგორც ხედავთ, მატჩში ავსტრალიის ნაკრების ყოფილ მცველ **ნედ ზელიჩს** არ უთამაშია. მას მიკროტრავმა აქვს, ინდივიდუალურად ივარჯიშა და მწვრთნელებმა აუცილებლად არ ჩათვალეს ამ შეხვედრაში მოედანზე მისი გაყვანა.

ხვალ "დინამო" ლვოვის "კარპატის" დაუპირისპირდება.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# აშვეთია და ლომაია კიოლნში

საქართველოს ნაკრების წევრებსა და მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე "კარლ ცაისის" ახალწვეულებს, **მიხეილ აშვეთიასა** და **გიორგი ლომაიას** კიოლნში თამაში შეუძლიათ. გუშინ ამ შინაარსის ცნობა გაავრცელა იენელთა კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა. ორივე ქართველის სატრანსფერო ფორმალობა საბოლოოდ მოგვარდა და მათ უახლოეს ტურში, "კიოლნთან" სტუმრად თამაშის უფლებაც აქვთ.

უკვე გაცნობეთ, რომ რეგიონალლიგურ "აილენბურგთან" გუშინწინ გამართულ ამხანაგურ მატჩში "კარლ ცაისმა" 2:1 მოიგო. ტაიმის მიწურულს აშვეთიას ფეხში ძლიერად ჩაარტყეს და ჩვენებურს მოედნის დატოვება მოუწია. როგორც გუშინ გაირკვა, ფორვარდის ტრავმა სერიოზული არაა და ის მალე შეძლებს ვარჯიშს.

*"აშვეთიას მდგომარეობა, რომელსაც სამშაბათს, " აილენბურგთან" გამართულ მატჩში ფეხში ჩაარტყეს, საიმედოა. ექიმთა მტკიცებით, მიხეილ აშვეთიას მხოლოდ მიკროტრავმა აქვს და ერთი დღით დაასვენეს. საქართველოს ნაკრების ფორვარდი ხუთშაბათიდან, 1 თებერვლიდან ჩვეულებრივ განაახლებს წვრთნას და "კიოლნთან" თამაშსაც შეძლებს"*, - გვამცნობს "კარლ ცაისის" ვებგვერდი.

ეს ინფორმაცია თავად აშვეთიამაც დაგვიდასტურა და გუნდის მთავარ მწვრთნელ **ჰაიკო ვებერთან** მოკლე საუბრისა და საერთოდ, იენელთა გუნდის შესახებაც გვითხრა.

*"ვებერს ძალიან გაუხარდა. ცერა თითი ანია, ჟესტით შემაქო და მითხრა, ასე გააგრძელე მეორე ბუნდესლიგაშიც მალე უნდა გაიტანო ოფიციალური გოლიო...*

*რასაც ვუყურებ, აქ იოლი სათამაშო არაა. სწრაფი და ხისტი თამაშია, მაგრამ ჩვეულ ფორმაში შევალ და მალე ავუღებ ალღოს. "კარლ ცაისი" ცუდი გუნდი არაა. ჩემი და ლომაიას გარდა, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატეს და ვფიქრობ, ლიგაში ადგილის შენარჩუნებას შევძლებთ. შაბათს კიოლნში მივდივართ, კვირას თამაში გვაქვს, მატჩის შემდეგ კი თბილისისკენ გამოვფრინდებით და თურქეთთან მატჩისთვის ეროვნულ ნაკრებს შევუერთდებით"*, - გვითხრა მიხეილ აშვეთიამ გუშინ გერმანიაში დაკავშირებისას.

**დავით ცაბაძე**

# შოთა მსოფლიოს მეოთხე მეგოლეა



შოთა არველაძე

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFF-HS) მოქმედ ფეხბურთელთა შორის საუკეთესო მეგოლეთა რეიტინგი გამოაქვეყნა. ამ რეიტინგში ჩვენი თანამემამულე **შოთა არველაძე** მეოთხე ადგილზეა, ქართველ ფორვარდს ეროვნულ ჩემპიონატებში 415 მატჩში 259 გოლი აქვს გატანილი. შოთაზე წინ მხოლოდ სამი ფორვარდია: **რომარიო** ("ადელაიდა", ბრაზილია, 486 გოლი), **ხოსე კარდოსო** ("ოლიმპია", პარაგვაი, 316 გოლი) და **ხუან კარლოს პლატა** ("მუნისიპალი", გვატემალა, 271 გოლი). აღსანიშნავია, რომ 200 და მეტი გოლი მსოფლიოში სულ 26 ფეხბურთელს აქვს გატანილი. თურქი **ჰაქან შუქური** (256 გოლი) მეექვსე ადგილზეა, **ჰენრიკ ლარსონი** (237 გოლი) - მეცამეტეზე, **ჟარდელი** (228 გოლი) - მეჩვიდმეტეზე, **რონალდო** (220 გოლი) - მეცხრამეტეზე, **რივალდო** (219 გოლი) - მეოცეზე, **როი მაკაი** (213 გოლი) - ოცდამეერთე.

ბათუმი

# აჭარლებმა კოლხას სძლიეს

## ნერგაძე, სომხიშვილი და ხოხონიშვილი ბათუმში?

მიმდინარე სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას "ბათუმი" მშობლიურ ქალაქში განაგრძობს. კლუბის დაფინანსების გაგრძელებაზე ნავთობტერმინალთან მოლაპარაკებები კვლავაც მიმდინარეობს. საკითხი თითქოს გუშინ უნდა გადაწყვეტილიყო დადებითად, მაგრამ წერტილი პრობლემას ჯერ კიდევ არ დასმია.

მიუხედავად ამისა, "ბათუმი" ვარჯიშობს და **ამირან გოგიტიძის** გუნდმა გუშინ ამხანაგური მატჩიც გამართა. ბათუმელები რეგიონულ ლიგაში მოასპარეზე ფოთის "კოლხას" დაუპირისპირდნენ და 3:1 მოიგეს. აჭარელთაგან **ვიტალი დარჩიძემ** დუბლი მიითვალა, ერთი კი **კერესელიძემ** გაიტანა. გასულ წელს თურქეთის პირველ ლიგაში მოთამაშე დარჩიძე მშობლიურ ქალაქში დაბრუნების შემდეგ, ისევ გუნდის ლიდერად მოგვევლინა.

ბათუმელებმა ამ შემადგენლობით ითამაშეს: **გეგეშიძე, აფშილავა, ლობჟანიძე, ღაღანიძე, დუმბაძე, შალამბერიძე, ცანავა, დარჩიძე, ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ვ. კვარაცხელია.** შეცვლაზე შევიდნენ: **ჯინჭარაძე, გალოგრე, ფარტენაძე, ბეჟანიძე, ტულუში.**

გუშინდელი საკონტროლო მატჩის შესახებ "ბათუმის" მთავარმა მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემ გვამცნო. მასვე დავეკითხეთ გუნდის მომავალი გეგმების შესახებ. როგორც ირკვევა, ბათუმელები მომავალი ამხანაგური მატჩის ჩატარებას, შაბათს, 3 თებერვალს გეგმავენ. გოგიტიძის თქმით, ქობულეთში მოსამზადებლად ზუგდიდი "მგლები", თბილისიდან კი "ლოკომოტივი" და "მერანი" ჩადიან და აჭარლები მათგან რომელიმეს გაეჯიბრებიან. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ "ბათუმი" მეზობელ თურქეთში გადავიდეს და რომელიმე იქაურ გუნდთან მოსინჯოს ძალები.

ზამთრის პაუზისას გოგიტიძემ რამდენიმე ფეხბურთელი უკვე მიიწვია გუნდში, მაგრამ მხოლოდ ამით დაკმაყოფილებას არ აპირებს და კიდევ სამი ფეხბურთელის დამატება აქვს ჩაფიქრებული.

*"მეკარე, საყრდენი ნახევარმცველი და მარცხენა მცველი გვინდა და ამ საკითხზე ვმუშაობთ. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და იმედია, ყველაფერი შედეგიანად დასრულდება...*

*თბილისის "დინამოდან" გიორგი ნერგაძის დამატება გვინდა. ეს ფეხბურთელი ძალზე წაგვადგება და იმედი მაქვს "დინამოს" ხელმძღვანელობასთან შეთანხმებას მივაღწევთ. ასევე, გვინდა, ლერი ხოხონიშვილის მოწვევაც, რომელიც ამ სეზონის პირველ წრეში "ოლიმპში" ასპარეზობდა. რაც შეეხება მეკარეს, ალბათ გიორგი სომხიშვილს დავაბრუნებთ გუნდში"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ამირან გოგიტიძემ.

**დავით ცაბაძე**

ზესტაფონი

# გამარჯვება კარპატისთან

**ზესტაფონი-კარპატი 3:0**

1:0 იონანიძე (14. პენალტით), 2:0 იონანიძე (55), 3:0 საჯაია (68).

ზესტაფონი: ჭანტურია, ს. თოდუა, რ. ონიანი, სანტოსი, ჟონატასი, კ. ჩხეტიანი, გ. ჭელიძე, საჯაია, ნ. კვასხვაძე, ვიეირა, იონანიძე. მეორე ტაიმში შევიდნენ: რ. კვასხვაძე, ლეანდრო, ბ. ნოზაძე, ბენაშვილი, ხიდეშელი, პარამონოვი, ჯანელიძე.

"ზესტაფონი" თურქეთში, მოსამზადებელ შეკრებას განაგრძობს. **თემურ მახარაძის** გუნდი გუშინ ლვოვის "კარპატის" დაუპირისპირდა და დიდი ანგარიშით 3:0 მოიგო. ლვოველებმა აქამდე სამარის "კრილია" 2:1, სპლიტის "ჰაიდუკი" 2:0, ხოლო კრაკოვის "ვისლა" 2:1 დაამარცხეს. ზესტაფონელთა გუნდი კი "კარპატისთვის" გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა.

კლუბის პრესატაშე **სერგო ფუტკარაძის** თქმით, მე-14 წუთზე **ზურაბ იონანიძე** უკრაინელთა საჯარიმოში წააქციეს. პენალტი თავად დაზარალებულმა აქცია გოლად. მეორე ტაიმში, კერძოდ 55-ე წუთზე, იონანიძემ დუბლი მიითვალა და ორამდე გაზარდა ანგარიში. მესამე გოლი კი **ედიკ საჯაიამ**, 68-ე წუთზე შორეული დარტყმით გაიტანა.

ბუნებრივია სერგო ფუტკარაძეს ბრაზილიელი ახალწვეულების. **ლეანდროსა** და **ჟონატასის** თაობაზეც დავეკითხეთ. მისი თქმით, ბრაზილიელებს მწვრთნელები ჯერ კიდევ აკვირდებიან და საბოლოო სიტყვასაც მალე იტყვიან.

დაბოლოს, მოსკოვის "ლოკომოტივთან" ამხანაგურ მატჩამდე, რომელიც 6 თებერვალს გაიმართება, მახარაძის გუნდი მანამდეც, 3 თებერვალსაც გეგმავს საკონტროლო მატჩის გამართვას. მეტოქის ვინაობა ჯერ კიდევ არაა გარკვეული. ფუტკარაძის თქმით, 3 თებერვალს ზესტაფონელები, სავარაუდოდ, რუმინეთის ან ბელორუსის ერთ-ერთ გუნდთან მოსინჯავენ ძალებს.

**დავით ცაბაძე**

# ჩხეტიანი ჰარტბერგში ითამაშებს

პირველი, ვინც გრაცის "შტურმიდან" **დავით მუჯირის** წასვლის შემდეგ ავსტრიაში ითამაშებს, **გივი ჩხეტიანია**. მაგრამ, მუჯირისგან განსხვავებით, ის არა ბუნდესლიგაში, არამედ მის მომდევნო პირველ ლიგაში ითამაშებს. ჩხეტიანი, რომელიც მიმდინარე სეზონის პირველ წრეში ქუთაისის „ტორპედოში" იყო განათხოვრებული, ავსტრიის პირველი ლიგის ბოლოადგილოსან "ჰარტბერგთან" ექვსთვიან კონტრაქტს გააფორმებს.

სხვათა შორის, გივი ჩხეტიანი უკვე რამდენიმე დღეა ავსტრიაშია და "ჰარტბერგის" რიგებში ამხანაგურ მატჩებიც ჩაატარა და გოლი და საგოლე პასიც მიითვალა.


# ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

ფანკლუბის ტურნირი მინი-ფეხბურთში - გამარჯვებული გუნდი ლიტვაში!

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ოფიციალური ფანკლუბი ატარებს ფან-კლუბის წევრების ტურნირს მინი ფეხბურთში, რომელიც 1 მარტს დაიწყება და თბილისსა და ბათუმში ჩატარდება.

ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ფანკლუბის საიდენტიფიკაციო ბარათის მფლობელებს, ანუ გუნდის ყველა მოთამაშე აუცილებლად უნდა იყოს ფანკლუბის წევრი. გუნდის შეკრება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, როგორც თბილისელს, ასევე რაიონში მცხოვრებ გულშემატკივარს.

გუნდს აქვს უფლება, ფანკლუბთან შეთანხმებით, ჰყავდეს სპონსორი, რომელიც უზრუნველყოფს მის პირად ხარჯებს (მოთამაშეების გაწევრიანებას, გადაადგილებას და ა.შ).

თბილისა და ბათუმში გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან სუპერფინალში. ტურნირის მთავარი პრიზი ლიტვა-საქართველოს ნაკრებთა შორის ევრო 2008-ის შესარჩევ შეხვედრაზე დასწრებაა! მატჩი 2 ივნისს ლიტვაში შედგება.

განცხადებები მიიღება 20 თებერვლამდე.

დაგვიკავშირდით და მოგვწერეთ

ტელეფონი: 542-542; e-mail: geo_fanclub@yahoo.com


გოგიტა გოგუა

ჩაშლილი ტრანსფერი

# დამნაშავეა საქართველოს ნაკრები

## ტრანსფერი რეიტინგმა ჩაშალა

**გოგიტა გოგუას** ტრანსფერი შოტლანდიის "ჰართსში" საბოლოოდ ჩაიშალა. ქართველმა ფეხბურთელმა ჯერ კიდევ ედინბურგში ყოფნის დროს "ლელოსთან" საუბარში შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ბრიტანეთში შრომის ვიზას უყოვნებდნენ. მას მოქმედი წესი აფიქრებდა: შოტლანდიისა და ინგლისის პრემიერლიგის გუნდებს ეკრძალებათ არა მარტო ნაკრების მილმა დარჩენილი არაევროკავშირელი ფეხბურთელების, არამედ მათი აყვანაც, რომელთა ეროვნული გუნდები ტრანსფერამდე ბოლო ორი წლის განმავლობაში ფიფას რეიტინგში 70-ე ადგილზე დაბლა არიან.

თუმცა, გოგიტამ შოტლანდიის ვიცე-ჩემპიონ "ჰართსში" ივარჯიშა და დარჩენას დიდი იმედიც ჰქონდა. წინასწარი შეფასებით, ყველაფერი კარგად იყო და მაინც...

ვიზის მოლოდინში, გოგიტა საქართველოში დაბრუნდა და სამი დღე ელოდა პასუხს. სამწუხაროდ, ბრიტანეთის სამეფოს შრომის სამინისტრომ გოგუა უარით გაისტუმრა და საერთაშორისო ტრანსფერების დახურვის დღეს, 31 იანვარს 23 წლის ქართველი ნახევარმცველი ისევ უგუნდოდ დარჩა!

გოგიტას შეშფოთება საფუძვლიანი რომ იყო, შოტლანდიური სააგენტოებიც ადასტურებენ. მათი ცნობით, შრომის სამინისტრომ ფეხბურთელს უარი სწორედ საქართველოს ნაკრების დაბალი რეიტინგის გამო თქვა.

ისე, უცნაური ისაა, რომ ეს მხოლოდ ახლა გახდა პრობლემა. როდესაც ფეხბურთელს იწვევდნენ, ნუთუ ამ წესის შესახებ "ჰართსში" არაფერი იცოდნენ?

თუმცა ჩვენგან უფრო უპრიანი იქნება კითხვა შემოვატრიალოთ და ქართული ფეხბურთის დღევანდელი მდგომარეობისა და დაბალი რეიტინგის მიზეზებზე ვისაუბროთ, თორემ გულნაკლული, შეიძლება, კიდევ ბევრი ქართველი დარჩეს.

*„ჩემი ტრანსფერი „ჰართსში" საბოლოოდ გამოირიცხა. სამწუხარო ფაქტია, ევროპაში მინდოდა თამაში, მაგრამ არა უშავს. რაც შეეხება ჩემს მომავალ კარიერას, პრობლემას ვერ ვხედავ, რუსეთის ჩემპიონატის რამდენიმე გუნდიდან მაქვს მიწვევა და საბოლოოდ საუკეთესო ვარიანტს ავარჩევ"* - განაცხადა ფეხბურთელმა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ორი მატჩი და მხოლოდ კანდელაკი


ილია კანდელაკი

გუშინ ოდესის "ჩერნომორეცმა" თურქეთში ორი საკონტროლო მატჩი გამართა. უკრაინული კლუბი ჯერ აზერბაიჯანულ "არაზს" შეხვდა და 1:1 ეთამაშა. ამ მატჩში "ჩერნომორეცის" ქართული ტრიოდან არავის უთამაშია. რამდენიმე საათის შემდეგ ოდესური კლუბი მოსკოვის "ტორპედოს" შეხვდა. ამ მატჩში ქართველთაგან **ილია კანდელაკმა** ითამაშა, მან 90 წუთი დაყო მოედანზე.

ეროვნული ნაკრები. თურქეთთან მატჩამდე

# ექვსნი შეცვლაზე

თურქეთთან მატჩისთვის, **კლაუს ტოპმიოლერის** მიერ ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულ ოცეულს **ოთარ მარცვალაძე** გამოაკლდა. საერთოდ ამ ფეხბურთელის გამოძახება უცნაურად მოგვეჩვენა, ის ხომ კარგა ხანია ტრავმირებულია, თუმცა... *"თავდაპირველად, როცა მარცვალაძე ნაკრებში იქნა გამოძახებული, ის მწყობრში არ ყოფილა, მაგრამ იყო შანსი, რომ ოთარს გამოჯანმრთელება მოესწრო. ნაკრების მწვრთნელებს ძალიან უნდოდათ თურქებთან მატჩში მისი გამოყენება. მარცვალაძესთან დღეს კიდევ მქონდა სატელეფონო საუბარი და უკვე ბოლო იმედიც აღარაა. ოთარი გამოჯანმრთელებას ვერ ასწრებს და 7 თებერვალსაც ვერ ითამაშებს"*, - გვითხრა ნაკრები გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ**.

ამ რამდენიმე დღის წინათ, "ლელოსთან" საუბარში "ალკმაარის" ფორვარდმა **შოთა არველაძემ** აღნიშნა, რომ ქრონიკული ტრავმების გამო, ამჯერადაც სთხოვს კლაუს ტოპმიოლერს ამხანაგურ მატჩში გაათავისუფლოს. როგორც ირკვევა, არველაძის ჩამოსვლა ეროვნულში სათამაშოდ საეჭვოა.

თუკი მარცვალაძის გარდა არველაძეც გამოაკლდება ნაკრებს, ბუნებრივია, უნდა მოხდეს მათი ჩანაცვლება სხვა ფეხბურთელებით. შესაძლოა, ეროვნულს "ფრაიბურგის" ფორვარდი **ალექსანდრე იაშვილი** დაემატოს, რომელმაც მეორე ბუნდესლიგაში, გასულ უქმეებზე ორი საგოლე პასი მიითვალა. ბოკერიამ ცნობა არ დაგვიდასტურა: *"ჯერჯერობით სანაკრებო სიას არავინ დამატებია. მწვრთნელების გადასაწყვეტია დაამატებენ თუ არა ვინმეს".*

თურქებთან ეროვნულის გარდა, ჩვენს B ნაკრებს, ე. წ. მომავლის გუნდს უნდა ეთამაშა. თუმცა, საბოლოოდ გაირკვა, რომ თურქ ახალგაზრდებს **რალფ მინგეს** გუნდი ანუ ახალგაზრდული ნაკრები დაუპირისპირდება. *"თავდაპირველად, თურქებს შევთავაზეთ, რომ თბილისში ეროვნული და B ნაკრებით ჩამოსულიყვნენ. მათ უარი არ უთქვამთ, მაგრამ მერე გვაცნობეს, რომ 21 წლამდელთა ნაკრებით მოდიოდნენ და ჩვენც 21 წლამდელებით გადავწყვიტეთ მათთან თამაში"*, - განმარტა ბოკერიამ.

აღსანიშნავია ისიც, რომ თურქეთთან მატჩში მწვრთნელებს შეუძლიათ 6-6 ფეხბურთელი შეცვალონ.

თურქებმა თბილისური ვიზიტის დეტალებში მცირედი ცვლილება შეიტანეს. მათი დელეგაცია 5-ის ნაცვლად 6 თებერვალს, დღის მეორე ნახევარში გვეწვევა. სტუმართა ეროვნული ნაკრები, რომელიც სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდება, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 19:30 სთ-ზე ივარჯიშებს. თურქთა ახალგაზრდული ნაკრები სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" დაიდებს ბინას და 18:45 სთ-ზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართავს წვრთნას.

7 თებერვალს, ჩვენი ნაკრების დარად, შესარჩევ ციკლში ჩვენს მეტოქე შოტლანდიასაც ამხანაგური მატჩი აქვს. **ალექს მაკლიშის** გუნდი ფინეთს უმასპინძლებს. საინტერესოა, ამ თამაშს ჩვენი ნაკრების სამწვრთნელო შტაბიდან ვინმე ხომ არ დაესწრება.

*"საქმე ის გახლავთ, რომ ფინელებს შოტლანდია B ნაკრებით ეთამაშება, თორემ ამ მატჩს ჩვენი წარმომადგენელი მართლაც დაესწრებოდა. ისე კი, შოტლანდიის ორი თამაშის (უკრაინასთან და ლიტვასთან) ფირი გვაქვს და შევეცდებით, ამ მატჩის ფირიც მოვიპოვოთ"*, - გვითხრა თამაზ ბოკერიამ.

დაბოლოს, ბრაზილიის ნაკრებთან თბილისური მატჩის ორგანიზების საკითხი კიდევ ერთხელ წამოიწია წინა პლანზე. საქმე ის გახლავთ, რომ 7 თებერვალს ინგლისის დედაქალაქში პორტუგალია ბრაზილიის ნაკრებს ეთამაშება და, შესაძლოა, სამხრეთამერიკელთა თბილისური მატჩის დეტალები ამ მატჩამდე გაირკვეს. ფედერაციის გენერალურ მდივან **უჩა უგულავას** თქმით, პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცის** ან ჩვენი ფედერაციის რომელიმე ხელმძღვანელის შეხვედრა ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტ **რიკარდუ ტეიშეირასთან**, ლონდონში სავარაუდოდ, 5 თებერვალს, შედგება. ბრაზილიასთან თამაში 22 აგვისტოსაა ნავარაუდები.

**დავით ცაგაძე**


თანაგუნდელები კობიაშვილი (17) და ალთინთოფი 7 თებერვალს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



საქართველოს ჩემპიონატში მსაჯობა რთული საქმეა

საფეხბურთო თემიდა საქართველოში

# მსაჯები მობილურებს მეორე წრიდან დაიბრუნებენ

მას შემდეგ, რაც ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილება **ამირან კაჭახიძემ** ჩაიბარა, წელიწადზე მეტი გავიდა. ამ სფეროში ცვლილებები მრავლად მოხდა, მსაჯობის დონე კი კვლავაც ვერაა იდეალური. აზრები ორად იყოფა. საფეხბურთო საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მსაჯთა კორპუსის გაახალგაზრდავება სწორი ნაბიჯი იყო, მეორე ნაწილის აზრით კი ძველი თაობის "შავოსნები" გაცილებით კვალიფიციურნი იყვნენ. კაჭახიძეს განვლილი პერიოდის შეფასება ვთხოვეთ.

*"მას შემდეგ, რაც მსაჯთა კორპუსის ხელმძღვანელობიდან ანატოლი მილჩენკო დიდი პატივით გააცილეს, ნოდარ ახალკაცმა ეს პოსტი მე შემომთავაზა. მოსაფიქრებელი დრო ვითხოვე, რის შემდეგაც თანხმობა განვაცხადე. მივიჩნიე, რომ საფეხბურთო სფეროში მუშაობის გამოცდილება სამსაჯო განყოფილებაშიც წამადგებოდა და საბედნიეროდ, დაკისრებულ ფუნქციებს თავს ნორმალურად ვართმევ"*, - აცხადებს კაჭახიძე.

პირველი საქმე, რისთვისაც მას ხელი მოუკიდია, მოქმედ მსაჯებზე ინფორმაციის შეგროვება იყო. კაჭახიძის გადაწყვეტილებით, ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მატჩებზე დამკვირვებელთა უდიდესი ნაწილი ვეტერანი მსაჯები უნდა ყოფილიყვნენ. მათ შორის ისეთი მსაჯებიც მოხვდნენ, რომლებმაც ამ საქმეს თავი სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელის შეცვლის შემდეგ დაანებეს.

ისიც გეხსომებათ, რომ შემცირებაში მოყოლილი მსაჯების უმრავლესობა კაჭახიძის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდა. სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელი ამბობს, რომ უმიზეზოდ არავინ დაუჩაგრია და მხოლოდ ის მსაჯები შეამცირა, რომლებსაც მუშაობის გასაგრძელებლად ან ასაკი, ან ჯანმრთელობა არ უწყობდათ ხელს, ანაც ნორმატივები ვერ ჩააბარეს.

*"იმ მსაჯების უმეტესობას, რომლებმაც კარიერა დაასრულეს, ჩვენთან კარგი ურთიერთობა აქვთ და ორ-სამ წელიწადში, სათანადო მომზადების გავლის შემდეგ, დამკვირვებლებად ივლიან. ასაკობრივ ცენზს რაც შეეხება, აქ გამონაკლისის დაშვების უფლება გვქონდა და გამოცდილ მალხაზ მაისურაძეს, რომელსაც ზღვრული 45 წელი შეუსრულდა, მუშაობის უფლება ორი წლით გავუხანგრძლივეთ"*, - ამბობს კაჭახიძე.

პრიორიტეტი ახალგაზრდებს ენიჭებათ, რომელთა შორისაც იგი რამდენიმე პერსპექტიულ არბიტრსა და ლაინსმენს ხედავს. შეაქო ლევან კვარაცხელია, რომელმაც დსთ-ის თასზე მაღალ დონეზე იმსაჯა.

კაჭახიძე იმითაც ამაყობს, რომ მსაჯების მოედნისმიერ ქცევასა და ვიზუალურ მხარესაც დიდი ყურადღება ეთმობა: *"ყველა მსაჯს დაევალა, რომ დანიშნულების ადგილზე კოსტუმით გამოცხადდეს და წვერი გაპარსული ჰქონდეს. ეს სულაც არაა წვრილმანი, სხვაგვარად მსაჯი ფეხბურთელისა და გულშემატკივრისთვის ავტორიტეტი ვერ იქნება".*

მსაჯთა ხელმძღვანელი იმ შემთხვევებსაც იხსენებს, როცა კლუბების ხელმძღვანელები ურეკავდნენ და ამა თუ იმ შეხვედრის მსაჯების შეცვლას სთხოვდნენ: *"მას შემდეგ, რაც ყველა მათგანი ცივი უარით გავისტუმრე, აღარ დაურეკავთ. მალე 7-7 მატჩზე ოთხეულები წინასწარ დავნიშნეთ, რამაც სავსებით გაამართლა. ამ სიაში ცვლილებები მხოლოდ იმ შემთხვევაში შედის, ესა თუ ის მსაჯი ავად თუ გახდა, დისციპლინარული სასჯელი მიიღო ან უცხოურ მივლინებაშია. არ ვიცი, რამდენ ხანს დავყოფ ამ თანამდებობაზე, მაგრამ რადაც უნდა დამიჯდეს, ქართული ფეხბურთის განვითარებაში ჩემი მოკრძალებული წვლილი უნდა შევიტანო. ჩემი ოპონენტები ხმებს ავრცელებენ, თითქოს მსაჯებს ვაშინებ და „ჩემს ბოზებს" ვუნოდებ. მსაჯებს კი არ ეშინიათ ჩემი, მე მეშინია მათი, რადგანაც მათ თითოეულ ნაბიჯზე მე ვაგებ პასუხს. მთავარი, რაც გაკეთდა, ისაა, რომ სამსაჯო კორპუსი ბაზარი აღარაა, ეს დრო წარსულს ჩაბარდა".*

კაჭახიძე სიამაყით საუბრობს იმ შემთხვევებზე, როცა მისმა სამსახურმა ვეტერან მსაჯებს დამსახურება დაუფასა. მაგალითად მას **ავთანდილ ორდინიძე** მოჰყავს, რომელიც დიდი ფეხბურთიდან შარშან დიდი ზარ-ზეიმით გაუცილებიათ.

ქართული სამსაჯო სკოლის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩენილი წარმომადგენლის, **კარლო ყრუაშვილის** საფლავი კი კაჭახიძესა და ახალგაზრდა "შავოსნებს" საკუთარი სახსრებით შეუკეთებიათ. ბატონი კარლოს შვილიშვილი, **გიორგი ყრუაშვილი** კი პერსპექტიული ლაინსმენი ყოფილა. სხვათა შორის, იგი საქართველოსა და თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩს მოემსახურება. სიტყვამ მოიტანა და ამავე შეხვედრაში მეოთხე მსაჯის ფუნქციებს **ლალი გახოკია** შეასრულებს.

ამირან კაჭახიძე იმედოვნებს, რომ გახოკია და სხვა გოგონები არცთუ შორეულ მომავალში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაშიც იმსაჯებენ და ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზეც წარმოადგენენ.

სამსაჯო განყოფილების უფროსი მოქმედ მსაჯებს მალე ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში მიავლენს, რათა მათ ნორჩ ფეხბურთელებსა და მათ მწვრთნელებს თამაშის წესების ყველა ნიუანსი გააცნოს. კაჭახიძეს იმის იმედიც აქვს, რომ ბავშვები მსაჯის პროფესიით დაინტერესდებიან.

დაბოლოს, მთავარი პრობლემა, რომლის გადაჭრაც ამირან კაჭახიძეს ყველაზე პრიორიტეტულად მიაჩნია, მსაჯთა ანაზღაურებაა. იგი პროფლიგაში შუამდგომლობის დაყენებას აპირებს და იმედოვნებს, რომ გასამრჯელოს გაზრდის საკითხი დადებითად გადაწყდება. ცნობისათვის, უმაღლესი ლიგის ერთი მატჩის მომსახურებისთვის მთავარი მსაჯი 180 ლარს იღებს, სათადარიგო კი – 80-ს. მგზავრობისა და კვების ხარჯებს მსაჯები საკუთარი ჯიბიდან ფარავენ. რაც ყველაზე ცუდია, სეზონებსა და წრეებს შორის პერიოდში ისინი თეთრსაც ვერ იღებენ და ამიტომაცაა, კაჭახიძე მათთან დაკავშირებას რომ ვერ ახერხებს – მსაჯებს მობილური ტელეფონები დალომბარდებული ჰქონიათ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ის მწვრთნელები, რომლებმაც გუნდებს საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეში უხელმძღვანელეს, მსაჯობაზე ასეთი აზრისანი არიან:

**გიორგი კიკნაძე**
(ოლიმპი)

"მთლიანობაში, მსაჯობა გამოსწორდა, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც რამდენიმე გადაწყვეტილება ჩემთვის გაუგებარი დარჩა, მაგალითად, "დინამოსთან" მატჩში".

**ნესტორ მუმლაძე**
(ვიტ ჯორჯია)

"არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, თითქოს საქართველოში მსაჯობის კატასტროფული დონე იყოს. რა თქმა უნდა, არბიტრები ხშირად უხეშად ცდებიან, რაც უფრო მათი გამოუცდელობის ბრალი მგონია, ვიდრე წინასწარგანზრახული ქმედება. მსაჯებს დაძაბულ მატჩებთან გამკლავება უჭირთ, რაც ასეთი შეხვედრების იშვიათობის ბრალია".

**გიორგი ჩიხრაძე**
(ამერი)

"ურიგო არ იქნება, ჩვენს პირველობაზე უფრო კვალიფიციური მსაჯობა რომ იყოს. თუმც, მიმაჩნია, რომ ცუდი შედეგი ცუდ მსაჯობას არ უნდა დააბრალო".

**თემურ მახარაძე**
(ზესტაფონი)

"მსაჯობის დონე უდავოდ ამაღლდა. რამდენიმე პერსპექტიული მსაჯი გამოჩნდა, ვფიქრობ, მსაჯთა პროფესიონალიზმის ზრდაც თვალსაჩინოა".

**კახა კაჭარავა**
(დინამო)

"მსაჯობა ყველა ქვეყანაში პრობლემური თემაა. ჩვენი მსაჯთა კორპუსი გაახალგაზრდავდა და შეცდომები გამოუცდელობის ბრალია. იმედი მაქვს, პროგრესს მალე დავინახავთ".

**რევაზ ძოძუაშვილი**
(ტორპედო)

"მსაჯობის დონე ამაღლდა, მაგრამ უფრო მეტი წინსვლა ნამდვილად არ გვანყენდა".

**კახა ცხადაძე**
(სიონი)

"მსაჯობის დონე კატასტროფულია. ჩემი აზრით, ამ სფეროში გატარებულ რეფორმებს შედეგი არ გამოუღია. ერთადერთი ახალგაზრდა მსაჯი, რომლის მუშაობასაც დადებითად ვაფასებ, ვადაჭკორიაა".

**ამირან მინაშვილი**
(ლოკომოტივი)

"ეს მარტო საქართველოს პრობლემა არაა. მსაჯები ელიტურ ლიგებშიც ცდებიან, რაც, ბუნებრივია, და ლოგიკურიც".

**ვლადიმერ ხაჩიძე**
(ბორჯომი)

"გვყავს რამდენიმე ახალგაზრდა მსაჯი, რომლებიც 3-4 წელიწადში მაღალ დონეს მიაღწევენ. თუმცა, სამწუხაროდ, მსაჯთა კორპუსში ისეთებიც მოიძებნებიან, რომლებიც თავის საქმეს ხეირიანად ვერასდროს დაეუფლებიან. ზოგი არბიტრი ისეთი სასაცილო არგუმენტებით იმართლებს თავს, პირს დააღებ. მაგალითად, ერთმა მსაჯმა თქვა, იმ ეპიზოდში სწორი გადაწყვეტილება იმიტომ ვერ მივიღე, რომ თვალებს მზე მჭრიდაო. გამოცდილი მსაჯების ასე ერთბაშად მოკვეთა გამართლებულ ნაბიჯად არ მიმაჩნია."

**დავით ეჯიბიშვილი**
(მერანი)

"მსაჯების შეცდომები მათი ახალგაზრდული ასაკისა და გამოუცდელობის ბრალია, დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში ისინი პროფესიულად გაიზრდებიან, სამსაჯო სფეროში მომხდარი ცვლილებებისგან სასიკეთო შედეგებს უნდა ველოდოთ".

**ხვიჩა ძასრაშვილი**
(ჩიხურა)

"ვერ ვიტყვი, რომ ძალიან დაბალი კვალიფიკაციის მსაჯები გვყავს, მაგრამ უკეთესი დონეც არ გვაწყენდა. კარგი იქნება, თუ მსაჯთა კორპუსი ფეხბურთის ფედერაციას გამოეყოფა და ცალკე სუბიექტად ჩამოყალიბდება".

**ამირან გოგიტიძე**
(ბათუმი)

"მსაჯობის ხარისხი შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც ხშირია შემთხვევები, როცა არბიტრი ქვეცნობიერად ძლიერისა და ფულიანის მხარეს იჭერს. ისე კი, პირველ წრეში ჩვენი გუნდი არაობიექტური მსაჯობის მსხვერპლი არ გამხდარა. კარგია, რომ აქცენტი ახალგაზრდა მსაჯებზე კეთდება".

**რევაზ მამესწარაშვილი**
(დილა)

"ფეხბურთელობიდან მოყოლებული, მსაჯების კრიტიკას ყოველთვის ვერიდებოდი. გვყავს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური არბიტრებიც".

**ვასილ არუდაშვილი**
(კახეთი)

"სიმართლე გითხრათ, ამირან კაჭახიძისგან გაცილებით მეტს ველოდი, თუმცა მცირე პროგრესს მაინც ვხედავ. რამდენიმე ნიჭიერი და პერსპექტიული მსაჯი უდავოდ გვყავს".

ლეგიონერები

## იაშვილი სიმბოლურშია

"კიკერის" აზრით, **ალექსანდრე იაშვილმა** სეზონის საუკეთესო თამაში შაბათს "როტ-ვაისთან" ჩაატარა. ქართველმა თავდამსხმელმა ამ შეხვედრაში ორი საგოლე პასი გააკეთა, რითაც "ფრაიბურგმა" სატურნირო მდგომარეობა ცოტა გამოასწორა. გერმანულმა სპორტულმა გამოცემამ სეზონში პირველად, იგი ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. "კიკერმა" თავის სიმბოლურში იაშვილი ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე გაამწესა.

მთლიანმა სიმბოლურმა კი ასეთი სახე მიიღო: **კელერი** (აუე) – **ვებერი** (დუისბურგი), **ბრუვერსი** (პადერბორნი), **კლაინე** (ფიურტი), **ელერსი** (აუე) – **ბროიხი** (კიოლნი), **მოხთარი** (დუისბურგი), **კულიბალი** (ფრაიბურგი), **იაშვილი** (ფრაიბურგი) – **კუჩუკოვიჩი** (ფიურტი), **რიშე** (ბრაუნშვაიგი).

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ჭელიძე დნეპრს ასცდა

მოსკოვის "ლოკომოტივის" ახალმა მწვრთნელმა **ანატოლი ბიშოვეცმა** გუნდის საჩემპიონო კვარცხლბეკზე დაბრუნება და კარდინალურად გაძლიერება გადაწყვიტა. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მის გეგმებში **გიორგი ჭელიძის** ადგილი ვერ მოიძებნა. 20 წლის თავდამსხმელი ბიშოვეცმა პორტუგალიურ შეკრებაზე არ წაიყვანა - ის დუბლებთან ერთად სოჭში ვარჯიშობდა.

ეტყობა, გიორგის მენეჯერის მცდელობაც, კლიენტისთვის ახალი კლუბი მოეძებნა, ამით იყო განპირობებული. როგორც შევიტყვეთ, მას მოლაპარაკება თავდამსხმელების შეძენით დაინტერესებულ არაერთ კლუბებთან ჰქონდა. "ყუბანის" ვარიანტი გამოირიცხა. შემდეგი "გაჩერება" დნეპროპეტროვსკის "დნეპრი" იყო, თუმცა უკრაინელთა მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ პროტასოვმა** მოსკოვის ცსკა-ს ფორვარდი **სერგეი სამოდინი** შეიძინა, პრობლემა მოაგვარა და ჭელიძის თემა დასრულდა.

დღეს მოსკოვის "ლოკომოტივი" ორი შემადგენლობით (ძირითადი და დუბლები) მოსამზადებლად თურქეთში მიფრინავს. კლუბი ანთალიაში სასტუმრო "ადორაში" დაბინავდება. ამჯერად სხვებთან ერთად თურქეთში ქართველი ფორვარდიცაა, რომელიც ისევ დუბლებში ივარჯიშებს. ძირითადი გუნდი 31 იანვრიდან 15 თებერვლამდე დარჩება თურქეთში. რუსული კლუბი სამ საკონტროლო მატჩს გამართავს. 6 თებერვალს "ლოკომოტივი" "ზესტაფონს", "გლორია ვერდის" სტადიონზე, ჩვენი დროით საღამოს რვის ნახევარზე შეხვდება. შეგახსენებთ, რომ კლუბის ქართველი მცველი მალხაზ ასათიანი გერმანიაში სარეაბილიტაციო კურსს გადის.

არაა გამორიცხული, გიორგი მოსკოვის "ლოკომოტივში" დარჩეს. ასეთ შემთხვევაში არის საფრთხე, რომ მას მხოლოდ დუბლებში თამაში მოუწევს.

**მერაბ მამულაშვილი**

## კანკავამ და დნეპრმა დაასრულეს

დუბაიში მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა **ოლეგ პროტასოვის** "დნეპრმა", უკრაინელებმა სერბულ "პარტიზანთან" ითამაშეს. მატჩი 1:1 დასრულდა, უკრაინელი **შერშუნის** გოლს პირველ ტაიმში, სერბმა **ლაზიჩმა** მეორეში უპასუხა. ამ შეხვედრაში სასტარტო თერთმეტეულში არ ყოფილა დნეპროპეტროვსკელთა ქართველი ახალწვეული **ჯაბა კანკავა**, მან მეორე ტაიმი ითამაშა. შესვენების შემდეგ ჯაბა მოედანზე **პაშაევის** ნაცვლად გამოჩნდა. ამით უკრაინულმა გუნდმა მზადების ეს ეტაპი დაასრულა, კლუბი დღეს სამშობლოში დაბრუნდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



ლევან მელქაძე (18) დინამოს შემადგენლობაში, ბრონდბიუს წინააღმდეგ

საავარაუდო ტრანსფერები

# მელქაძე ზარიაშია

ორიოდე დღის წინ თურქეთში გაემგზავრა თბილისის "ვიტ ჯორჯიისა" და "დინამოს" ყოფილი თავდამსხმელი **ლევან მელქაძე**. ეს ინფორმაცია ასეთი ზოგადი სახით შევიტყვეთ და გადამოწმების შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ მას ლუგანსკის "ზარიაში" ელიან, სადაც მეორე დინამოელი **მიხეილ ბობოხიძე** ისინჯება.

ეს ინფორმაცია უკრაინული გაზეთის, "კომანდას" ინტერნეტ-გვერდზე გავრცელდა და მითითებულია, რომ ლუგანსკელები კიდევ ერთ პოტენციურ ახალწვეულს, ქართველ ფეხბურთელს ანთალიაში ელიან. როგორც ჩანს, წინახაზის პრობლემებით შეწუხებული "ზარიას" მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრ კოსევიჩი** ქართველთა დუეტის გასინჯვას აპირებს. შეთამაშებული ფეხბურთელებისგან გაცილებით მეტი შედეგიანობა რომ არის მოსალოდნელი, ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდი არაა. მელქაძე და ბობოხიძე ხომ თბილსისის "დინამოში" წარმატებით თამაშობდნენ.

თუმცა, საკითხი გუშინდლამდე გადაწყვეტილი არ იყო. არც ისაა გამორიცხული, 27 წლის თავდამსხმელი რომელიმე სხვა უკრაინულ კლუბში ვიხილოთ. მის მიმართ ინტერესს კიევის "არსენალიც" ამჟღავნებდა.

ამასობაში ზაპოროჟიეს "მეტალურგი" თურქეთში მორიგ საკონტროლო მატჩში ხორვატიულ "რიეკას" შეხვდა და 2:0 აჯობა. ორივე გოლი "მეტალურგის" ფორვარდმა, **ტარას კაბანოვმა** თავურით გაიტანა. საქართველოს ნაკრებში გამოძახებულმა **დავით კვირკველიამ** სრულად ითამაშა, სინჯებზე მყოფმა **გიორგი ციმაკურიძემ** კი სასტარტოში დაიწყო, ის მე-80 წუთზე **პოლევოიმ** შეცვალა. 3 თებერვალს "მეტალურგი" მორიგ საკონტროლო შეხვედრას გამართავს, რის შემდეგაც კვირკველია თურქეთთან ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ თბილისში დაბრუნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართველები მინსკის და კიევის დინამოში

**ოლეგ მაკაროვის** სახელობის საერთაშორისო ტურნირში მოთამაშე"გაგრა" 27 იანვარს დაბრუნდა კიევიდან, თუმცა უჯილდოოდ და შეთხელებული შემადგენლობით. "გაგრის" რამდენიმე ფეხბურთელმა, შესაძლოა, უცხოეთში გააგრძელოს კარიერა.

გუნდის ვიცე-პრეზიდენტის, **გოდერძი ჩიხრაძის** თქმით, მარცხენა მცველი **ნოდარ მგალობლიშვილი** მინსკის "დინამოს" სელექციონერს მოეწონა და გასინჯვაზე წასვლა შესთავაზა. მოთამაშისთვის ხელი არც "გაგრის" პრეზიდენტ **ბესო ჩიხრაძეს** შეუშლია. მგალობლიშვილი ამჟამად მინსკის "დინამოში" ვარჯიშობს და მწვრთნელის დასკვნას ელის. წინასწარ ინფორმაციებს თუ დავუჯერებთ, საქმე კონტრაქტზე ხელის მოწერისკენ მიდის. ჩიხრაძის თქმით, ბელარუსებს 20 წლის მცველი ძალიან მოეწონათ.

17 წლის თავდამსხმელმა, **ვახტანგ ფანცხავამ**, როგორც ჩანს, ტურნირი კარგად ჩაატარა. ფაქტია, რომ კიევის "დინამო 2"-ის მწვრთნელმა, **გენადი ლიტოვჩენკომ** ქართული გუნდის მეპატრონეს მისი დატოვება სწორედ შეჯიბრების შემდეგ სთხოვა. თავდამსხმელი ამჟამად კიევშია და მალე კიეველებთან ვარჯიშს დაიწყებს, თუკი საბოლოოდ გადაწყდა მისი დარჩენა.

საქმე ისაა, რომ ფანცხავა დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" სელექციონერსაც მოეწონა და გაზრდა-დაოსტატების პერსპექტივით თავისკენ მიიწვია. გოდერძი ჩიხრაძე ამბობს, რომ მაკაროვის ტურნირზე მისულ სელექციონერებზე თავდამსხმელმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

ხარკოვის "მეტალისტთან" ერთად დუბაიში იმყოფება "გაგრის" ნახევარმცველი **ირაკლი სამხარაძე**. 23 წლის ნახევარმცველი გუნდს კიევში სწორედ ამის გამო არ გაჰყვა. თუმცა რად გინდა, ვირუსმა ისე დაასუსტა, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში ყოფნის ერთი კვირის განმავლობაში ერთხელაც ვერ ივარჯიშა.

ირაკლისა და ხარკოვის "მეტალისტის" ურთიერთობა, თითქოს დაინავსა. ირაკლი უკრაინელებთან შარშანაც ვარჯიშობდა, მაგრამ ტრავმა მიიღო და შეკრებიდან წამოსვლა მოუხდა.

"გაგრის" ვიცე-პრეზიდენტი უკვე შეგუებულია იმ აზრს, რომ სამხარაძესთან შელევა მოუწევთ, მას ხარკოველები თუ არ დაიტოვებენ, თბილისის "ლოკომოტივი" და რუსთავის "ოლიმპი" იწვევენ და ერთ-ერთში გავუშვებთო.

"ლოკომოტივში" გაუგრძელდება იჯარა მცველ **აკაკი კუპრეიშვილს**. ამავე გუნდში იჯარით თამაშობს **კონსტანტინე ავალიანიც**, რომლის საკითხიც დღე-დღეზე გაირკვევა.

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქე. უკრაინა

# ბლოხინმაც დაასახელა

უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, **ოლეგ ბლოხინმა** 7 თებერვალს ისრაელის ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ 21 ფეხბურთელი გამოიძახა.

მეკარეები: შოვკოვსკი ("დინამო" კიევი), შუსტი ("შახტიორი")

მცველები: რომანჩუკი ("დინამო" კიევი), კუჩერი, სვიდერსკი, ჩიგრინსკი, (ყველა "შახტიორი"), რუსოლი, ეზერსკი (ორივე "დნეპრი").

ნახევარმცველები: გუსევი, როტანი, მიხალიკი ("დინამო" კიევი), ტიმოშჩუკი ("შახტიორი"), კალინიჩენკო ("სპარტაკი", რუსეთი), ნაზარენკო, შელიაევი (ორივე "დნეპრი"), ლევჩენკო ("გრონინგენი", ჰოლანდია).

თავდამსხმელები: მილევსკი ("დინამო" კიევი), ბელიკი, ვორობეი ("შახტიორი"), შევჩენკო ("მილანი", იტალია), ვორონინი ("ბაიერი", გერმანია).

ფუტსალი

# შეიძლება, ბრაზილიამ გვიმასპინძლოს

ევროპისჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ეროვნული ნაკრების წარუმატებელი ასპარეზობის მიუხედავად, საქართველოს ფუტსალის ასოციაცია გუნდისთვის სპარინგპარტნიორების მოძიებას განაგრძობს. ასოციაციის გენერალური მდივნის, **ბექა კვიციანის** თქმით, მიმდინარეობს მოლაპარაკება ბრაზილიის ფუტსალის ასოციაციის საგარეო საქმეთა მმართველ **ფერნანდო ფერნანდესთან** ორი ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე.

მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებთან შეხვედრები, სავარაუდოდ, ოქტომბრის შუა რიცხვებში ჩატარდება. წინასწარი ინფორმაციით, თამაშები რიო დე ჟანეიროში უნდა შედგეს.

ამის პარალელურად, ქართული მხარე ბრაზილიელებთან ახალგაზრდული ნაკრებების მატჩებზეც ცდილობს შეთანხმების მიღწევას.

**სიტუაცია ქართულ კლუბებში**

| გუნდი | მიდიან | მოდიან | მზადება |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია (ამერი), სირბილაძე, ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი (ჩიხურა), გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ბურნაძე (ნაფტანი, ბელარუსი), ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი) | თბილისი, თურქეთი |
| ვიტ ჯორჯია | დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (დინამო), | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი), ბიძინაშვილი (კახეთი) | თბილისი, თურქეთი |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი, სილაგავა | მესხი (ჩიხურა), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) | ორი შეკრება ანთალიაში, იანვარი, თებერვალი |
| ზესტაფონი | იმედაძე (შახტიორი, ყარაღანდა), თურმანიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ც. ბუკია, ლეანდრო, ჟონატასი | თბილისი, ანთალია |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ბობოხიძე (ზარია), ახალაია, ბაბუნაშვილი, სტურუა (?), გრიგალაშვილი, მახარაძე (?) ნავალოვსკი (ოლიმპი), ნერგაძე, გიგაური | დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), გარკუშა, დოს სანტოსი, სირბილაძე | ბაკურიანი, ანთალია |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, | ქუთაისი, თბილისი |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭვეიშვილი | მამალაძე (ჩიხურა) | დსთ-ის თასი, ყირიმი |
| ლოკომოტივი | ყენია (ლევანტე, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, წუწუნავა (კახეთი). მ. ღონღაძე (ტორპედო) | ურეკი |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, | ბორჯომი, შესაძლებელია უცხოეთიც |
| მერანი | ბესარაშვილი (ბათუმი) | ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე (მწვრთნელი), ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი, (დინამო) | თბილისი, ურეკი |
| ჩიხურა | მესხი (ამერი), გ. მანწკავა (ირანი), მამალაძე (სიონი) | — | — |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე, ლობჟანიძე, ნაჭყებია | ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე) | ბათუმი |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია | გორი, თბილისი |
| კახეთი | ბიძინაშვილი, იმერლიშვილი, ცინაძე, კევლიშვილი, სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), კევლიშვილი (მერანი), | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი, | თელავი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ფელიქსი გააგდეს, ოტმარი დაბრუნდა

## ჰიტცფელდი კონტრაქტს სეზონის ბოლომდე აფორმებს...



2004 წლის 30 ივნისს "ბაიერნის" ხელმძღვანელებმა **ოტმარ ჰიტცფელდი** გაათავისუფლეს. მაშინ რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელის პოსტზე, "გენერალი" **ფელიქს მაგათმა** შეცვალა. ეს იყო მწვრთნელი, რომელმაც "შტუტგარტში" მიღწეული წარმატებებით გაითქვა სახელი და რომელსაც წილად ხვდა პატივი, "ბაიერნში" ჰიტცფელდის შემცვლელი გამხდარიყო. მას მერე ორწელიწადნახევარი გავიდა. და ახლა უკვე პირიქით მოხდა: "ბაიერნის" ბოსებმა, პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა**, ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** და მენეჯერმა **ული ჰიონესმა** სასწრაფოდ მიიღეს საჭირო ზომები და გადადგეს ნაბიჯი, რომელიც ალბათ "ბაიერნის" ნებისმიერ გულშემატკივარს გაახარებს. ფელიქს მაგათი რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი აღარ არის! "ბოხუმთან" ფრის შემდეგ, რომელსაც მიუნხენურმა გუნდმა ამაზრზენი თამაშით მიაღწია, ზემოთ ხსენებულმა ტრიომ "დესპოტ ფელიქსს" კარისკენ მიუთითა!

მწვრთნელის შუა სეზონში გაშვება "ბაიერნის" შეფებს არ სჩვევიათ, რადგან ისინი მეტისმეტად ფრთხილები არიან. მაგრამ როცა **ოტმარ ჰიტცფელდისგან** თანხმობას მიიღებ, ერთი წუთიც აღარ დაფიქრდები იმაზე, რომ ეს რისკია. "ბილდი", "კიკერი" და სხვა გერმანული გამოცემები გუშინ ნაშუადღევს გვამცნობდნენ, რომ ჰიტცფელდის დაბრუნება გადაწყვეტილი ამბავი იყო. ეს ინფორმაცია მოგვიანებით ოფიციალურადაც დადასტურდა. ისე, ამაში ეჭვის შეტანა არც შეიძლებოდა, რადგან სხვა შემთხვევაში, ჰიონესი და რუმენიგე მწვრთნელს ასე მოულოდნელად არ დაიფრენდნენ. მით უმეტეს, რომ ჰიტცფელდის გარდა, გერმანიაში არცერთი ისეთი სპეციალისტი არაა უმუშევარი, "ბაიერნის" დონეს რომ შეეფერებოდეს. მოკლედ, დოიჩე რეკორდმაისტერის ფანებო, გიხაროდენ, მიუნხენურ კლუბში "გენერალი" ბრუნდება!

მაგათის გათავისუფლება მოულოდნელი კი იყო, მაგრამ ალოგიკური ნამდვილად არ ყოფილა. ფელიქსის გაშვებას არავინ ელოდა, თუმცა თუ ბავარიელთა ბოლოდროინდელ შედეგებს გადახედავთ, დაასკვნით, რომ შეფებმა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღეს. მით უმეტეს, "რეალთან" მატჩის წინ, რომელსაც "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში შეერკინება.

*"გული მტკივა, რომ ასე მოხდა. ფელიქსმა ამ ორწელიწადნახევრის განმავლობაში დიდი სამუშაო გასწია და სერიოზულ წარმატებებსაც მიაღწია - ორჯერ გერმანიის ჩემპიონები გავხადა, ოჯერაც თასი მოგვაგებინა. ჩვენ მისით კმაყოფილები ვიყავით. მაგრამ მიმდინარე სეზონში ყველაფერი შეიცვალა. გუნდი მძიმე კრიზისშია, ასე რომ, რაღაც უნდა გვეღონა. "ბაიერნს" შეექმნა იმის საფრთხე, რომ საგაისოდ ჩემპიონთა ლიგის საგზური ველარ მოიპოვოს, ეს კი დაუშვებელია. ასეთი ნაბიჯი ამიტომაც გადავდგით."* - ეს რუმენიგეს სიტყვებია.

*"რომ გითხრათ, თავს ცუდად არ ვგრძნობ-მეთქი, ვიცრუებ. მე ვამაყობ იმით, რომ ორწელიწადნახევრის განმავლობაში "ბაიერნის" მწვრთნელი ვიყავი. ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი ერთხელაც დასრულდებოდა. რეკორდმაისტერს ყოველივე კარგს ვუსურვებ. იმედი მაქვს, რომ ჩემი შემცვლელი წარმატებებს მიაღწევს."* - ეს კი მაგათის ბოლოთქმაა.

ჰიტცფელდი "ბაიერნს" ჯერჯერობით მცირე ვადით, სეზონის ბოლომდე ჩაიბარებს. 58 წლის ოტმართან ერთად, მიუნხენურ კლუბში მისი ლეგენდარული ასისტენტი **მიხაელ ჰენკეც** ბრუნდება, რომელმაც ჰიტცფელდის უმუშევრობის ხანაში, მთავარი მწვრთნელის რანგში სცადა ბედი, მაგრამ უშედეგოდ. დიდი შანსია, რომ სეზონის დასრულების შემდეგ "ბაიერნის" ბოსებმა ოტმარს კონტრაქტი გაუგრძელონ. შეგახსენებთ, რომ ჰიტცფელდი რეკორდმაისტერს 1998-იდან 2004 წლის ზაფხულამდე ედგა სათავეში და ამ ხნის მანძილზე 8 ტიტული მოიგო (ოთხჯერ გერმანიის ჩემპიონობა, ერთხელ ჩემპიონთა ლიგა საკონტინენტთაშორისო თასითურთ, ორჯერ გერმანიის თასი)! საერთო ჯამში მას 16 ტიტული აქვს მოგებული, რითაც ყველა დროის ყველაზე წარმატებული გერმანელი მწვრთნელია. ჰიტცფელდს ზებენერშტრასეზე ოფიციალურად დღეს წარადგენენ.

**გოტფრიდ ლენცი**

## ტრანსფერები 2007

**გუშინ ზამთრის სატრანსფერო პერიოდის დასკვნითი აკორდი იყო. თქვენ წინაშეა ბოლო დღეებში განხორციელებული ტრანსფერების ჩამონათვალი:**

| თარიღი | მოთამაშე | საიდან | სად |
|---|---|---|---|
| 31.01.2007 | რინალდი | უდინეზე | პარმა |
| 31.01.2007 | სავი | პარმა | მონცა |
| 31.01.2007 | როსი | პარმა | მოდენა |
| 31.01.2007 | დურანი | მალაგა | ლივერპული |
| 31.01.2007 | ბოვო | პალერმო | ტორინო |
| 31.01.2007 | უესლი | ალავესი | გრასჰოპერსი |
| 31.01.2007 | გუსტავო ნერი | კორინთიანსი | სარაგოსა |
| 31.01.2007 | დაბერი | სტოკ სიტი | რედინგი |
| 31.01.2007 | აბელი | შალკე | ჰამბურგი |
| 31.01.2007 | გრაძსი | მონაკო | სომო |
| 31.01.2007 | მინეირო | სან პაულო | ჰერტა |
| 31.01.2007 | იუგა | ჩარლტონი | ბრედფორდი |
| 31.01.2007 | გრანი | ოდენსე | ხიმნასტიკი |
| 31.01.2007 | პანკრატი | პსჟ | ბეტისი |
| 31.01.2007 | ტომერი | ლანსი | რენი |
| 31.01.2007 | იატსი | ტოტენჰემი | ლესტერი |
| 31.01.2007 | ჟუსი | ლანსი | ბორდო |
| 31.01.2007 | ჰორსფილდი | შეფილდ იუნ. | ლესტერი |
| 31.01.2007 | პიკიონი | სტ. ეტიენი | მონაკო |
| 31.01.2007 | ერიომენკო | უდინეზე | სიენა |
| 31.01.2007 | ბოლი | ეინდჰოვენი | მანჩ. სიტი |
| 31.01.2007 | ჯაკომაცი | ლეჩე | პალერმო |
| 31.01.2007 | აპსონი | ბირმინგემი | ვესტ ჰემი |
| 31.01.2007 | ბაცი | ბარი | რეჯინა |
| 31.01.2007 | გასპარეტო | ემპოლი | ჯენოა |
| 31.01.2007 | კაიო | კრუზეირო | ატალანტა |
| 31.01.2007 | ბასეჯო | ტრევიზო | ანდერლეხტი |
| 31.01.2007 | ჰელვეგი | ბორუსია მ. | ოდენსე |
| 31.01.2007 | ფიორე | ტორინო | ლივორნო |
| 31.01.2007 | ბაროზო | ბოკა ხუნიორსი | ლორკა |
| 31.01.2007 | ლადინო | ველესი | ლორკა |
| 31.01.2007 | მასკერანო | ვესტ ჰემი | ლივერპული |
| 31.01.2007 | ლერა | ხიმნასტიკი | უოტფორდი |
| 31.01.2007 | ბუადესი | ხიმნასტიკი | კადისი |
| 31.01.2007 | კოკო | ინტერი | ტორინო |
| 31.01.2007 | მატუსიაკი | ბელჩატოვი | პალერმო |
| 31.01.2007 | ციგლერი | ტოტენჰემი | სამპდორია |
| 31.01.2007 | პეტრაში | ლეჩე | ტრევიზო |
| 31.01.2007 | პუჯონი | პიზა | რეჯინა |
| 31.01.2007 | ბონუჩი | ინტერი | ტრევიზო |
| 31.01.2007 | ჩერავოლო | რეჯინა | პიზა |
| 31.01.2007 | ბელიკორი | პიაჩენცა | ჩეზენა |
| 31.01.2007 | ლაძარი | ატალანტა | პიაჩენცა |
| 31.01.2007 | მუზიჩი | ტორინო | ტრევიზო |
| 31.01.2007 | დელიბაშიჩი | აეკ | ბეირა მარი |
| 30.01.2007 | ბალონგა | რომა | სიენა |
| 30.01.2007 | კუჟმანოვიჩი | ბაზელი | ფიორენტინა |
| 30.01.2007 | ბენეტი | კორკ სიტი | რედინგი |
| 30.01.2007 | რუნსტრიომი | ფულჰემი | ლუთონი |
| 30.01.2007 | კილი | პორტსმუთი | ვესტ ბრომვიჩი |
| 30.01.2007 | აგაპოვა | შახტარი | ვიგანი |
| 30.01.2007 | პელიცოლი | რეჯინა | ლოკომოტივი |
| 30.01.2007 | გუსმანი | იუვენტუსი | სპეცია |
| 30.01.2007 | როტოლი | სპეცია | მონცა |
| 30.01.2007 | მონდინი | კრემონეზე | სპეცია |
| 30.01.2007 | მაკარონე | მიდლსბრო | სიენა |
| 30.01.2007 | ბენდტნერი | არსენალი | ბირმინგემი |
| 30.01.2007 | სონგ ბილონგი | არსენალი | ჩარლტონი |
| 30.01.2007 | დავიდსი | ტოტენჰემი | აიაქსი |
| 30.01.2007 | ონიევუ | სტანდარდი | ნიუკასლი |
| 30.01.2007 | ჯონი | ქოვენთრი | სანდერლენდი |
| 30.01.2007 | მაკევილი | ბლექბერნი | დერბი |
| 30.01.2007 | როსატო | სოსიდადი | ლეირია |
| 30.01.2007 | ბერნერი | ბაზელი | ბლექბერნი |
| 30.01.2007 | არბელოა | დეპორტივო | ლივერპული |
| 30.01.2007 | ტრეხო | ბოკა ხუნიორსი | მალიორკა |
| 30.01.2007 | ბამოგო | მარსელი | სელტა |
| 30.01.2007 | დერლეი | დინამო მ. | ბენფიკა |
| 30.01.2007 | ოლიჩი | ცსკა | ჰამბურგი |
| 30.01.2007 | რონალდო | რეალი | მილანი |
| 29.01.2007 | მან. ფერნანდესი | ბენფიკა | ევერტონი |
| 29.01.2007 | კორდასი | პიციგეტონე | ტრევიზო |
| 29.01.2007 | კავანი | დანუბიო | პალერმო |
| 29.01.2007 | როდრი | დეპორტივო | ალმერია |
| 29.01.2007 | კოცოლინო | ლეჩე | კიევო |
| 29.01.2007 | იაპია | ნიცა | ბოხუმი |
| 29.01.2007 | ზაგო | შარლერუა | ხიმნასტიკი |
| 29.01.2007 | კაფესი | ოლიმპიაკოსი | აეკ |
| 28.01.2007 | ოზერმანი | არხ. ხუნიორსი | კასტელიონი |
| 27.01.2007 | სმერტინი | დინამო მ. | ფულჰემი |
| 27.01.2007 | მან. მარტინესი | ხიმნასტიკი | ტენერიფე |
| 26.01.2007 | ფოლანი | ჩესტერფილდი | ვიგანი |
| 26.01.2007 | მილზი | მანჩ. სიტი | კოლჩესტერი |
| 26.01.2007 | კაბა | შეფილდ იუნ. | უოტფორდი |
| 26.01.2007 | კოლომბო | ბრეშა | სპეცია |
| 26.01.2007 | ძანკეტა | კიევო | ლეჩე |
| 26.01.2007 | ჩენტი | ატალანტა | ასკოლი |
| 26.01.2007 | სონჩინი | ატალანტა | ასკოლი |
| 26.01.2007 | მეცანო | ბოლონია | ტრევიზო |
| 26.01.2007 | ძამბონი | სპეცია | კროტონე |
| 26.01.2007 | ბუხარი | ნანტი | ალკმაარი |
| 26.01.2007 | როზენბერგი | აიაქსი | ვერდერი |

ფანჯრის დახურვამდე

# ბოლო დღის მთავარი ტრანსფერი: უეფამ მასკერანო ლივერპულში გაუშვა

ფიფამ **ხავიერ მასკერანოს** "ლივერპულში" თამაშის ნება დართო. გუშინ გვიან ღამემდე მერსისაიდელები ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ნებართვას ელოდნენ. მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანო გაგებით მოეკიდა ლივერპულელთა წერილს და მასკერანოს "ენფილდზე" გადასვლის უფლება მისცა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში ორი კლუბის ("კორინთიანსი" და "ვესტ ჰემი") შემადგენლობაში ირიცხებოდა. "ლივერპულს" 12-თვიანი საიჯარო ხელშეკრულება ჰქონდა გამზადებული.



ხავიერ მასკერანო

"ენფილდზე" ვიხილავთ "დეპორტივოს" მცველ **ალვარო არბელოასაც**. ესპანური მედიის მტკიცებით, მერსისაიდელები 4 მილიონ ევროს იხდიან. 24 წლის არბელოა ლაკორუნიაში გასულ ზაფხულს "რეალიდან" გადავიდა. გალისიელებმა სულ რაღაც 1.3 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. მისი შეძენით ლივერპულელთა ესპანური ლეგიონი ოთხამდე გაიზრდება. ალვაროს გარდა ამ გუნდში თამაშობენ **პეპე რეინა, ლუის გარსია, ჩაბი ალონსო** და **მიკი როკე**. არაფერს ვამბობთ სამწვრთნელო შტაბზე, რომელიც მთლიანად ესპანელებითაა დაკომპლექტებული.

ტრანსფერების ბოლო დღეს არნახულად გააქტიურდა "ტოტენჰემი". მან მოლაპარაკებები გამართა "სელტასთან" და გალისიელებს ბრაზილიელ გარემარბ **ნენეს მიდოში** გაცვლა შესთავაზა. **მარტინ იოლს** ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგის გაძლიერება სურდა. მან ვერც მიდლსბროელი **სტიუარტ დაუნინგი** შეიძინა და ვერც უოტფორდელი **ეშლი იანგი**, რომელიც 9.6 მილიონ გირვანქად "ასტონ ვილაში" ჩაირიცხა. რაც შეეხება მიდოს, მას "მანჩესტერ სიტისა" და "ნიუკასლში" იწვევდნენ, მაგრამ ფეხბურთელის ხელფასმა, კვირაში 35 ათასმა გირვანქამ, განზრახვაზე ორივეს ხელი აალებინა. მიდოს ნუხელ "არსენალთან" ლიგის თასის საპასუხო ნახევარფინალში უნდა ეთამაშა, "სელტასთან" კონტრაქტზე კი გვიან ღამით მოაწერდა ხელს.

გუშინ "ტოტენჰემმა" "ვესტ ჰემთანაც" გააჩაღა მოლაპარაკებები. "მამლებმა" "ჩაქუჩების" ორი თავდამსხმელი - **ტედი შერინგემი** და **მარლონ ჰერვუდი** მოიკითხეს. თუ მხარეებმა შეთანხმება მოასწრეს, შერინგემი მესამედ დაბრუნდება "უაით ჰართ ლეინზე". ჰერვუდის სანაცვლოდ "ტოტენჰემს" 8 მილიონი გირვანქა ჰქონდა გამზადებული.

"ვესტ ჰემი" მხოლოდ ფეხბურთელების გაყიდვით როდი იყო დაკავებული. გუშინ "ბირმინგემის" წარმომადგენლებთან გადამწყვეტი შეხვედრა შედგა. მხარეებმა 27 წლის მცველ **მეტიუ აპსონის** ტრანსფერი განიხილეს. "ჩაქუჩებმა" "არსენალის" ყოფილი ფეხბურთელის სანაცვლოდ 8.5 მილიონი გირვანქა გაამზადეს. კონტრაქტი გვიან ღამით უნდა გაფორმებულიყო.

"ვიგანმა" დონეცკის "შახტიორის" ნიგერიელი თავდამსხმელი **ჯულიუს აგაჰოვა** იყიდა. ოფიციალურ პირებს ფინანსური დეტალები არ გაუხმაურებიათ. სამაგიეროდ, ინგლისური სააგენტოები ირწმუნებიან, რომ ვიგანელებმა 7 მილიონი დოლარი გადაიხადეს. დონეცკელებმა აგაჰოვა 2000 წელს ტუნისური "ესპერანსიდან" 4 მილიონ დოლარად შეიძინეს.

დასასრულს, სხვა, უფრო უმნიშვნელო ტრანსფერების შესახებ. სელტიკელი ნახევარმცველი **შონ მელონი** ბირმინგემში ჩავიდა, რათა "ასტონ ვილასთან" კონტრაქტის ბოლო დეტალები შეეთანხმებინა. ქვედადივიზიონელმა "ჰადერსფილდმა" საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა "ბლექბერნის" ახალგაზრდა მარცხენა მცველ **ენდი ტეილორთან**. "რედინგმა" "სტოკ სიტის" მცველი **მაიკლ დაბერი** შეიძინა. გულშემატკივარს ეს ფეხბურთელი "ლიდსიდან" უნდა ახსოვდეს. "ჩარლტონმა" იჯარით სეზონის ბოლომდე გადაიყვანა "არსენალის" ნახევარმცველი **ალექსანდრ სონგი**. "უოტფორდმა" კი სანდერლენდელი მცველის **სტივ კოლდუელის** შეძენა გადაწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ "კატები" "ბარნლისთან" ფეხბურთელის ფასზე (400 ათასი გირვანქა) უკვე შეთანხმებულნი იყვნენ.

სკანდალი

# რა ელის პოლონეთს?

## ფიფამ ქვეყნის ხელისუფლებას ყვითელი ბარათი აუფრიალა...

პოლონეთი ცეცხლს ეთამაშება. სპორტის მინისტრმა **ტომაშ ლიპიეჩმა** უფლებამოსილება შეუჩერა ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომს და დროებითი ადმინისტრატორი დანიშნა. სკანდალურ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა ორწლიანი გამოძიება, რომელმაც ფედერაციასა და ზოგადად პოლონურ ფეხბურთში უპრეცედენტო მასშტაბის კორუფცია გამოააშკარავა. გამოძიების მასალებზე დაყრდნობით, პოლიციამ 70-მდე არბიტრი, კლუბის პრეზიდენტი და ფედერაციის მაღალჩინოსანი დააპატიმრა. მათ ბრალად ედებათ მექრთამეობა და თამაშების ჩაწყობა.

ფიფას რეაქციამ არ დააყოვნა. ორგანიზაციამ პოლონეთის ხელისუფლებას საფეხბურთო საქმეებში ჩარევისაგან თავის შეკავება ურჩია. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლონურ ფედერაციას საერთაშორისო ტურნირებიდან მოკვეთით დაემუქრა. მინისტრმა ლიპიეჩმა უკან არ დაიხია. ის სასამართლოს დახმარებით აპირებს აღმასკომის საბოლოოდ გადაყენებას, რათა ფედერაცია ახალი კადრებით დააკომპლექტოს.

პოლონეთში მიმდინარე მოვლენებს მათი მეზობელი უკრაინაც ეხმაურება. მოგეხსენებათ, ეს ორი სახელმწიფო 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე აცხადებს პრეტენზიას. უკრაინული მხარე წუხს, რომ პოლონეთის სპორტის სამინისტროს საქციელი მათ გეგმებს გამოუსწორებელ ზიანს აყენებს. უკრაინისა და პოლონეთის გარდა, ტურნირის მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებენ ხორვატია-უნგრეთი და იტალია.

### ვატერეუსი ამერიკაში

ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი გოლკიპერი **რონალდ ვატერეუსი** ნიუ იორკის "რედ ბულზში" ითამაშებს. ამ კლუბის მთავარი მწვრთნელი ამერიკის ნაკრების ყოფილი თავკაცი **ბრუს არენა** გახლავთ. ვატერეუსმა ათი სეზონი "ეინდჰოვენში" გაატარა და 1997, 2000, 2001 და 2003 წლებში ჰოლანდიის ჩემპიონობა მოიპოვა. ამის შემდეგ ნისლიან ალბიონს მიაშურა და "მანჩესტერ სიტისა" და "რეინჯერსის" მაისურა მოირგო.

### მათუსალემი ფიორენტინაში

"შახტიორის" ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველი **ფრანსელინო მათუსალემი**, შეიძლება, იტალიაში დაბრუნდეს. სხვადასხვა დროს მას "პიაჩენცისა" და "ბრეშას" შემადგენლობაში უთამაშია. ამჯერად მათუსალემს "ფიორენტინა" ეპატიჟება. ფლორენციელებს **მარკო დონადელი** ჰყავთ დაშავებული და სასწრაფოდ მისი შემცვლელი სჭირდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი გარიგების შემდეგ

# რონალდო: ყველა პატივს მცემდა, ერთი კაცის გარდა...



რონალდო მილანის აეროპორტში

## ფენომენალური დებიუტის მოლოდინში: 11 თებერვალს, ლივორნოსთან?

გუშინ, **რონალდო** მილანში დაბრუნდა. დაბრუნდა, უკვე როგორც "მილანის" ფეხბურთელი, და დაბრუნდა იმ მილანში, სადაც 1997-2002 წლებში "ინტერის" ღირსებას იცავდა, მაგრამ იქიდანაც ისეთივე ნაწყენი წავიდა, როგორც მადრიდიდან. ბოლო წლებში მას ბევრი იმედგაცრუება ჰქონდა. ტრავმების გამო, წონაში მოიმატა და თამაშს მოუკლო. ჩააგდო მუნდიალიც. 30 წლისას ძველებური სპრინტერული სისწრაფე რომ აღარ ექნებოდა, გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა გვგონია, **ფაბიო კაპელოს** მიერ მასზე უარის თქმა მარტო ამით ყოფილიყო გამოწვეული. გადაჭრით ვერც იმას ვიტყვით, რომ იტალიელ მაესტროს რონალდოსადმი პიროვნული ანტიპათია ჰქონდა. უბრალოდ, მას აღარ სურდა უმოტივაციო ფეხბურთელთან თანამშრომლობა. და სწორად თქვა კიდეც **არიგო საკიმ**, რომელიც კაპელოსეულ პრინციპებს კარგად იცნობს: *"ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა. მას რონალდოსა და ბექჰემის ტიპის მოთამაშეები არ სჭირდება"*.

"მილანში" რონალდოს გადასვლას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა "ინტერის" ბანაკიდან. ფანების ერთ ნაწილს ის არც ადრე ეხატებოდა გულზე, მაგრამ ის ჯგუფი, თავის დროზე "რონის" რომ აღმერთებდა, ახლა აშკარად გაღიზიანებულია და ამას მოწმობს კიდეც "ინტერის" სხვადასხვა არაოფიციალურ საიტზე გავრცელებული ფოტოები, რომელთაც აქვე გთავაზობთ. სხვათა შორის, გასაკვირი იყო ყოველთვის რბილი და თავდაჭერილი **მასიმო მორატის** უარყოფითი რეაქციაც, რასაც რონალდომ ასეთი პასუხი გასცა - გავა დრო, მე და მორატი დავსხდებით და ყველაფერზე დავილაპარაკებთო...

მანამდე კი "ფენომენის" ახალ თავგადასავალს ვუყუროთ. მილანის აეროპორტში მას კლუბის გულშემატკივართა მცირე ნაწილი და ჟურნალისტთა არმია დახვდა. რონალდო იძულებული იყო, იქვე სახელდახელო ბრიფინგი გაემართა:

*"მადრიდში მუდამ ბედნიერად ვგრძნობდი თავს. "რეალში" გატარებული ოთხნახევარი წლის განმავლობაში, ბევრი მწვრთნელი შეიცვალა. ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, ყველა პატივს მცემდა, გარდა ერთი კაცისა... თავიდანვე მივხვდი, რომ კაპელოს არ ვუნდოდი. და იცით, ეს ძალიან კარგად მესმის. ყველა მწვრთნელს თავისი ხედვა და ფილოსოფია აქვს, თუ ეს მხოლოდ სპორტულ მხრეს ეხება, თუმცა ის კი არ მესმის, რა უშლის ხელს ადამიანურ ურთიერთობას? ძალიან მინდოდა "რეალში" თამაში, მაგრამ პროფესიონალი ვარ და რაკი ამის შანსი არ მომეცა, იძულებული გავხდი, გადაწყვეტილება "მილანის" სასარგებლოდ მიმეღო. დიახ, "მილანი" ერთადერთი კლუბი იყო, სადაც კარიერის გაგრძელება მსურდა... იმიტომ, რომ ეს არის "მილანი" და ამით ყველაფერია ნათქვამი. დარწმუნებული ვარ, ფანები კარგად შემხვდებიან. მჯერა იმისიც, რომ თამაშის შანსი მომეცემა, ან უკიდურეს შემთხვევაში, იმის საშუალება მაინც მექნება, რომ ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად ვიბრძოლო"*.

რონალდო უკვე გუშინ შეუდგა ვარჯიშს ახალ თანაგუნდელებთან ერთად. იმის გამო, რომ ბოლო პერიოდში სათამაშო პრაქტიკა თითქმის არ ჰქონია, მიზერულია შანსი, რომ **კარლო ანჩელოტიმ** კვირას ასკოლიში ათამაშოს. უფრო სავარაუდოა, რომ რონალდოს დებიუტი 11 თებერვალს, "ლივორნოსთან" საშინაო მატჩში შედგება...

კი გამცნეთ, **ადრიანო გალიანი** მილანში რონალდოსთან ერთად დაბრუნდება-თქო (ასეთი ინფორმაცია გაავრცელეს იტალიურმა სააგენტოებმა), მაგრამ ეტყობა, ვიცე-პრეზიდენტმა გადაიფიქრა, რადგან **რიკარდო ოლივეირას** საკითხი იმ მომენტისთვის საბოლოოდ გადაწყვეტილი არ იყო. სამშაბათის შეხვედრისას მხარეებმა თითქოს მიაღწიეს თანხმობას ბრაზილიელი ფორვარდის "რეალში" გადაბარგების თაობაზე, მაგრამ ზოგიერთი დეტალი ჯერაც გასარკვევ-შესათანხმებელია.

*"იძულებული ვარ, მადრიდში დავრჩე, - თქვა გუშინ გალიანიმ, - სატრანსფერო ფანჯარა ოთხშაბათს გვიან ღამით იხურება და იმედი მაქვს, ოლივეირას თაობაზე გადაწყვეტილებას დროულად მივიღებთ. ისე, გასარკვევი ბევრი არაფერი დარჩა, მაგრამ ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ. ჯერჯერობით, ოლივეირა "მილანის" ფეხბურთელია. ვნახოთ, რა მოხდება ოთხშაბათს. რაც შეეხება რონალდოს ტრანსფერს, ჩვენ მასში 5 მილიონ გირვანქას გადავიხდით. იქვე შევთანხმდით, რომ ეს ორ ნაწილად მოხდება. თუ "მილანი" ჩემპიონთა ლიგაში გავა, თუნდაც ეს საკვალიფიკაციო ეტაპი იყოს, "რეალს" დამატებით 330 ათასი გირვანქა უნდა გადავურიცხოთ"*.

გალიანიმ ისარგებლა შემთხვევით და **სილვიო ბერლუსკონიც** ახსენა: *"პრეზიდენტი შეგპირდათ, რომ იააპ სტამს მასიმო ოდოთი შეცვლიდა. შეგპირდათ, რომ ანდრეი შევჩენკოს წასვლის შემდეგ, რონალდოს მოიყვანდა და ესეც შეასრულა. "რონის" სხვა ვარიანტებიც ჰქონდა, მაგრამ მან "მილანი" აირჩია, რაც ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანი და საამაყოა. ჩვენ ისევ დიდი გუნდი გვეყოლება. ზაფხულში მძიმე ამბები გადავიტანეთ, მაგრამ დღეს უკვე შეგვიძლია, თავაწეულები ვიყოთ"*.

**არიედო ბრაიდა** კი მილანში მანამდე დაბრუნდა, ვიდრე რონალდოს ტრანსფერის საკითხი გადაწყდებოდა. უკვე ჩანდა, რომ საქმეში ოლივეირას ჩართვის გამო, "როსონერის" კიდევ ერთი თავდამსხმელი დასჭირდებოდა. ბრაიდასაც სწორედ ამიტომ მიეჩქარებოდა მილანში. სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე მას რამდენიმე ვარიანტზე უნდა ემუშავა. უკანასკნელი ინფორმაციით, "მილანში" გადასვლის ყველაზე დიდი შანსი იუვენტუსელ **ვალერი ბოჟინოვს** აქვს. თუმცა, ზოგიერთი ვერსიით, ბრაიდა თითქმის უკვე მოურიგდა "პალერმოს", **ანდრეა კარაჩოლოს** თაობაზე. სიაშია სამპდორიელი **ემილიანო ბონაცოლიც**.

***P.S. მხარეებმა ოლივეირას თაობაზე თანხმობას ვერ მიაღწიეს. გვიანდელი ინფორმაციით, გალიანიმ ბრაზილიელის მილანში დარჩენა დაადასტურა.***







ინტერის ფანების გესლიანი ხუმრობა.
წარწერა ფოტოზე: ალგზნებული (სექსუალურად) რონალდო იტალიაში დაბრუნდა!
კომპლიმენტები მილანს დიდი (მსუქანი) გარიგებისთვის

# ბოდიშს გიხდით, თუ გაწყენინეთ... მშვიდობით!




რონალდო, ბოლო დღე მადრიდში

**ბუნებრივია, ფენომენი მადრიდს ჟურნალისტებთან გასაუბრების გარეშე ვერ დატოვებდა. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ის მასმედიელთა ტყვეობაში აღმოჩნდა. ალბათ, ამდენი კორესპონდენტი ერთად, არც ერთ ცნობილ ადამიანს არ უნახავს...**

**- უკვე "მილანის" სრულუფლებიანი თავდამსხმელი ხართ. მადრიდში გატარებული ოთხწელიწად ნახევრის შემდეგ იძულებული გახდით, თუ იძულებული გაგხადეს, სხვა კლუბი მოგენახათ. საბოლოოდ გაირკვა, რომ ისევ იტალიაში ბრუნდებით.**

- ეს-ესაა, "მილანთან" ხელშეკრულება გავაფორმე. მივდივარ, მაგრამ მანამდე მსურს გულშემატკივრებს, რომლებიც მუდამ ჩემს გვერდით იყვნენ, მადლობა მოვუხადო. მადლობას ვუხდი ყველა ჩემს თანაგუნდელს. მათაც, ვინც ახლა "რეალში" აღარ არიან. ამ ბიჭების დახმარებასა და თანადგომას ყოველდღე ვგრძნობდი. დიდი მადლობა ყველა მწვრთნელს, ერთის გარდა.

**- ყველა ვხედავდით, რომ "რეალში" საოცრად კომფორტულად გრძნობდით თავს. მადრიდში ცხოვრებაც ძალიან მოგწონდათ. ამ დროს კი უბრალოდ გაიძულეს, რომ ბარგი ჩაგელაგებინათ და წასულიყავით. ეს გარემოებები თქვენთვის მეტისმეტად სამწუხაროა, თუ განსაკუთრებულ ყურადღებას არც აქცევთ?**

- ცხადია, სამწუხაროა. როგორც გითხარით, აქ ისე ვგრძნობდი თავს, როგორც ჩემს ბრაზილიურ სახლში. არანაირი შეგრძნება არ მქონდა, რომ სამშობლოში არ ვიყავი. სამეფო კლუბს წარმოუდგენლად ვაფასებდი და ვუფრთხილდებოდი, მაგრამ რამდენიმე თვის წინათ სიბინძურეების ლაპარაკი დაიწყეს. უბრალოდ, გულდასაწყვეტია. პირადად მე მწვრთნელთან არანაირი პრობლემა არ მქონდა. კრიტიკას ჩუმად ვისმენდი და ვცდილობდი, ხარვეზები გამომესწორებინა. გეფიცებით, მწვრთნელთან ერთხელაც არ მიჩხუბია, უფრო მეტიც, ხმამაღლაც კი არ დავლაპარაკებივარ.

**- თავად რას გეუბნებოდათ?**

- განსაკუთრებულს არაფერს, მაგრამ შესაძლებლობას არ უშვებდა ხელიდან იმის დასამტკიცებლად, რომ არ ვჭირდებოდი. "რეალიდან" წასვლის აუცილებლობისთვის თვალის გასწორება არ იყო იოლი, თუმცა სხვა გზა არ მქონდა. მე პროფესიონალი ვარ და თამაში მსურს. ფეხბურთი სიგიჟემდე მიყვარს. მოკლედ, როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მწვრთნელს არ ვჭირდებოდი, გამოსავლის ძიება დავიწყე. ხაზი უნდა გავუსვა, რომ სამი თვის განმავლობაში პრესის არც ერთ წარმომადგენელს არ დავლაპარაკებივარ. ალბათ, ბევრი თქვენგანი ნაწყენი რჩებოდა, მაგრამ არ მინდოდა, პირადი ინტერესები "რეალისაზე" მაღლა დამეყენებინა. მკვეთრი განცხადებებით, გუნდს ცხოვრებას გავურთულებდი. სამწუხაროდ, მათ ჩემი სიჩუმე საკუთარი პოზიციების გასამყარებლად გამოიყენეს.

**- ესპანურ მედიას მართლაც არ ესაუბრებოდით, მაგრამ "სტამპაში" სკანდალური სტატია დაიბეჭდა...**

- მათ ტყუილი დაწერეს. არავისთვის მითქვამს, კაპელო დემონია, "რეალი" კი ჯოჯოხეთი-მეთქი. იტალიაში ჩავალ და ამ ჟურნალისტებს პასუხს მოვთხოვ. იდიოტი ხომ არ ვარ, არ მცოდნოდა, რომ "სტამპას" ესპანეთშიც კითხულობენ?! ვიმეორებ, არ ვსაუბრობდი, რადგან სამეფო კლუბისთვის ზიანის მიყენება არ მინდოდა. ასეთი განწყობა რომ არ მქონოდა, რაღა "ლა სტამპას" გამოვიყენებდი, მოვიდოდი და თქვენ დაგელაპარაკებოდით. მოკლედ, ფაქტი ის არის, რომ მივდივარ და მსურს, ყველა კეთილ, გულწრფელ და სამართლიან ადამიანს კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა.

**- რონალდო, ასეთი დათრგუნული არასოდეს მინახიხართ...**

- რა გიკვირთ?! დათრგუნული ვარ, რადგან მადრიდს ვტოვებ. მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრება გრძელდება. ხვალიდან ჩემი "მილანისთვის" გავილიმებ და ყველაფერს ვილონებ, რათა მას დიდი წარმატებების მოპოვებაში დავეხმარო.

**- ვინ უფრო დიდი მადრიდისტაა, რონალდო, თუ კაპელო? იმიტომ გეკითხებით, რომ "რეალიდან" მან გაგაგდოთ და მოსარიდებელიც აღარაფერი გაქვთ.**

- მე მხოლოდ ის ვიცი, რომ სულით ხორცამდე მადრიდისტა ვარ და აქედან გაშვებით გული გამიტეხეს. კაპელო? ჩემი საქმე არ არის. არ ვიცი, ის ვინ არის.

**- ადიოს, რონალდო! წარმატებებსა და ბედნიერებას გისურვებთ...**

- დიდი მადლობა ყველას. ბოდიშს გიხდით, თუ ოდესმე ინტერვიუზე უარის თქმით გაწყენინეთ. მშვიდობით!

**ილია ნიკოლაიშვილი**

BUNDES LIGA





ფილიპ ტროიანის ბოხუმმა (უკანა პლანზე) მარკ ვან ბომელის ბაიერნს ორი ქულა დააკარგვინა

გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტური

# სამარცხვინო ბაიერნი!

## მაგათი გაუშვეს, ჰაინკესი გადადგა, დღეს დოლის ჯერია?

გახსოვთ, რას ამბობდა **ფელიქს მაგათი** იანვრის დასაწყისში? თუ არ გახსოვთ, გაგახსენებთ: პირველ წრეში ცუდად რომ ვიასპარეზეთ, იმის ბრალი იყო, რომ ფეხბურთელებს მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაღლა გამოჰყვათ, ახლა კი სერიოზულად მოვემზადებით, ბიჭები ძალებს აღიდგენენ და დამიჯერეთ, მეორე წრეში სულ სხვა "ბაიერნს" იხილავთ, ისეთ "ბაიერნს", როგორსაც ელითო. აქვე გაგახსენებთ კიდევ ერთ ფრაზას, რომელიც რეკორდმაისტერის ან უკვე ექსთავკაცმა პარასკევს, დორტმუნდში განცდილი მარცხის (2:3) შემდეგ თქვა: *"თუ სამშაბათს "ბოხუმსაც" ვერ მოვუგებთ, გერმანიის ჩემპიონები ალბათ ველარ გავხდებით."* აჰა, "ბაიერნმა" ვერც "ბოხუმს" მოუგო (თანაც საკუთარ მოედანზე) და ერთი გოლი რაა, ისიც კი ვერ გაუტანა გუნდს, რომელსაც გასვლით შეხვედრებში ერთ-ერთი ყველაზე უარესი ბალანსი აქვს. რა დასკვნები უნდა გაკეთდეს ყოველივე ზემოთ თქმულიდან? დასკვნა პირველი: მაგათს ალღომ უმტყუნა, პირველ წრეში "ბაიერნის" ცუდი შედეგები, მუნდიალიდან გამოყოლილი გადაღლილობის ბრალი სულაც არ ყოფილა, აქ სხვა რაღაცაში იყო საქმე, რადგან რეკორდმაისტერის ფეხბურთელებს ძალების აღსადგენად საკმარისზე მეტი დრო ჰქონდათ. დასკვნა მეორე: მაგათმა დანაპირები ვერ შეასრულა - მეორე წრის ორი შეხვედრიდან "ბაიერნს" მხოლოდ ერთი ქულა აქვს! და თუ ისევ და ისევ ფელიქსის სიტყვებს დავეყრდნობით, მიუნხენური გიგანტი (სიტყვა გიგანტის ხმარება უკვე ძალიან გვეხამუშება) გერმანიის ჩემპიონი წესით ველარ უნდა გახდეს. ჰოდა, არცაა გასაკვირი, რომ ბავარიული გუნდის შეფებმა "დესპოტი ფელიქსი" გაათავისუფლეს!

"ბაიერნის" მიერ "ბოხუმთან" ნაჩვენები თამაშის ხარისხს გიგანტურის გარდა ყველაფერი ეთქმოდა - უაზრო, უმიზნო, უინიციატივო, მხდალი, ზანტი, ამაზრზენი. ერთი სიტყვით, რეკორდმაისტერმა "ბოხუმთან" ულიმღამო ფრე ითამაშა და ამ შედეგმა ბავარიელები მეოთხე ადგილამდე ჩამოაქვეითა. დიახ, "ბაიერნი" ახლა უკვე "შტუტგარტსაც" ჩამორჩება. მას მერე, რაც "ალიანს არენა" გაიხსნა, "ბაიერნის" საშინაო თამაშს ასე ცოტა მაყურებელი არასდროს დასწრებია. ეს გრანდიოზული სტადიონი ყველა მატჩის დროს პირთამდე ივსებოდა ხოლმე (69 000), ახლა კი, ბავარიელთა თამაშის ხილვა, მხოლოდ 64 000-მა ფანმა მოისურვა. ესეც კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რომ რეკორდმაისტერს კრიზისი უდგას. კაცმა რომ თქვას, "ბაიერნმა" ასეთი თამაშით სავსე ტრიბუნები ნამდვილად არ დაიმსახურა.

"ბოხუმმა" საკუთარი თავი ძალიან კარგად წარმოაჩინა, ზუსტად ისე, როგორც ბუნდესლიგაში დარჩენისთვის მებრძოლ გუნდს შეეფერება. რურელები თავს კარგად იცავდნენ - ეს იყო და ეს. და ასეთი მარტივი მიდგომა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მიუნხენიდან ქულა წაეღოთ. რა გასაკვირია, რომ ასეთი "ბაიერნის" წინაშე უკვე "ბოხუმიც" კი აღარ ძრწოდა. რურელთა ალჟირელმა ახალწვეულმა **ანტარ იაიამ** დაცვის ცენტრში იმდენად კარგად ითამაშა, რომ გამორიცხული არაა, "ბაიერნის" მენეჯერი **ული ჰიონესი** ამ უკანასკნელის შეძენაზე დაფიქრდეს. ირონია იქით იყოს და მაგათმა გუნდი რამდენიმე პოზიციაზე შეცვალა: **ვილი სანიოლი** განაცხადს მიღმა დატოვა, გადაღლილიაო, და მის ნაცვლად მარჯვენა მცველის პოზიციაზე **ოტლი** ათამაშა, რომელმაც აშკარად ვერ ივარგა. **სალიჰამიჯიჩი** მარჯვენა ფლანგიდან მარცხენაზე გადაიყვანა, **ქარიმის** ნაცვლად კი, **დემიკელისი** გაამწესა. ფლეიმეიქერის ფუნქციებს ამჯერად **შვაინშტაიგერთან** ერთად **ვან ბომელიც** ითავსებდა, მაგრამ არც ამით გამოვიდა რამე - მიუნხენელებმა მხოლოდ ორი რეალური მომენტი შექმნეს. მეორე ტაიმში მაგათმა ამაზრზენი **პისაროს** ნაცვლად მოედანზე **პოდოლსკი** შეუშვა, მაგრამ იმედები ვერც ამ უკანასკნელმა გაუმართლა.

საფინალო სასტვენის შემდეგ, "ალიანს არენის" პუბლიკამ "ბაიერნის" ფეხბურთელები მოედნიდან სტვენით გააცილა, **რუმენიგემ** და ჰიონესმა კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადეს, კაპიტანმა **ოლივერ კანმა** კი მხოლოდ ესლა თქვა: *"ფაქტია, რომ გუნდი ზეწოლას ველარ უძლებს. რაც მართალია, მართალია, ჩვენ არ ვართ პირველ ადგილზე ყოფნის ღირსი."* მოკლედ, "ბაიერნში" ხანძარია! მეხანძრის როლი კი **ოტმარ ჰიტცფელდმა** უნდა იტვირთოს!

რომ არა მაგათის გათავისუფლება, დღის მთავარი თემა კიდევ ერთი მწვრთნელის წასვლა იქნებოდა. საუბარია **იუპ ჰაინკესზე**, რომელიც მიონხენგლადბახის "ბორუსიიდან" აიბარგა. "გლადბახმა" საკუთარ მოედანზე "ნიურნბერგს" ვერ მოუგო (0:0), რაც "ბორუსიის" ხელმძღვანელების მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი აღმოჩნდა. არადა, გამოცდილი "დონ იუპისთვის" ეს რიგით 501-ე შეხვედრა გახლდათ ბუნდესლიგაში. თავიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ 61 წლის სპეციალისტი გაათავისუფლეს, შემდეგ კი გაირკვა, რომ ჰაინკესმა პოსტი საკუთარი ნება-სურვილით დატოვა და თანაც, ყოველგვარ კომპენსაციაზე (კონტრაქტი 2008 წლამდე ჰქონდა გაფორმებული) უარი თქვა. "დონ იუპს", რომელიც მიონხენგლადბახურ კლუბს 2006 წლის 1 ივლისიდან თავკაცობდა, დროებით, მისი ასისტენტი **იოს ლუჰუკეი** შეცვლის. ამრიგად, ჰაინკესი 13 მატჩიანმა მოუგებელმა სერიამ შეიწირა. "ბორუსიის" ბოლო გამარჯვება 14 ოქტომბრით თარიღდება (3:1 "ვოლფსბურგთან").

ნიურნბერგში განცდილი სამარცხვინო მარცხის შემდეგ (1:4), "შტუტგარტმა" ფანების თვალში რეაბილიტაცია შეძლო. შვაბებმა ბილეფელდის "არმინიას" უმასპინძლეს და 3:2 დაამარცხეს. მატჩის გმირი კი **მარიო გომესი** გახდა - თავდამსხმელი, რომელსაც მიმომხილველები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მარიომ **თომას ფონ ჰეეზენის** გუნდს დუბლი შეუსრულა და ამრიგად, მიმდინარე სეზონში უკვე 10 გოლი აქვს. ახალგაზრდა ფორვარდმა პირველი გოლი მე-9 წუთზე, **კაკაუს** პასით შეაგდო. 26-ე წუთზე ბილეფელდელმა **აიგლერმა** წონასწორობა აღადგინა, მაგრამ მეორე ტაიმში, 52-ე და 59-ე წუთებზე კაკაუმ და გომესმა კიდევ თითოჯერ იხეირეს და "არმინიამ" მხოლოდ ერთი გოლის გატანაღა შეძლო (**აჰანფუფი**, პენალტით). სამშაბათსვე, "ვოლფსბურგმა" და "აინტრახტმა" ქულები გაიყვეს (2:2).

ლიდერებმა, "ვერდერმა" და "შალკემ" "ბაიერნის" მორიგი ნაფორხილებით შესანიშნავად ისარგებლეს და გერმანიის მოქმედ ჩემპიონს ორივე მათგანი უკვე 8 ქულით უსწრებს. "მუსიკოსებმა" ლევერკუზენიდან წაიღეს სამი ქულა (2:0), გელზენკირხენელებმა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, "ალემანიას" მოუგეს (2:1). "ვერდერს" "ფარმაცევტების" დამარცხება არ გასჭირვებია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ **ანდრეი ვორონინმა** "მუსიკოსთა" კარის ძელი ორჯერ შეაზანზარა. **თომას შააფის** შეგირდებმა მათთვის ჩვეული, შემტევი ფეხბურთი ითამაშეს და საწადელს **მიროსლავ კლოზესა** და **უგო ალმეიდას** გოლებით მიაღწიეს. აღსანიშნავია, რომ "ლევერკუზენი" 73-ე წუთიდან კაცნაკლული (**კასტრო** გააძევეს) თამაშობდა. რაც შეეხება "შალკეს" - **მირკო სლომკას** სამწყსოს აახენელთა დამარცხება ერთობ გაუჭირდა. **ლევან კობიაშვილის** გუნდი თავიდან აგებდა, თუმცა წონასწორობა მალევე აღადგინა: ანგარიში **რაფინიამ** თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან გაათანაბრა (მოგეხსენებათ, რომ ბრაზილიელი მარჯვენა მცველი გელზენკირხენელთა ახალი პენალტისტია). გადამწყვეტი გოლი კი **კევინ კურანიმ** აახენელ **სიჩონს** საკუთარ კარში გაატანინა. კობიმ 90 წუთი ითამაშა, თავიდან ნახევარდაცვაში, მეორე ტაიმიდან კი მარცხენა მცველი გახლდათ. მოკლედ, "შალკემ" გაჭირვებით, მაგრამ მოიგო და "ვერდერს" ჩამორჩა. მიუხედავად იმისა, რომ გელზენკირხენელებმა არც ისე კარგად ითამაშეს, საბოლოო ჯამში გამარჯვება ნამდვილად დაიმსახურეს. საინტერესო ის გახლავთ, რომ კვირას "ვერდერი" "შალკეს" მასპინძლობს. ამრიგად, მომდევნო ტურში სუპერმატჩი გველის!

"ჰანოვერმა", ყველასათვის მოულოდნელად, ბერლინის "ჰერტას" გადაუარა. "წითლებმა" დედაქალაქელებს, არც მეტი, არც ნაკლები, 5 (!) უპასუხო გოლი გაუტანეს. 5-იდან 3 გოლი ცენტრალური მცველების, **ვინიციუსისა** და **ფარენჰორსტის** ანგარიშზეა. აქედან, პირველმა სულაც დუბლი შეასრულა. "ჰერტა" მეხუთე ადგილზე დარჩა, მაგრამ ეს წაგება ბერლინელთა თავკაცის, **ფალკო გიოტცის** სკამს გვარიანად მოარყევს.

ამ დღეებში კიდევ ერთი მწვრთნელის გათავისუფლებას უნდა ველოდოთ. საუბარია "ჰამბურგის" თავკაც **თომას დოლზე**. HSV-ს განამებულმა დამრიგებელმა ტურის წინ თქვა, თუ "კოტბუსსაც" ვერ მოვუგებთ, ჭკუიდან შევიშლებიო. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოელებმა ისევ ვერ გაიმარჯვეს (1:1), დოლის გაგიჟების შესახებ ინფორმაცია წუხელ გვიანობამდე არ გავრცელებულა. თომასი ფსიქიატრიულში, იმედია, არ მოხვდება, სამაგიეროდ, ალბათ უმუშევარი დარჩება. შეგახსენებთ, რომ 10 თვეა, "ჰამბურგს" ბუნდესლიგაში საკუთარ მოედანზე არ მოუგია. მიმდინარე სეზონში კი მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვს. ამ ფრის შემდეგ HSV ბოლო ადგილზეა, რადგან "მაინცმა" ისევ მოიგო ("დორტმუნდთან" 1:0) და გადაასწრო. ყველაფერს აქვს საზღვარი - დოლის გუნდი ზაფხულამდე ამაზე ქვემოთ ნაღდად ველარ დაეშვება!

### შტუტგარტი-არმინია 3:2

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი-3.5, ოსორიო-4, დელპიერი-4, მეირა-3, მანინი-4, ჰილბერტი-3, პარდო-2.5, და სილვა-4 (74. გენტნერი), ჰიტცლშპერგერი-4, გომესი-2 (80. შტრელერი), კაკაუ-2 (80. ლაუთი).

**არმინია:** ჰაინი-4.5, კორზინიტცი-5, ვეშტერმანი-5, ბორგესი-5.5, შულერი-4, ზუმა-5 (83. ბიომე), კაუფი-3.5, მარქსი-3 (79. აჰანფუფი), მასმანიდისი-4, აიგლერი-3.5, ვიხნიარეკი-4 (46. კამპერი-4.5).

**გოლები:** 1:0 გომესი (9), 1:1 აიგლერი (26), 2:1 კაკაუ (52), 3:1 გომესი (59), 3:2 აჰანფუფი (87-პენ).

**გაძევება:** ბორგესი (91).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 15-9; **კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 26-18; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 23 000.

### ბაიერნი-ბოხუმი 0:0

**ბაიერნი:** კანი-2.5, ოტლი-5.5 (73. სანტა კრუსი), ლუსიო-3.5, ვან ბუიტენი-3.5, ლამი-5.5, დემიკელისი-4, სალიჰამიჯიჩი-5, შვაინშტაიგერი-3.5, ვან ბომელი-3.5, მაკაი-4, პისარო-5 (46. პოდოლსკი-4).

**ბოხუმი:** დრობნი-3, შრიოდერი-3, იაია-3.5, მალტრიტცი-3, ბიონიგი-4, ცდებელი-3, დაბროვსკი-3.5, ეპალე-4, მიშიმოვიჩი-3 (90. დრშეკი), ტროიანი-4 (77. ილიჩევიჩი), გეკასი-3 (85. ფაბიო ჟუნიორი).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 22-8; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 11-21; **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 64 000.

### ვოლფსბურგი-აინტრახტი 2:2

**ვოლფსბურგი:** იენტცში-3.5, კიროგა-3.5, ჰოფლანდი-4, მადლუნგი-3.5, ვან დერ ჰეიდენი-4, მენსეგესი-4 (73. ჰილი), კარჰანი-3.5 (68. ჰანკე-2.5), ვან დერ ლეეგტე-3.5, კრჟინოვეკი-4, მარსელინიო-3.5, კლიმოვიჩი-3.

**აინტრახტი:** პრიოლი-3.5, ოხსი-4, კირიაკოსი-3.5, ვასოსკი-4, შპიხერი-4.5, ჯოუნსი-4, კრისი-3 (67. ამანატიდისი-4), შტრაიტი-3, ა. მაიერი-2.5, თურკი-3 (76. რუსი).

**გოლები:** 1:0 კლიმოვიჩი (8), 1:1 თურკი (63), 1:2 ა. მაიერი (69), 2:2 ჰანკე (72).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 11-15; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 22-27; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 15 097.

### ბორუსია (მ)-ნიურნბერგი 0:0

**ბორუსია (მ):** კელერი-3.5, ბიოგელუნდი-4.5, სვენსონი-3.5, ზე ანტონიო-3, კომპერი-4, პოლანსკი-4.5, დ. დეგენი-4.5 (82. დელურა), იანსენი-3, თიგესენი-5 (66. ბაუმიოჰანი-4), ინსუა-4, კაჰე-4.5.

**ნიურნბერგი:** შეფერი-4, დ. რაინჰარდტი-3.5, ვოლფი-2.5, ნიკლი-3.5 (90. სპირანოვიჩი), პინოლა-3, მნარი-3.5, გალაშეკი-3, გრეშკო-4.5, ვიტეკი-4, შროთი-4.5 (78. პოლაკი), საენკო-5.

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 7-7; **კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 31-34; **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 33 116.

### ლევერკუზენი-ვერდერი 0:2

**ლევერკუზენი:** ბუტი-3.5, ჰაგი-3, ჟუანი-4, ბაბიჩი-3.5, ბ. შნაიდერი-4, როლფესი-4, ფრაიერი-3.5, ბარბარესი-3.5, ბარნეტა-4 (46. კისლინგი-4), ვორონინი-3.5.

**ვერდერი:** რაინკე-2.5, კ. ფრიტცი-3.5, მერტეზაკერი-3.5, ნალდო-2.5, ვომე-3, ფრინგსი-3, დ. იენსენი-3.5 (87. ვრანიეში), ბოროვსკი-2, დიეგო-4 (81. შულცი), ჰანტი-4 (46. უგო ალმეიდა-3), კლოზე-3.

**გოლი:** 0:1 კლოზე (15), 0:2 ალმეიდა (78).

**გაძევება:** კასტრო (73. ლევერკუზენი).

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 19-18; **კუთხური:** 8-8; **ჯარიმა:** 19-20; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 22 500.

### ჰანოვერი-ჰერტა 5:0

**ჰანოვერი:** ენკე-3, ჩერუნდოლო-2.5, ვინიციუსი-1.5, ფარენჰორსტი-2, ტარნატი-3, ბალიტში-3.5, ლალა-2.5, იანკოვი-2.5 (67. ბრუგინკი-3.5), როზენტალი-2.5 (72. შტაინერი), ჰუშტი-1.5 (79. ჰალფარი), ჰაშემიანი-2.

**ჰერტა:** ელეგაარდი-5, ა. ფრიდრიხი-5.5, ჯ. ბოატენგი-4, ა. შმიდტი-5, ფათი-5, დარდაი-4.5, დეიაგა-4, ჩამოურქი-5, გილბერტო-5, ხიმენესი-5.5 (60. ლაკიჩი-4), პანტელიჩი-5.5 (74. ნოიენდორფი).

**გოლები:** 1:0 ვინიციუსი (16), 2:0 ვინიციუსი (37), 3:0 ფარენჰორსტი (45), 4:0 როზენტალი (64), 5:0 ლალა (76).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 14-10; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 19-15; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 33 000.

### მაინცი-ბორუსია (დ) 1:0

**მაინცი:** ვახე-1.5, დემირტასი-4, მ. ფრიდრიხი-3, ნოვესკი-3, ვაიგელტი-3.5, ფ. გერბერი-3 (90. დუ-რი ჩა), ანდრეასენი-2, პეკოვიჩი-3.5, ფოილნერი-2.5, ჟაბიში-4.5 (59. რუმანი-3.5), ნიკულაე-5 (59. იოვანოვიჩი-3).

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-4, პ. დეგენი-4.5, ბრჟენსკა-4, კ. მეტცელდერი-4.5, დედე-3 (87. ამედიკი), კრუსკა-4, ტინგა-5 (78. რიკენი), კრინგე-2.5, პიენაარი-5 (69. ნ. შაჰინი-4), ფრაი-4, ვალდესი-5.

**გოლი:** 1:0 ანდრეასენი (61-პენ).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 13-13; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 21-16; **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 20 300.

### შალკე-ალემანია 2:1

**შალკე:** ნოიერი-3, ბორდონი-3.5, კრსტაიჩი-4, როდრიგესი-5 (46. ბაირამოვიჩი-4), ფ. ერნსტი-4, კობიაშვილი-4, ლინკოლნი-5 (77. ჰამით ალთინთოფი), ვარელა-5 (61. ჰალილ ალთინთოფი-4.5), ლოვენკრანდსი-4, კურანი-5.

**ალემანია:** შტრაუბი-3, კლიტცპერა-4, სიჩონი-4.5, ლეივაკაბესი-4, მ. ლემანი-4, რეგეკამპფი-4, ფილი-4 (79. კუოტჩალა), რიოსლერი-4 (61. დუმი-5), იბიშევიჩი-3.5, ებერსი-4.5.

**გოლები:** 0:1 იბიშევიჩი (17), 1:1 რაფინია (23-პენ), 2:1 სიჩონი (74-საკ. კარში).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 17-10; **კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 23-23; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 61 482.

### ჰამბურგი-კოტბუსი 1:1

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-3, ბენჯამინი-3, ბ. რაინჰარდტი-4, მატიისენი-3, ატუბა-4, დე იონგი-4, იაროლიმი-2.5, სორინი-3.5 (58. სანოგო-3), ლაასი-4.5 (83. ფაილჰაბერი), ლიუბოჟა-4.5 (69. ბერიშა-4), ოლიჩი-5.

**კოტბუსი:** პიპლიცა-3, ჟელესი-3, მაკენა-2.5, მიტრესკი-4, კვიტანოვიჩი-3.5, ტ. როსტი-4.5, ბანდროვსკი-4 (73. ბაუმგარტი), მუნტეანუ-4 (66. შაო-4.5), გუნკელი-4.5 (66. ციბიგი-4), რადუ-3, კიოიო-4.5.

**გოლები:** 1:0 სორინი (4-პენ), 1:1 რადუ (8).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 23-6; **კუთხური:** 11-1; **ჯარიმა:** 14-22; **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 52 484.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ვერდერი | 19 | 13 | 3 | 3 | 52-22 | 42 |
| 2.შალკე | 19 | 13 | 3 | 3 | 34-19 | 42 |
| 3.შტუტგარტი | 19 | 10 | 5 | 4 | 32-25 | 35 |
| 4.ბაიერნი | 19 | 10 | 4 | 5 | 32-22 | 34 |
| 5.ჰერტა | 19 | 8 | 7 | 4 | 30-25 | 31 |
| 6.ლევერკუზენი | 19 | 8 | 4 | 7 | 31-28 | 28 |
| 7.ნიურნბერგი | 19 | 5 | 12 | 2 | 25-17 | 27 |
| 8.ბორუსია (დ) | 19 | 6 | 7 | 6 | 24-24 | 25 |
| 9.არმინია | 19 | 5 | 8 | 6 | 26-23 | 23 |
| 10.ჰანოვერი | 19 | 5 | 6 | 8 | 16-29 | 21 |
| 11.კოტბუსი | 19 | 5 | 6 | 8 | 22-26 | 21 |
| 12.აინტრახტი | 19 | 4 | 9 | 6 | 25-33 | 21 |
| 13.ვოლფსბურგი | 19 | 4 | 8 | 7 | 15-20 | 20 |
| 14.ალემანია | 19 | 5 | 4 | 10 | 31-38 | 19 |
| 15.ბოხუმი | 19 | 5 | 4 | 10 | 22-31 | 19 |
| 16.მაინცი | 19 | 3 | 8 | 8 | 13-30 | 17 |
| 17.ბორუსია (მ) | 19 | 4 | 4 | 11 | 14-26 | 16 |
| 18.ჰამბურგი | 19 | 1 | 12 | 6 | 18-24 | 15 |

**ბომბარდირები:** 11 - კლოზე (ვერდერი), პანტელიჩი (ჰერტა); 10 - მაკაი (ბაიერნი), გომესი (შტუტგარტი); 8 - კურანი (შალკე), დიეგო (ვერდერი), ფრაი (დორტმუნდი); 7 - ტაკაჰარა (აინტრახტი), გეკასი (ბოხუმი), კაკაუ (შტუტგარტი), რადუ (კოტბუსი), მუნტეანუ (კოტბუსი).

მომდევნო ტური

2 თებერვალი. **ნიურნბერგი-ბაიერნი.** 3 თებერვალი. **ჰერტა-ჰამბურგი, ვოლფსბურგი-ლევერკუზენი, არმინია-ბორუსია (მ), აინტრახტი-მაინცი, ალემანია-ჰანოვერი, კოტბუსი-ბოხუმი.** 4 თებერვალი. **ვერდერი-შალკე, ბორუსია (დ)-შტუტგარტი.**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXV ტური

# ბრძოლა გრძელდება

## ემლი კოული გაურკვეველი ვადით დაისვენებს...



მანჩესტერი შეუჩერებელია

"მანჩესტერ იუნაიტედმა" **სერ ალექს ფერგიუსონს** მშვიდად დაძინების საშუალება მისცა. "ეშმაკებმა" მაჩანჩალა "უოტფორდს" დიდი ანგარიშით მოუგეს და "ჩელსისთან" ექვსქულიანი სხვაობა შეინარჩუნეს. "არსენალთან" 10 დღის წინანდელი მარცხის შემდეგ ფერგიმ აღიარა, მთელი ღამე ბოლო წუთზე გაშვებულ გოლი მელანდებოდაო. ამჯერად მწვრთნელს სანერვიულო არაფერი ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით, შედარებით სუსტად ჩატარებულ პირველ ნახევარს. ისიც საყურადღებოა, რომ "მენიუს" "ჩელსიზე" ბევრად უკეთესი ბურთების ბალანსი აქვს - 25 ტურის შემდეგ +14 მანჩესტერელთა სასარგებლოდ და ეს სხვაობა ყოველ ტურში იზრდება. მას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს ჩემპიონატის ბოლოს, თუ ლიდერები ერთნაირ ქულებს დააგროვებენ. "იუნაიტედმა" 4:0 მეორედ მოიგო. სამი თვის წინ "ეშმაკებმა" "ბოლტონსაც" ოთხი უპასუხო გოლით ასიამოვნეს.

კვირას "მანჩესტერს" რთული მატჩი აქვს - სტუმრად "ტოტენჰემთან". სერ ალექსმა ლონდონისთვის ერთბაშად ოთხი გამოცდილი ფეხბურთელი შემოინახა - **რაიან გიგზი, პოლ სქოულზი, ედვინ ვან დერ სარი** და **ჰენრიკ ლარსონი** თადარიგში გაამწესეს.

**კირან რიჩარდსონს** თავის გამოჩენის საშუალება მიეცა, მაგრამ მან ამით ვერ ისარგებლა. "უოტფორდი" მთელი შემადგენლობით საკუთარ ნახევარზე გამაგრდა და მეტოქის შეტევების ჩაშლაზე დაიწყო ზრუნვა. სტუმართა კარს საფრთხე თითქოს არსაიდან ემუქრებოდა, როცა მე-20 წუთზე პენალტით დაისაჯნენ. **ჯეი დემერიტმა ოლე გუნარ სოლსკიაერს** მაისურზე ინსტინქტურად მოქაჩა. ეს უკანასკნელი რუნის გამჭოლი პასის დაუფლებას ცდილობდა. **კისტიანო რონალდომ** საჯარიმო ზუსტად შეასრულა.

ცოტა ხანში მანჩესტერელები გოლს გადაურჩნენ. ყველაფერი მეკარე **ტომაშ კუშჩაკის** შეცდომას მოჰყვა. მან **კრის პაუელის** ჩაწოდების ტრაექტორია ვერ გათვალა. შედეგად, ბურთი, რომელიც კუთხურზე უნდა გადაეგდო, ძელს მოხვდა. ამ ეპიზოდმა "იუნაიტედი" გამოაცოცხლა. **ნემანია ვიდიჩმა** კუთხურების გათამაშებისას ორჯერ სახიფათოდ შეუტია მეტოქის კარს.

თამაშის სცენარი მეორე ნახევარშიც არ შეცვლილა. მე-60 წუთზე "უოტფორდი" მეორედ დაამწუხრეს. რიჩარდსონმა მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა. მაღალ ბურთზე **დოილი** და რონალდო ახტნენ. სტუმართა მცველმა იმარჯვა, მაგრამ მოგერიების ნაცვლად ბურთი საკუთარ კარში მოათავსა. მატჩი, ფაქტობრივად, იმ ეპიზოდში დასრულდა. უოტფორდელები იმდენად აიჭრნენ, რომ **ადრიან მარიაპამ** კინაღამ მეორე ავტოგოლი გაიტანა.

ამასობაში, სოლსკიაერი ლარსონმა შეცვალა. შვედმა მინდორზე გამოსვლიდან ხუთ წუთში გაიტანა. მან რუნისთან ორსვლიანი კომბინაცია გაითამაშა და შეაგდო. ერთ წუთში რონალდოსა და რუნის კომბინაცია ამ უკანასკნელმა მეოთხე გოლით დაასრულა...

მთლად ოთხი არა, მაგრამ "ჩელსიმ" "ბლექბერნს" სამი უპასუხო გოლი გაუტანა. ტრავმის გარეშე არც ამ საღამოს ჩაუვლია. "არისტოკრატებს" მარცხენა მცველი **ემლი კოული** დაუშავდათ. ის მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს. ექიმები ეჭვობენ, რომ კოულს მუხლის მყესები უნდა ჰქონდეს დაზიანებული, რაც საუკეთესო შემთხვევაში სამ-ოთხ კვირიან დასვენებას მოასწავებს. "ჩარლტონთან" მომდევნო ტურის შეხვედრაში "ჩელსის" **ჯონ ტერი** უნდა დაუბრუნდეს. კაპიტნის გამოჯანმრთელება გუნდისთვის ნამდვილი შვება იქნება. ისიც სათქმელია, რომ "ბლექბერნის" იშვიათ იერიშებს ლონდონელთა შესუსტებული უკანა ხაზიც უპრობლემოდ გაუმკლავდა.

ეფექტურად ითამაშა **დიდიე დროგბასა** და **ანდრეი შევჩენკოს** დუეტმა თავდასხმაში. უკრაინელმა იმდენი იშრომა, რომ მოედნიდან გასვლისას მოურინიომ ტაში დაუკრა და გადაეხვია კიდეც. დროგბამ კი სეზონის 23-ე გოლი მე-6 წუთზე შეაგდო და სტუმრებს ბრძოლის ჟინი მთლად თუ არ გაუქრო, გაუნახევრა მაინც. მან **ფრენკ ლემპარდის** გადაცემით ისარგებლა, მცველს გაექცა და **ფრედ ფრიდელს** შორ დაბალ კუთხეში გაუტანა.

ერთ წუთში შევჩენკოს ანგარიშის გაორმაგება შეეძლო, მაგრამ ფრიდელმა მოიგერია. ანდრეიმ კიდევ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შექმნა, მაგრამ ბოლო ფაზაში სცოდავდა, ან ფრიდელი აკეთებდა საუცხოო სეივებს.

გოლის გატანა "ბლექბერნსაც" შეეძლო. **მიკაელ ესიენმა**, რომელმაც ორი წუთით ადრე სტუმარ თავდამსხმელს გასატანად გამზადებული ბურთი ფეხიდან ააცალა, **პეტრ ჩეხს** უხეირო პასი მიაწოდა. ბურთს **მეტ დერბიშირი** დაეუფლა. **რიკარდო კარვალიომ** მისი დარტყმული კარის ხაზიდან გამოიტანა.

მეორე ნახევარი **მიხაელ ბალაკის** თავურით დაიწყო. ფრიდელმა გერმანელის იერიშიც მოიგერია. მერე იყო კოულის ტრავმა. მერე შევას კიდევ ერთი დიდებული მომენტი. აი, 67-ე წუთზე კი სტუმრებს ეშმაკიც კი ვერ გადაარჩენდა. ლემპარდმა საუცხოო გოლი გაიტანა და პირადი საამსეზონო აქტივი 16 ბურთამდე აიყვანა. "ბლექბერნის" დაკნინება შეცვლაზე შესულმა **სოლომონ კალუმ** დაასრულა. საგოლე გადაცემა ბალაკისა იყო...

"ვესტ ჰემმა" მორიგი მარცხი იწვნია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა მათ ვერავინ გაამტყუნებს. "ჩაქუჩებს" მადაზე მოსული "ლივერპული" ესტუმრა და **დირკ კუიტისა** და **პიტერ კრაუჩის** გოლებით მოუგო.

კუიტმა მასპინძლები მეორე ტაიმის მე-12 წამზე დაამწუხრა. შემდეგ კრაუჩმაც გაიხსენა, რომ იმ დღეს 26-ე დაბადების დღე ჰქონდა და **როი ქეროლს** ცხრიანში გაუტანა. "ვესტ ჰემმა" მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხა. ეს "სევილიიდან" იჯარით გადაყვანილმა **კეპა ბლანკომ** შეძლო, რომელიც სადებიუტო მატჩში ბოლო 15 წუთი ათამაშეს და შესვლიდან ორ წუთში გამოიჩინა თავი. ლივერპულელებმა სტუმრად ზედიზედ მესამედ გაიმარჯვეს, ლონდონელები კი ისევ გასავარდნი ზონის ბინადრები არიან.

თამაში ძალიან ჰგავდა ამ გუნდების ცხრა თვის წინანდელ სათასო ფინალს. იმ განსხვავებით, რომ მაშინ "ვესტ ჰემის" კაპიტანი **ნაიჯელ რეო-კოკერი** გაცილებით უკეთეს ფორმაში იყო. "ჩაქუჩების" მაშინდელი შემადგენლობიდან მოედანზე მხოლოდ სამი ფეხბურთელი იყო გამოსული.

**რაფა ბენიტესმა** სამი თავდამსხმელი და სამი მცველი გამოიყვანა. "ლივერპულს" ანგარიშის გახსნა პირველ ნახევარშიც შეეძლო. კრაუჩის სახიფათო იერიშს **ჯორჯ მაკარტნი** გადაეღობა. მე-13 წუთზე სტუმრებმა პენალტის დანიშვნა მოითხოვეს. **ჯონათან სპექტორისა** და **იონ არნე რიისეს** ორთაბრძოლა ამ უკანასკნელის წაქცევით დასრულდა, მაგრამ წესების დარღვევა არ დაფიქსირდა.

შესვენების შემდეგ "ლივერპულის" პირველივე იერიში შედეგიანი აღმოჩნდა. კუიტმა სეზონის მეათე გოლი 25 იარდიდან მაღალ კუთხეში გაიტანა. რვა წუთში ასეთივე ეფექტური გამოვიდა კრაუჩის ბურთი. საგოლე გადაცემა რიისეს აქტივში ჩაიწერა. ორი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა **კრეიგ ბელამის**, მაგრამ კოლეგებს მხარი ვერ აუბა...

"ვიგანმა" ზედიზედ მეცხრედ წააგო. ეს **პოლ ჯუელის** კლუბის ანტირეკორდია. ვიგანელები გასავარდნ ზონას დაუახლოვდნენ. იმის გამო, რომ გუნდს ოთხსაათნახევარი უგოლო სერია ჰქონდა, ჯუელმა "შახტიორის" თავდამსხმელი **ჯულიუს აგაჰოვა** შეიძინა. ნიგერიელს არ უთამაშია, მაგრამ **ემილ ჰესკიმ** თამაშის დაწყებიდან სამ წუთში გაიტანა...

"შეფილ იუნაიტედმა" "ფულჰემის" დამარცხებით იმდენი მოახერხა, რომ გასავარდ ზონას შვიდი ქულით დაშორდა. **ნილ უორნოკის** გუნდს ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია ჰქონდა და ეს გამარჯვება მხოლოდ მეორე გახლდათ უკანასკნელ რვა შეხვედრაში. საინტერესო გახლდათ ისიც, რომ იმ საღამოს "ფულჰემმა" ბოლო 11 მატჩში პირველად წააგო.

"პორტსმუთმა" "მიდლსბროსთან" ვერაფერი გააწყო. რივერსაიდელთა დაცვამ **ჯონათან ვუდგეიტის** მეთაურობით თამაში, ფაქტობრივად, უშეცდომოდ ჩაატარა. მადრიდის "რეალის" მცველმა, რომელიც "ბოროში" იჯარით თამაშობს, მთლიანად დაჩრდილა კოლეგა მასპინძელი გუნდიდან - **სოლ კემპბელი**...

ამ ტურში კიდევ ერთი თამაში დასრულდა ფრედ: "ბოლტონი" შინ "ჩარლტონს" დაუზავდა, 1:1.

მომდევნო ტური

3 თებერვალი. **ასტონ ვილა-ვესტ ჰემი, ბლექბერნი-შეფილდი, ჩარლტონი-ჩელსი, ფულჰემი-ნიუკასლი, ლივერპული-ევერტონი, მანჩესტერ სიტი-რიდინგი, მიდლსბრო-არსენალი, უოტფორდი-ბოლტონი, ვიგანი-პორტსმუთი.** 4 თებერვალი. **ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი.**

**ვესტ ჰემი–ლივერპული 1:2**

**ვესტ ჰემი:** ქეროლი, სპექტორი, დეილი, დევენპორტი, მაკარტნი, ბენაიუნი, რეო კოკერი, კვოში, ბოა მორტე, კოული (73. ზამორა), ჰერვუდი (76. კეპა).

**ლივერპული:** რეინა, ფინენი, ჰიიპია, აგერი, კარაგერი, ბელამი (85. გონსალესი), ჯერარდი, ალონსო, რიისე, კუიტი (90. ფაულერი), კრაუჩი (71. პენანტი).

**გოლები:** 0:1 კუიტი (46), 0:2 კრაუჩი (53), 1:2 კეპა (77).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 13(6)-15(9); **ჯარიმა:** 11-8; **კუთხური:** 4-9.

**მაყურებელი:** 34 966

**პორტსმუთი–მიდლსბრო 0:0**

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ჯონსონი, პრიმუსი, კემპბელი, ტრაორე (69. დუალა), ონილი, ლორენი, პედრო მენდესი, ტეილორი, მვარუვარი (73. ლუალუა), კანუ (81. კოული).

**მიდლსბრო:** ჯოუნსი, შავიერი, ვუდგეიტი, პოგატეცი, ტეილორი, მორისონი (81. კრისტი), ბოატენგი, კატერმოული, არკა, დაუნინგი, იაკუბუ (90. იუელი).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 15(4)-3(3); **ჯარიმა:** 10-10; **კუთხური:** 10-5.

**მაყურებელი:** 19 820

**რედინგი–ვიგანი 3:2**

**რედინგი:** ჰანემანი, მერტი, ინგიმარსონი, ბიკი, შორი, ლიტლი, სიდველი, ჰარპერი, ჰანტი, ლიტა, ლონგი (80. კიტსონი).

**ვიგანი:** კერკლანდი, ტეილორი, ბოისი, ანსუორთი (69. ჯეკსონი), ბაინესი, ვალენსია, ლანდზაატი, სკოკო, ფოლანი, ჰესკი (58. კილბეინი), მაკალოხი (65. იოჰანსონი).

**გოლები:** 0:1 ჰესკი (3), 1:1 ინგიმარსონი (31), 2:1 ლონგი (51), 3:1 ლიტა (88), 3:2 ლანდზაატი (90).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 19(12)-21(14); **ჯარიმა:** 11-11; **კუთხური:** 4-3.

**მაყურებელი:** 21,954

**შეფილდ იუნ.–ფულჰემი 2:0**

**შეფილდი:** კენი, გირი, ჟაგიელკა, ლუკეტი, არმსტრონგი, კაზიმ-რიჩარდსი, ტონგე, მონტგომერი, სტივ ქუინი, ჰალსი, სტიდი.

**ფულჰემი:** ნიემი, როსენორი, ნაიტი, პირსი, კუოდრო, დევისი, ვოლცი (82. დემპსი), ბრაუნი, რაძინსკი (74. რუთლიჯი), მონტელა (33. ჰელგუსონი), მაკბრაიდი.

**გოლები:** 1:0 სტიდი (23), 2:0 ტონგე (28).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 16(8)-7(0); **ჯარიმა:** 14-10; **კუთხური:** 5-4.

**მაყურებელი:** 27 540

**ჩელსი–ბლექბერნი 3:0**

**ჩელსი:** ჩეხი, კარვალიო, ემლი კოული (55. ბრიჯი), ბალაკი, ლასანა დიარა, ესიენი, ლემპარდი, მაკელელე, მიკელი (87. ფერეირა), დროგბა, შევჩენკო (84. კალუ).

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ანშო (79. სამბა), ნელსენი, უორნოკი, ბენტლი, ემერტონი, თუგაი, მორტენ-გამსტ პედერსენი, დერბიშირი (78. ჯეფერსი), გალაგერი (62. ნონდა), მაკარტი.

**გოლები:** 1:0 დროგბა (6), 2:0 ლემპარდი (67), 3:0 კალუ (90).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 19(15)-7(5); **ჯარიმა:** 12-11; **კუთხური:** 3-10.

**მაყურებელი:** 38 000

**ბოლტონი–ჩარლტონი 1:1**

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ფაიი (67. ბენ ჰაიმი), გარდნერი, ჰანტი, მეიტე, კამბო, ტაფაკოპულოსი (61. ვას ტე), ნოლანი, სპიდი, ანელკა (32. თეიმურიანი), ჰენრიკ პედერსენი.

**ჩარლტონი:** კარსონი, ელ ქარქური, ჰრეიდარსონი, სანკოფა, ტეტჩერი, ფაიე, ჰოლანდი, ბრაიან ჰიუზი (84. დიავარა), მარკუს ბენტი (85. ჰასელბენკი), რომედალი (74. ლისბი), ტომასი.

**გოლები:** 1:0 პედერსენი (6), 1:1 ელ ქარქური (12).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 16(8)-7(0); **ჯარიმა:** 14-10; **კუთხური:** 5-4.

**მაყურებელი:** 22 350

**მანჩესტერ იუნ.–უოტფორდი 4:0**

**იუნაიტედი:** კუშჩაკი, რიო ფერდინანდი, ჰაინცე, გარი ნევილი, ოში, ვიდიჩი (75. სილვესტრი), ქერიკი (75. ბრაუნი), რიჩარდსონი, რონალდო, რუნი, სოლსკიაერი (66. ლარსონი).

**უოტფორდი:** ლი, დემერიტი, დოილი, მარიაპა, პაუელი (61. ჰოსკინსი), სტიუარტი, ბანგურა, ფრენსისი, ბუაზა, ჰენდერსონი (75. კაბა), სმიტი (72. ვილიამსონი).

**გოლები:** 1:0 რონალდო (20-პენ), 2:0 დოილი (60-საკ.კარში), 3:0 ლარსონი (70), 4:0 რუნი (71).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 21(10)-2(1); **ჯარიმა:** 11-11; **კუთხური:** 7-2.

**მაყურებელი:** 76 032

**ნიუკასლი–ასტონ ვილა 3:1**

**ნიუკასლი:** ჰარპერი, ბრემბლი, კარი, ჰანთინგტონი, ტეილორი, ბატი (33. სიბირსკი), დაფი, დაიერი, მილნერი, პარკერი, მარტინსი.

**ვილა:** სორენსენი, ბერდსლი, ბერი, ბუმა (90. ანხელი), კაჰილი, მელბერგი, მაკენი, პეტროვი, აგბონლაორი, კარუ (69, ბერგერი), იანგი.

**გოლები:** 1:0 მილნერი (5), 2:0 დაიერი (7), 2:1 იანგი (25), 3:1 სიბირსკი (90).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 8(4)-16(9); **ჯარიმა:** 15-15; **კუთხური:** 3-7.

**მაყურებელი:** 49 130

**ევერტონი–ტოტენჰემი** გადაიდო
**არსენალი–მანჩესტერ სიტი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩ. იუნ. | 25 | 19 | 3 | 3 | 57-18 | 60 |
| 2.ჩელსი | 25 | 16 | 6 | 3 | 44-19 | 54 |
| 3.ლივერპული | 25 | 15 | 4 | 6 | 39-17 | 49 |
| 4.არსენალი | 24 | 13 | 6 | 5 | 45-20 | 45 |
| 5.ბოლტონი | 25 | 12 | 5 | 8 | 29-27 | 41 |
| 6.პორტსმუთი | 25 | 10 | 8 | 7 | 34-24 | 38 |
| 7.რედინგი | 25 | 11 | 4 | 10 | 37-34 | 38 |
| 8.ევერტონი | 24 | 9 | 8 | 7 | 31-23 | 35 |
| 9.ნიუკასლი | 25 | 9 | 6 | 10 | 31-33 | 33 |
| 10.ტოტენჰემი | 24 | 9 | 6 | 9 | 29-32 | 33 |
| 11.მიდლსბრო | 25 | 8 | 7 | 10 | 29-29 | 31 |
| 12.ბლექბერნი | 25 | 9 | 4 | 12 | 28-36 | 31 |
| 13.მანჩ. სიტი | 24 | 8 | 6 | 10 | 19-28 | 30 |
| 14.ასტონ ვილა | 25 | 6 | 11 | 8 | 27-31 | 29 |
| 15.ფულჰემი | 25 | 6 | 11 | 8 | 26-38 | 29 |
| 16.შეფილდ იუნ. | 25 | 7 | 6 | 12 | 21-33 | 27 |
| 17.ვიგანი | 24 | 6 | 4 | 14 | 25-41 | 22 |
| 18.ვესტ ჰემი | 25 | 5 | 5 | 15 | 18-40 | 20 |
| 19.ჩარლტონი | 25 | 5 | 5 | 15 | 20-44 | 20 |
| 20.უოტფორდი | 24 | 2 | 9 | 13 | 14-36 | 15 |



ფრენკ ლემპარდმა ბრწყინვალე გოლი გაიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალბერტო კავაზინი

მესინა

# ჯორდანოს ნაცვლად კავაზინი

## მწვრთნელი, რომელიც ფანებმა გააგდეს

29 ოქტომბერს "მესინამ" 2:1 დაამარცხა "კიევო" და მას მერე სერია A-ში ერთი თამაშიც არ მოუგია. არადა, სტარტი ცუდი არ ჰქონდა, მეტადრე, შარშანდელი კამპანიის ფონზე, როცა ელიტაში ადგილი მხოლოდ "კალჩოპოლის" სკანდალის წყალობით შეინარჩუნა. ამ სეზონიდან სიცილიურ გუნდს სათავეში ჩაუდგა გამოცდილი **ბრუნო ჯორდანო**, რომელსაც პრეზიდენტმა **პიეტრო ფრანცამ** ტრანსფერებში სრული კარტ-ბლანში მისცა (უიშვიათესი შემთხვევა იტალიელი პრეზიდენტების პრაქტიკაში). თუმცა ჯორდანომ იმედები ვერ გაამართლა. ძნელია იმის თქმა, რომ უშუალოდ ის იყო ყველაფერში დამნაშავე, მაგრამ დაუწერელი კანონია: თუ შედეგი არ არის, პასუხი, პირველ რიგში, მწვრთნელს მოეთხოვება. შესაბამისად, "ასკოლისთან" ბოლო საშინაო მარცხის შემდეგ, ცხადი იყო, რომ მესინელთა დამრიგებელს ჩემოდნები უნდა ჩაელაგებინა. არადა, რაოდენ დასანანი წაგება იყო: მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე, "მესინა" 1:0-ს იგებდა, მაგრამ ბოლო წამებზე ორი გოლი გაუშვა და გასავარდნ ზონაში დამკვიდრდა.

როგორც არ უნდა დაეცვა პრეზიდენტს მწვრთნელი, თვალს ვერ დახუჭავდა ტიფოზების რეაქციაზე. "ასკოლისთან" ხსენებული თამაშის შემდეგ, გულშემატკივრებმა ჯორდანოს ობსტრუქცია მოუწყვეს. ეს უკვე საბოლოო განაჩენი იყო. გავრცელდა ცნობა, თითქოს პრეზიდენტ ფრანცას შეხვედრა ჰქონდა ფანების რადიკალური დაჯგუფების ლიდერებთან, რომლებმაც კლუბის თავკაცს ულტიმატუმი წაუყენეს: ან ჯორდანო გათავისუფლდებოდა, ან ქომაგები "მესინის" გასვლით თამაშებს აღარ დაესწრებოდნენ. მეორე მხრივ, იყო ფეხბურთელთა თხოვნა (ამ ცოტა ხნის წინათ, ასეთმა თხოვნამ მხოლოდ "ლივორნოს" პრეზიდენტ **ალდო სპინელიზე** გაჭრა, რომელმაც გაგდებული **დანიელე არიგონი** ერთი დღის შემდეგ დააბრუნა), რომ ჯორდანოსთვის კიდევ მიეცათ დრო, მაგრამ ორ ცეცხლშუა მდგომმა ფრანცამ გუშინ დილით მწვრთნელს კარისკენ მიუთითა.

სიტუაცია ძალიან გვაგონებს "უდინეზეში" **ალბერტო მალეზანის** დანიშვნას, როცა **ჯოვანი გალეონეს** გადაყენებისთანავე, ფრიულულმა კლუბმა ახალი მწვრთნელის ვინაობა დაასახელა. ასე მოხდა "მესინის" შემთხვევაშიც. როგორც ჩანს, პრეზიდენტს თადარიგი უკვე დაჭერილი ჰქონდა. ჯორდანოს წასვლიდან ორიოდ საათში, ოფიციალურად გაცხადდა, რომ სიცილიური გუნდი **ალბერტო კავაზინს** ჩააბარეს. იტალიურ ფეხბურთში კავაზინი ცნობილი კაცია. ახლო წარსულში ის "ბრეშას", "ლეჩესა" და "ფიორენტინას" ავარჯიშებდა. 51 წლის კავაზინი განსაკუთრებული წარმატებებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ კარგი "მეხანძრის" ავტორიტეტი აქვს და ეტყობა, ფრანცამაც ამაზე გააკეთა გათვლა. კავაზინი გუნდში სეზონის ბოლომდე დარჩება, მის მომავალზე კი იმის მიხედვით იმსჯელებენ, როგორიც შედეგები იქნება. ახალი მწვრთნელის დებიუტი შაბათს შედგება, როცა "მესინა" სტუმრად "რეჯინას" დაუპირისპირდება.

ბარსელონა

# გაკაჟდეს და უმალ ძირითადში მოხვდება

## 11 დღე ეტოოს დაბრუნებამდე

უკვე იცით, რომ **სამუელ ეტოომ** უმძიმესი ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში განაახლა. ის ექიმების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ემზადებოდა. ყოველი დღის ბოლოს, კამერუნელი საგულდაგულო სამედიცინო შემოწმებას გადიოდა. როგორც იქნა, ეს დღეც დადგა, სამუს აღარაფერი აწუხებს. ის მზადაა, ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდეს. თუ **ფრანკ რიიკაარდი** საჭიროდ ჩათვლის, ეტოო 11 თებერვალს, "კამპ ნოუზე" სანტანდერის "რასინგს" დაუპირისპირდება. რატომ 11 თებერვალს და არა ერთი კვირით ადრე? საქმე ის არის, რომ სამუელმა ფიზიკური კონდიციები უნდა აღიდგინოს. ტრავმა კი მოირჩინა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ხანგრძლივი უვარჯიშებლობით დასუსტებულ სხეულს მოძლიერება სჭირდება. კატალონიელები დარწმუნებულები არიან, რომ 10 დღე საამისოდ სრულიად საკმარისი იქნება.

ამასობაში, **ჩავი ერნანდესმა** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და გულშემატკივრებს საგანგაშო ფაქტი ამცნო. როგორც აღმოჩნდა, "მანჩესტერის" ხელმძღვანელობა მის მენეჯერს მოსვენებას არ აძლევს. "ბარსელონის" შეფებს კი ამის შესახებ არაფერი სცოდნიათ: *"შესაძლოა, არადელიკატურად გამომივიდა. ამისთვის ბოდიშს ვიხდი. უბრალოდ, აქამდე ვფიქრობდი, რომ ეს ამბავი სათქმელად არც კი ღირდა. მაგრამ "მანჩესტერის" მესვეურებმა ჩემი მენეჯერის მრავალი მითითებიდან არც ერთი გაითვალისწინეს. ივან კორეჩა ინგლისელებს ეუბნებოდა, ჩემს კლიენტს "ბარსას" დატოვება არ სურს და თუ ჩემი არ გჯერათ, ჩიკი ბეგირისტაინს შეეხმიანეთო. მათ ეს მოწოდება ყურად არ იღეს და სტრატეგია შეცვალეს. უკვე კონკრეტული თანხა დაასახელეს. მათ გაიგეს, თუ რამდენს მიხდის "ბარსელონა" და ნახევარი მილიონი ევროთი მეტი შემომთავაზეს. ვფიქრობ, გაჩუმება აღარ შეიძლებოდა. ხელმძღვანელობა საქმის კურსში ჩავაყენე და ვუთხარი, რომ კატალონიიდან წასვლა არ მსურს. აი, აქ ყველას დასანახად საჯაროდ ვამბობ, "მანჩესტერის" წინადადება არ მაინტერესებს. მე ნებისმიერ შემთხვევაში "კამპ ნოუზე" ვრჩები."*

ჩავის კატეგორიული განცხადება თითქოს ყველა კითხვას სცემს პასუხს, მაგრამ კატალონიურმა ტაბლოიდებმა ეს არაფრად მიიჩნიეს და ჭორების დიდი ტალღა ააგორეს. თითქოს, **ჩიკი ბეგირისტაინმა** ალბიონელთა დაინტერესების შესახებ ინფორმაცია თავად "მანჩესტერიდან" მიიღო, მაგრამ ეს ფაქტი მიზნობრივად დამალა. ბულვარული პრესა მთელი სერიოზულობით წერს, რომ "ბარსელონა" და "იუნაიტედი" ჩავისა და **კრისტიანო რონალდოს** გაცვლის საკითხზე ფარულად მუშაობენ. ბეგირისტაინმა კარგად იცის, ერნანდესს თანხის დამატების გარეშე რონალდოში არავინ გაუცვლის, მაგრამ გენერალურ დირექტორს ფული არ ენანება.



სამუელ ეტოო



"სარაგოსამ" წამყვანი ნახევარმცველი, **პაბლო აიმარი** საკმაოდ დიდი ხნით დაკარგა. ექიმებმა მას სერიოზული ტრავმა დაუდგინეს. არგენტინელს მარცხენა მუხლის ჯვარედინი მყესი დაეჭიმა. მედიკოსები ვარაუდობენ, რომ მკურნალობას სულ მცირე ერთი

სარაგოსა

# აიმარი ლაზარეთში გაუშვეს

თვე დასჭირდება. მათი თქმით, უმცირესმა რისკმაც კი შესაძლოა, სავალალო შედეგი გამოიღოს. პაბლიტომ ფეხი ვარჯიშზე იტკინა. **ვიქტორ ფერნანდესი** შეშფოთებას ვერ მალავს. მას არ ავიწყდება, რომ ნოემბერში არგენტინელის სამკვირიანი იძულებითი შვებულებისას "სარაგოსას" სერიოზული პრობლემები შეექმნა. გუნდის შემტევი პოტენციალი ერთი-ორად შემცირდა. აღსანიშნავია, რომ აიმარმა მაშინაც ანალოგიური ტრავმა მიიღო, თუმცა განსხვავება ის არის, რომ სარაგოსელს ტრავმა "ბეტისის" ფეხბურთელმა მიაყენა. იქნებ, ვინმეს კურიოზად მოეჩვენოს, მაგრამ იოლი შესაძლებელია, რომ ფეხბურთს ის 11 მარტს, იმავე "ბეტისთან" მატჩში დაუბრუნდეს.

ატლეტიკო

# არისმენდი შინ ბრუნდება

"ატლეტიკო" მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე მისი საყრმაწვილო სკოლის აღზრდილს, **ხავიერ არისმენდის** დაიბრუნებს. ბასკი ნახევარმცველი "დეპორტივოში" ასპარეზობს. ის იმდენად კარგად გამოიყურება, რომ არა მარტო მადრიდელთა, არამედ **ლუის არაგონესის** ყურადღებაც მიიპყრო. ესპანელთა თავკაცი მას ბოლო მატჩებში სისტემატურად იძახებდა.

დედაქალაქელებს ხავიერი სულ რაღაც 3 მილიონი ევრო დაუჯდათ. საქმე ის არის, რომ თავის დროზე "ატლეტიკოდან" მისი გაშვებისას კლუბის ხელმძღვანელებს ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებები მთლიანად არ გაუყიდიათ. კონტრაქტში ეწერა, რომ "როხიბლანკოს" ნებისმიერ დროს ექნებოდა არისმენდის დაბრუნების უფლება. ჰოდა, **ენრიკე სერესომ** სწორედ ეს პუნქტი აამუშავა და ლაკორუნიელებს ბრძოლა იოლად მოუგო.

ხავიერი გარიგებით ძალიან კმაყოფილია: *"დეპორს" უდიდეს პატივს ვცემ. აქაურებმა დიდი სითბო მაჩუქეს. მეც, რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ, მაგრამ გულწრფელად ვიტყვი, რომ ჩემი სახლი "ატლეტიკოა". ბავშვობიდან იქ ვთამაშობდი. შემდეგ სხვაგან წასვლა მომიხდა. ბოლოს "დეპორტივოში" მოვხვდი. ახლა კი "როხიბლანკო" მიბრუნებს. დიდი მადლობა მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობას."* არისმენდი "ვისენტე კალდერონზე" ხუთ სეზონს გაატარებს.

გუშინ "ატლეტიკო" კიდევ ერთი ტრანსფერის გაჩარხვას ცდილობდა. მადრიდში იმყოფებოდა ურუგვაის ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალური მცველი **მარტინ კასერესი**, რომელმაც სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდულ ჩემპიონატში საუკეთესო თვისებები გამოავლინა და "იუვენტუსისა" და "არსენალის" ყურადღება მიიპყრო. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები არ გახმაურებულა.

შვედეთის ნაკრები

# ისევ ზლატანის გარეშე

## ლარსონმა ეროვნულ გუნდში დაბრუნება არ ისურვა...

7 თებერვალს შვედეთის ნაკრები ეგვიპტესთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. თამაში აფრიკის საფეხბურთო კონფედერაციის 50 წლისთავს მიეძღვნება. შვედების თავკაცმა **ლარს ლაგერბაკმა** ინტერელი თავდამსხმელი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** არც ამჯერად შეიყვანა სიაში. ის ფეხბურთელს ტელეფონით ესაუბრა, ეგვიპტეში გამგზავრებაზე კი უარი მიიღო. ზლატანს ნაკრებში სექტემბრის შემდეგ არ უთამაშია. ლიხტენშტაინთან საკვალიფიკაციო მატჩის წინ, ის გვიან გამოცხადდა საწვრთნელ ბაზაზე და უდისციპლინობის გამო სახლში გაისტუმრეს. ლაგერბაკი ამბობს, რომ უმოტივაციო ფეხბურთელების გამოძახებაში აზრს ვერ ხედავს, თუმცა იბრაჰიმოვიჩისთვის ნაკრების კარი დახურული არ არის.

მწვრთელი "მანჩესტერ იუნაიტედში" იჯარით მყოფ **ჰენრიკ ლარსონსაც** შეეხმიანა და დაბრუნება შესთავაზა, მაგრამ ვეტერანს გადაწყვეტილება არ შეუცვლია. მან სანაკრებო კარიერა დაასრულა და შვედეთის მაისურის მორგებას აღარ აპირებს. ტრავმის გამო ვიკინგებს კიდევ ერთი ლიდერი, **ფრედრიკ ლიუნგბერგი** არ ეყოლებათ. მართალია, მან ვარჯიში განაახლა, მაგრამ ორ ფრონტზე სათამაშოდ ჯერ მზად არ არის. გამოჯანმრთელდა "მანჩესტერ სიტის" გოლკიპერი **ანდრეას ისაკსონი** და ნაკრების კარს კვლავ მას ჩააბარებენ. ეგვიპტესთან მატჩი ბოლო მოსამზადებელი ეტაპი იქნება ჩრდილოეთ ირლანდიასთან მარტის შესარჩევი თამაშის წინ.

**მეკარეები** - ანდრეას ისაკსონი (მანჩესტერ სიტი), რამი შააბანი (ფრედრიკსტადი);

**მცველები** - ერიკ ედმანი (რენი), პეტერ ჰანსონი (ჰერენვეენი), მარკუს იონსონი (აიკ), დანიელ მაისტოროვიჩი (ბაზელი), ოლოფ მელბერგი (ასტონ ვილა), მიკაელ ნილსონი (პანათინაიკოსი), მაქს ფონ შლებრიუგე (ანდერლეხტი);

**ნახევარმცველები** - ანდრეას სვენსონი (ელფსბორგი), ნიკლას ალექსანდერსონი (გიოტებორგი), დანიელ ანდერსონი (მალმიო), კენედი ბაკირჩოღლუ (ტვენტე), ანდრეას იოჰანსონი (ვიგანი), კიმ კალსტრიომი (ლიონი), ტობიას ლინდეროტი (კოპენჰაგენი), კრისტიან ვილჰელმსონი (რომა);

**თავდამსხმელები** - მარკუს ოლბაკი (კოპენჰაგენი), მარკუს როზენბერგი (ვერდერი), რადე პრიცა (ოლბორგი), იოჰან ელმანდერი (ტულუზი).

### დელვეკიო დაისვენებს

სამპდორიელ ნახევარმცველ **ჯენარო დელვეკიოს** სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ის "ინტერთან" ბოლო ტურის მატჩში (0:2) მომხდარი ინციდენტის გამო ჩამოაშორეს მინდორს. იმ შემთხვევას მეორე გმირიც ჰყავდა - სკანდალებით სახელმოხვეჭილი მცველი **მარკო მატერაცი**. მე-7 წუთზე დელვეკიომ მატერაცის თავი ჩასცხო და მინდორზე გააგორა. სამპდორიელი დიდხანს ამტკიცებდა, მეტოქემ პროვოკაცია მომიწყოო, მაგრამ არათუ ფედერაციამ, საკუთარმა კლუბმაც კი არ დაუჯერა და სოლიდური თანხით დააჯარიმა.

### სამი პოლონელი რეალში

მადრიდის "რეალმა" სამი პოლონელი თინეიჯერი აიყვანა. 19 წლის მარცხენა გარემარბი **კრიშტოფ ლუკაშ კროლი** "გროცლინში" თამაშობდა, 18 წლის მცველი **კამილ იაცეკ გლიკი** და მისი თანატოლი, თავდამსხმელი **სიმონ მატუშეკი** კი ქვედა ლიგის უდ-ში ასპარეზობდნენ. ახლა კი სეზონის ბოლომდე სამეფო კლუბის ახალგაზრდულ გუნდში დარჩებიან. "რეალი" C მესამე დივიზიონში ასპარეზობს.

### ლეტიზი: რეინჯერსიდან ნიცაში

ფრანგი მეკარე **ლიონელ ლეტიზი** "რეინჯერსს" გამოეთხოვა და საფრანგეთში გაემგზავრა. მან გლაზგოში მხოლოდ ნახევარი სეზონი გაატარა და ამ ხნის განმავლობაში პროტესტანტების მაისურა 8-ჯერ მოირგო. 33 წლის გოლკიპერი კარიერას მშობლიურ "ნიცაში" გააგრძელებს, სადაც სადებიუტო მატჩში შორეულ 1994 წელს, კლუბის მეორე დივიზიონში ყოფნისას გამართა. შემდეგ კი "მეცსა" და "პარი სენ ჟერმენში" თამაშიც მოასწრო.

### პელიცოლი ლოკომოტივში წავიდა

გუშინ "რეჯინამ" მოსკოვის "ლოკომოტივს" მეკარე **ივან პელიცოლი** მიჰყიდა. რუსებმა 2.5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. იტალიელი ფეხბურთელი მოსკოვს გუშინვე ეწვია, რათა კონტრაქტის პერსონალური დეტალები შეეთანხმებინა და სამედიცინო შემოწმება გაევლო.

### მაკარონე: სიენაში სამი წლით

**მასიმო მაკარონე** იტალიაში დაბრუნდა. 27 წლის თავდამსხმელმა სიენას მიაშურა და სამწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. მაკარონე "მიდლსბროს" უკომპენსაციოდ გამოეთხოვა. ფეხბურთელი, რომელსაც ძირითადში არ აყენებდნენ, ინგლისელებმა უფასოდ გაუშვეს. არადა, 2002 წელს მისი "ემპოლიდან" შეძენა საკმაოდ ძვირი, 7.15 მილიონი გირვანქა (12.7 მილიონი დოლარი) დაუჯდა. ის დღემდე რივერსაიდელთა ყველა დროის ყველაზე ძვირ ფეხბურთელად რჩება.

### დერლეი: დინამოდან ბენფიკაში

ბრაზილიელი თავდამსხმელი **დერლეი** მოსკოვის "დინამოდან" "ბენფიკაში" გადავიდა. 31 წლის ფეხბურთელმა 6-თვიან საიჯარო ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი. სეზონის ბოლოს ლისაბონელებს მისი გამოსყიდვა შეეძლებათ. დერლეის პორტუგალიურ ლიგაში ექვსი სეზონი აქვს ნათამაშები. იმ "ლეირიასა" და "პორტუში" ირიცხებოდა. "პორტუსთან" ერთად ფეხბურთელმა 2003 წელს უეფას თასი, ხოლო 2004 წელს ჩემპიონთა თასი მოიგო. 2005 წლის ზაფხულში ის მოსკოვის "დინამოში" გადავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

დევისის თასი საქართველო-პორტუგალია

# ორი ორზე!





პირველი ნომრები: ირაკლი ლაბაძე და ფრედერიკო ჟილი

9-11 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლე "დევისის თასის" მატჩს უმასპინძლებს – საქართველოს ნაკრები პორტუგალიას შეხვდება. თავის ისტორიაში პირველად, საქართველოს ნაკრები თამაშობს პირველ ევროაფრიკულ ზონაში, საიდანაც მსოფლიოს უძლიერეს 16 გუნდში მოსახვედრად სამი მატჩის მოგებაა საჭირო. წინსვლა მთლიანად **ირაკლი ლაბაძისა** და **ლადო ჩიხლაძის** დამსახურებაა - მათ შარშან მიმდევრობით სამხრეთ აფრიკის, პოლონეთისა და უნგრეთის ნაკრებები დაამარცხეს და ზედა ჯგუფში თამაშის უფლება დაიბევეს. წლევანდელ შეჯიბრებას ჩვენი გუნდი პორტუგალიასთან მატჩით იწყებს.

ორივე ნაკრების კაპიტანმა უკვე დაასახელა შემადგენლობა. **გელა ელერდაშვილმა** ნაკრებში ასეთი ოთხეული მიიწვია: **ირაკლი ლაბაძე** (170), **ლადო ჩიხლაძე** (541), **გიორგი ჭანტურია** (ურეიტინგო) და **გიორგი ხრიკაძე** (ურეიტინგო). **პედრუ კორდეირუს** გუნდი ასეთია: **ფრედერიკო ჟილი, რუი მაჩადო, პედრო სოუზა** და **გასტაო ელიაში.**

სტუმართა ლიდერი უდავოდ ფრედერიკო ჟილია, მსოფლიოს 154-ე ჩოგანი. დანარჩენები ვერაფრით დაიკვეხნიან: მაჩადო 891-ე ჩოგანია, ელიაში - 929-ე, სოუზა - 986-ე. ცხადია, პორტუგალიელთა გუნდშიც მთელი დატვირთვა ორ კაცზე გადავა, ჟილი და მაჩადო შეეცდებიან ლაბაძისა და ჩიხლაძის დამარცხებას. სოუზა 18 წლისაა, ელიაში კი თექვსმეტის. პირველს "დევისის თასზე" ერთ მატჩში უთამაშია, მეორე კი დებიუტანტია. პრინციპში, ყველაფერი ლაბაძისა და ჩიხლაძის სათამაშო ფორმაზეა დამოკიდებული. თუკი ლადო წლეულს მეოთხე ტურნირში გამოდის, ირაკლი ჯერ არსად გამოჩენილა, პორტუგალიასთან მატჩი მისთვის დებიუტი იქნება 2007 წელს.

9 თებერვალს პირველი მატჩი თბილისის დროით 13 საათზე დაიწყება, მეორე დღეს წყვილთა შეხვედრა 16 საათზეა დანიშნული, 11 თებერვალს კი ბრძოლები ისევ 13 საათზე დაიწყება. კორტის საფარი "ტარაფლექსია", რომელიც საკმაოდ სწრაფია. ერთდღიანი ბილეთის ფასი 5 ლარი იქნება, სამდღიანი აბონემენტი 12 ლარი ეღირება.

საქართველო და პორტუგალია ერთმანეთს ერთხელ, 1998 წელს შეხვედრიან, მაშინ პირენეელებმა ჩვენი გუნდი 5:0 გაანადგურეს. ეს შეხვედრა ბრაგაში გაიმართა. პორტუგალიელებს თუ დავამარცხებთ, ავტომატურად შევინარჩუნებთ ჯგუფში ადგილს, მეორე წრეში კი სერბეთის ნაკრებს ვესტუმრებით. აქ გამარჯვებული უკვე მსოფლიო ჯგუფში გადასასვლელად ითამაშებს - პირველ წრეში დამარცხებული ერთ-ერთ ქვეყნის წინააღმდეგ. საქართველო-პორტუგალიას შორის ნაგებული ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად ბრიტანეთსა და ჰოლანდიას შორის დამარცხებულს შეხვდება.

საქართველოს ნაკრები რეიტინგში 631 ქულით 41-ე ადგილზეა, პორტუგალია ჩვენს გუნდს მხოლოდ ორი საფეხურით უსწრებს, თუმცა ქულებით სხვაობა დიდია, პორტუგალიას 816 ბალი აქვს.

# კვლავ ფიშერს გადაეყარა

ეროვნულ ნაკრებში ჩამოსვლამდე ჩვენმა მეორე ჩოგანმა **ლადო ჩიხლაძემ** (541) წარმატებით დაიწყო ავსტრიული ბერგჰაიმის მცირე საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) ასპარეზობა. ხალიჩაზე ლადომ იტალიელი **ფაბიო კოლანგელო** (568) დაამარცხა - 6:4, 6:3 და მერვედფინალში გავიდა. მეორე წრეში ჩიხლაძე შეხვდება მე-2 ნომრად განთესილ **მარტინ ფიშერს** (432), ვისთანაც წინა ტურნირის მეოთხედფინალში, დაძაბულ ბრძოლაში წააგო. ფიშერმა პირველ წრეში უპრობლემოდ დაამარცხა თანამემამულე **პატრიკ შმოლცერი** - 6:3, 6:2.

ფედერაციის თასი

# ქალები ინდოეთის ოკეანეში

საქართველოს ქალთა ნაკრები წლეულსაც ევრო-აფრიკის II ჯგუფში ითამაშებს. ჩვენებს ტურნირი 17-20 აპრილს ელით. ამ ჯგუფის შეჯიბრს რატომღაც, ინდოეთის ოკეანეში მდებარე მავრიკიის რესპუბლიკის ქალაქი ფინიქსი მასპინძლობს. მეორე ზონაში რვა ნაკრები მონაწილეობს: **საქართველო, ალჟირი, ბოსნია, ფინეთი, საბერძნეთი, ნორვეგია, პორტუგალია** და **სამხრეთი აფრიკა.** ტურნირის დაწყებამდე ერთი დღით ადრე გუნდები ორ ოთხგუნდიან ჯგუფად გაიყოფებიან. პირველ ჯგუფში გაისისთვის ორი საუკეთესო ნაკრები გადავა, მესამეშიც ორი გუნდი გავარდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**






## კალათბურთი

ულების თასი

# ორმაგჩიანი ერთში

**ვლადიმერ ბოისას** "მონტეპასკიმ" ულების თასის მერვედფინალი გასვლითი მოგებით დაიწყო - საბერძნეთში პაოკი 79:62 დაამარცხა.

პირველი მეოთხედის შემდეგ სტუმრები 16:9 დაწინაურდნენ და გამარჯვებულის ვინაობა ეჭვქვეშ აღარ დაუყენებიათ. ბოისამ 12 წუთი ითამაშა, 3-3 ორ და სამქულიანიდან თითო გამოიყენა და მატჩი 5 ქულითა და 3 მოხსნით დაასრულა.

"მონტეპასკი"-პაოკის საპასუხო მატჩი 13 თებერვალს სიენაში გაიმართება.

## ჭადრაკი

საერთაშორისო ტურნირი

# სოკოლოვი ლიდერობს, სად არიან ჩვენები?

გიბრალტარის საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირზე მეშვიდე ტურის პარტიები გაიმართა და ერთპიროვნული ლიდერიც გამოვლინდა - 6 ქულით ჰოლანდიელი **ივან სოკოლოვი** დაწინაურდა. ტურნირის ზედა და, ნებისმიერ ნაწილში, ისეთი სიმჭიდროვეა, რომ 7 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად გალიდერება მცირე მოულოდნელობაც კი არის. მაგალითად, - ნახევარი ქულით ნაკლები ერთბაშად 9 მონაწილეს აქვს, 5 ქულა კი ცამეტს. გუშინაც ბევრს ჰქონდა 6 ქულის დაგროვების საშუალება, მაგრამ მხოლოდ სოკოლოვმა იყოჩაღა.



ნანა ძაგნიძე

ტურნირის შუაწელში **მაიკლ ადამსმა,** რომელიც უპირველესია რეიტინგით - 2735 და **ვლადიმერ აკოფიანმა** (მეორე, 2700) წაიფორხილეს და ჩამორჩნენ, დანაკარგის ანაზღაურებას სამიოდ ტური მოანდომეს და ახლა 5.5 ქულა აქვთ. აკოფიანი მერვე ტურში სწორედ სოკოლოვს დაუპირისპირდება, თანაც თეთრებით და შანსია, ჰოლანდიელის სვლა შეაჩეროს.

სოკოლოვს ნახევარი ქულით კიდევ ჩამორჩებიან: **მიხაილ გურევიჩი** (2635), **იური კუზუბოვი** (2554), **ვადიმ მილოვი** (2665), **ზაჰარ ეფიმენკო** (2616), **ჰიკარუ ნაკამურა** (2651), **ალექსანდრე არეშჩენკო** (2644) და **ემილ სუტოვსკი** (2629).

ახლა ჩვენებზეც ვთქვათ. მეშვიდე ტურში **ქეთევან არახამია** შავებით პოლონელ **ზოლტან რეველს** (2245) ხვდებოდა და დამარცხდა. ქეთევანს 3.5 ქულა დაურჩა და ალბათ, ქალთა შორის სამეულში მოხვედრის შანსი დაკარგა - ორივე დარჩენილი პარტიის მოგების შემთხვევაში შესაძლებელია მცირე საპრიზო ფონდს გამოკრას ხელი.

მეგობრის ბედი არ გაიზიარა **ნანა ძაგნიძემ** - მან ინგლისელ **ჯეიმს სიმპსონს** (2267). ძაგნიძეს 4 ქულა აქვს და თუკი ორივე პარტიას მოიგებს, ქალთა პრიზის მოპოვების შანსი აქვს. თუმცა, მასზე წინ 5 ქალბატონია - შვედი **პია კრამლინგი** 5 ქულით, 4.5 ქულა კი ოთხს აქვს - **ჭუ ჩენს, ირინა კრუშს, ელიზაბეთ პეჰცსა** და **ტანია საჩდევს**. ვერ იტყვი, რომ ამოცანა დაუძლეველია - მერვე ტურში ძაგნიძეს არცთუ ძლიერი ინგლისელი მოჭადრაკე შეხვდა - **გარი ქვინლანი** (2354), თუმც კი ნანას შავებით მოუწევს გამარჯვებისთვის ბრძოლა. ძლიერი მეტოქე არც არახამიას ჰყავს - ქართველი თეთრებით ეცდება ინდოელი ქალბატონის, **არტიე რამაშვამის** (2224) დამარცხებას.

**ზვიად შათირიშვილი**

მოყვარულთა ტურნირი ქუთაისში

# ვითამაშოთ ყოველკვირა

იმერეთის ჭადრაკის ფედერაცია და საჭადრაკო კლუბი „მაია" დაარსების დღიდან არაერთი საინტერესო ტურნირის ორგანიზატორად მოგვევლინა. ბევრმა შეჯიბრებამ შემდგომში ტრადიციული სახეც მიიღო და საჭადრაკო კლუბში ყოველწლიურად იმართება. რეგიონალური ფედერაციის ახალი იდეა მოყვარულთა ტურნირია, რომელიც მსგავსი ტურნირების არაერთგზის გამარჯვებულის, **გოგი ლომიძის** ხსოვნას ეძღვნებოდა. ქალაქის ხელმძღვანელობის დახმარებით გასულ შაბათ-კვირას განხორციელდა.

ლომიძის მემორიალში 22-მა მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა. შეჯიბრებამ საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა, რასაც ისიც ადასტურებს, რომ პირველ ოთხ ადგილზე გასულმა მოჭადრაკეებმა 6.5 ქულა დააგროვეს და ადგილები მხოლოდ კოეფიციენტის მიხედვით განაწილდა. ამ მხრივ ყველაზე იღბლიანი **თამაზ სვანაძე** გამოდგა, რომელიც უკეთესი კოეფიციენტის წყალობით, გამარჯვებული გახდა. მეორეზე **ინაურ დონაშვილი** გავიდა, მესამე-მეოთხეზე კი **კოტე მხეცაძე** და **დავით ჩოგოვაძე** აღმოჩნდნენ. ტურნირის ბოლოს იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, **გია გიორგაძემ** ათი საუკეთესო მოთამაშე გამოარჩია და მათთან ერთდროული სეანსი ჩაატარა.

გია გიორგაძე ტურნირის შესახებ გვესაუბრა: *- მართალია ,აქ ყველა ერთმანეთის მეგობარი იყო, მაგრამ პარტიები ძალიან დაძაბულად მიმდინარეობდა და ადრენალინიც მრავლად დაიხარჯა. ასეთი შეჯიბრებები ყოველ კვირას უნდა იმართებოდეს, ახალგაზრდები შეხედავენ, დაინტერესდებიან და ეს ჭადრაკის განვითარებას შეუწყობს ხელს. ამ ტურნირზე შედეგს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, აქ ყველა გამარჯვებულია, რადგანაც ის მიზანი რომ პატივი მიგვეგო გოგი ლომიძის ხსოვნას წარმატებით შევასრულეთ.*

ითამაშა ქუთაისში მცხოვრებმა თურქმა **სალლამ უმითმაც,** რომელმაც ცოტა ხნის წინათ საახალწლო ტურნირშიც იასპარეზა: *- უკვე ორ ტურნირში გამოვედი მინდა ვთქვა, რომ ორივე მათგანი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. მე-7 ადგილზე გავედი, თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს - აქაურმა საჭადრაკო ოჯახმა მეგობრულად მიმიღო და ძალიან კმაყოფილი ვარ.*

ტურნირის დახურვაზე „კლუბ" მაიას დირექტორმა **ალეკო არსენიძემ** და რეგიონალური ფედერაციის ხელმძღვანელმა, გია გიორგაძემ გამარჯვებულები და მონაწილეები ფასიანი საჩუქრებითა და ფედერაციის დიპლომებით დააჯილდოვეს.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვილდოსნობა. წინაოლიმპიური სეზონი

# ქრისტინეს შანსი

## ლვოველი მწვრთნელი და მზადება უკრაინაში



ქრისტინე ესებუა

**სპორტის უმრავლეს სახეობათა მსგავსად, წლეულს ოლიმპიური ლიცენზიები მშვილდოსნობაშიც თამაშდება - ეს მოხდება 7-15 ივლისს, მსოფლიო ჩემპიონატზე, გერმანულ ლაიპციგში. პეკინის ოლიმპიადის საგზურს, საკვალიფიკაციო ეტაპის მაჩვენებლებით, 44 საუკეთესო მშვილდოსანი მიიღებს, დანარჩენებს კი თამაშებზე მოსახვედრად გაისად გასამართი კონტინენტური პირველობები და "ვაილდ ქარდი" ანუ პერსონალური მიწვევა დარჩებათ, თუმცა მცირე რაოდენობით - ლიცენზიების უმრავლესობა მსოფლიო ჩემპიონატზე გაიცემა.**

ცხადია, მნიშვნელოვანი სეზონისთვის ჩვენი მშვილდოსნებიც გულმოდგინედ ემზადებიან. მათთვის პირველი ტურნირი 9-10 თებერვალს, თბილისში გასამართი ზამთრის პირველობაა. სავარაუდოდ, იგი არმიის სპორტკლუბის დარბაზში ჩატარდება. თავიდან მასპინძლად თსუ-ს ახალი სასროლეთიც მოიაზრებოდა, მაგრამ გუშინდელი მონაცემებით, უფრო რეალური მაინც ასკ-ის ვარიანტია.

ეს ჩემპიონატი თითქოს ზამთრის მსოფლიო პირველობისთვის მოსამზადებელი ტურნირია, მაგრამ, ვეჭვობთ, ჩვენები იქ წავიდნენ. მსოფლიოს ჭერქვეშა პირველობა 13-17 მარტს, თურქულ იზმირში იმართება, მაგრამ არაოლიმპიურ დისციპლინაში. ამიტომ, გუნდის გაგზავნის ინტერესს არც ოლიმპიური კომიტეტი იჩენს და არც - სპორტის დეპარტამენტი. ფედერაციაში მიიჩნევენ, რომ იქ გამოსვლა ნაკრებს მოსამზადებლად წაადგებოდა - მით უფრო, ახლოსაა, შედარებით იაფი დაჯდება და ქალების გარდა, ვაჟთა გუნდის წაყვანასაც გეგმავდნენ. ამ საკითხზე მოლაპარაკება მომავალ კვირაში გაგრძელდება და, იმედია, წარმატებით დასრულდება.

ამაზეა დამოკიდებული საქართველოს თასის გათამაშების დაწყებაც. ფედერაციას სურს, ეს ტურნირი რამდენიმე ეტაპად ჩაატაროს, მსოფლიო თასების ანალოგიურად. რადგან ჩვენები საზღვარგარეთ ტურნირებზე ხშირად ვერ დადიან, საშეჯიბრო პრაქტიკის დეფიციტის აღმოფხვრა ამ გზით სურთ. მშვილდოსნობის პოპულარიზაციის მიზნით, ერთი ეტაპის გამართვას ქუთაისშიც ფიქრობენ, რადგან მშვილდოსნობაში ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის - ქეთევან ლოსაბერიძის მშობლიურ ქალაქში სპორტის ამ სახეობას ძალიან უჭირს. თასის გათამაშების დაწყება მარტიდან სურთ, მაგრამ თუ იზმირში წავლენ, მაშინ ამ თარიღს ცოტათი გადასწევენ. მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებას ემსახურება აპრილში, ბათუმში გასამართი საქართველოს საზაფხულო ჩემპიონატიც.

ქართველი მშვილდოსნები უცხოეთშიც გამოვლენ მსოფლიო თასებზე. წლეულს ამ რანგის ოთხი ტურნირი ტარდება, მაგრამ ჩვენები მხოლოდ ორში იასპარეზებენ: 30 აპრილიდან 5 მაისამდე - იტალიურ ვარეზეში და 28 მაისიდან 2 ივნისამდე - ანთალიაში. თასის პირველი ტურნირი აპრილის დასაწყისში სამხრეთკორეულ ულსანში ტარდება. ფედერაციას მესვეურთ ძალიანაც სურთ იქ წასვლა - კორეა მშვილდოსნობაში მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა და ტურნირის გარდა, გაიცნობდნენ იქაური ფედერაციის სტრუქტურას, მათ გამოცდილებას... მაგრამ, კორეაში წასვლა იმდენად ძვირი სიამოვნებაა, ეს ვარიანტი თავიდანვე გამოირიცხა. რაც შეეხება მსოფლიო თასის მეოთხე, დასკვნით ეტაპს, ის ბრიტანულ დოვერში მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იმართება და ამიტომ არ მიდიან.

ამ დღეებში ბათუმელი მშვილდოსნები, აჭარის სპორტის მესვეურთა ძალისხმევით, ბაკურიანში ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებას გაივლიან. მათ თბილისიდან შეუერთდება მხოლოდ **ქრისტინე ესებუა**, რომელსაც ფედერაცია სიურპრიზს უმზადებს - სურთ, იგი სავარჯიშოდ ლვოვში გააგზავნონ თავის პირველ მწვრთნელ **მონიკა სიმონსთან**. ეს საკითხი ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა და ფედერაცია სათანადო თანხების მოსაძიებლად მოლაპარაკებას კვლავაც აწარმოებს სპორტის მმართველ სტრუქტურებთან. იმედია, ფული უპრობლემოდ გამოიძებნება და ესებუას მართლაც გააგზავნიან ლვოვში.

ლვოვის სკოლა თავის დროზეც ერთ-ერთი უძლიერესი გახლდათ ყოფილ საბჭოთა კავშირში და უკრაინაში ახლაც გამორჩეულია. თავის მხრივ, უკრაინა მსოფლიოს წამყვანი გუნდია და იქ ვარჯიში ესებუას ძალიან წაადგება. მისი ოჯახი ახლაც ლვოვში ცხოვრობს და ქრისტინეც ყოველი სეზონის ბოლოს აკითხავს მათ. ვფიქრობთ, იქ ვარჯიში მის დაოსტატებას ძალიან წაადგება. იმის მიუხედავად, რომ ესებუასთვის თითქოს ბინაც გამოიძებნა, ხელფასიც დაუნიშნეს, აქ მაინც ვერაა ისეთი პირობები, რაც ამ დონის სპორტსმენს პროგრესისთვის სჭირდება.

მოგეხსენებათ, ესებუა უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონი იყო. იმ გუნდის წევრი **ტატიანა დოროხოვა** უკვე უკრაინის ეროვნული ნაკრებშია და ყველა ტურნირზე სტაბილურად მოწინავეთა შორისაა. მართალია, ესებუაც ნებისმიერ ტურნირზე ანგარიშგასაწევი მსროლელია და იშვიათად, შეჯიბრება ჩააგდოს, მაგრამ თავის ყოფილ კოლეგას მაინც ჩამორჩება შედეგებით. ცხადია, მხოლოდ იმიტომ, რომ ისეთ პირობებში ვერ ვარჯიშობს. საქართველოში არაა იმდენად დიდი კონკურენციაა, როგორიც ზოგადად უკრაინაში და კონკრეტულად - ლვოვში. ქართულ მშვილდოსნობაში არსებული დაპირისპირების გამო, ესებუა მწვრთნელსაც ხშირად იცვლიდა, ეს კი ვის კარიერას წარდგომია, მისთვის რომ ერგო. აკი ერთხელ ჩვენთან ინტერვიუში კიდეც დაიჩივლა, საქართველოში ყველაზე მეტად ჩემი ლვოველი მწვრთნელი მაკლიაო. სასიხარულოა, რომ მას ისევ გაუჩნდა სიმონსთან დაბრუნების შანსი.

უკრაინულ მხარესთან და, კონკრეტულად, მონიკა სიმონსთან მიღწეულია პრინციპული შეთანხმება, რომ ავარჯიშონ ესებუა და უკონკურსოდ იქაურ ტურნირებშიც დაუშვან. ცხადია, ეს ქართველისთის დიდი სამსახური იქნება. იმედია, საქართველოში ამისთვის საჭირო თანხა მოიძებნება და ნიჭიერ სპორტსმენს ხელი არ შეეშლება. რაც მთავარია, უკრაინელები ყაბულს არიან, კონკურენტი თავისთან მოამზადონ და ეს შანსი ჩვენც უნდა გამოვიყენოთ. თანაც, სიმონსი კვალიფიციური მწვრთნელია და ფული წყალში ნამდვილად არ გადაიყრება. თუ არ ვცდებით, მასთან უნდა ვარჯიშობდეს უკრაინის ნაკრების კიდევ ერთი წევრი, ქართული წარმომავლობის **იულია ლობჟანიძე**.

ჯერჯერობით საუბარია მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატამდე მომზადებაზე, რადგან ესებუას პროგრამა-მინიმუმი ლიცენზიის მოპოვებაა, მაგრამ თანამშრომლობის გაგრძელება არც მერეა გამორიცხული. ამის თქმის საფუძველს უკრაინული მხარის კეთილგანწყობა გვაძლევს.

საბოლოოდ, ყველაფერი - ესებუას საკითხიც და საზღვარგარეთულ ტურნირებში ნაკრების დაფინანსებაც მომავალ კვირაში გაირკვევა ოლიმპიურ კომიტეტთან და სპორტის დეპარტამენტთან კონსულტაციების შემდეგ.

**ირაკლი თავაძე**

ნომინაციები 2006

# წლის ყველაზე, ყველაზე...

**"ლელო" არ ღალატობს ტრადიციას და 2006 წლის მონაცემების მიხედვით, ასახელებს გამორჩეულ სპორტსმენებს, მოღვაწეებს, სპორტულ ორგანიზაციებსა თუ მოვლენებს. მაშ, ასე:**

- წლის სპორტსმენი ინდივიდუალურ სახეობებში - **ზაზა კედელაშვილი** (ძიუდო)
- წლის სპორტსმენი გუნდურ სახეობებში - **ზაზა ფაჩულია** (კალათბურთი)
- წლის სპორტის ოლიმპიური სახეობა - **ძიუდო**
- წლის სპორტის არაოლიმპიური სახეობა - **სამბო**
- წლის ვეტერანი სპორტსმენი - **ზაურ სახვაძე** (სამბო), მსოფლიოს 9-გზის ჩემპიონი ვეტერანებს შორის
- წლის სიამაყე - **ელენე გედევანიშვილი**
- წლის მასობრივი სპორტული ასპარეზობა - **მინი- ფეხბურთში საქართველოს პრეზიდენტის თასის მეორე გათამაშება**
- წლის სპორტის პროგრესული ფედერაცია - **ძიუდო**
- წლის სპორტული ორგანიზაცია საქალაქო და რაიონულ სტრუქტურებში - **გორის სპორტისა და კულტურის სამმართველო**
- წლის იმედი და პერსპექტივა - **ბორჯომის წარდგენა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქად**
- წლის პოზიტიური მოვლენა - **ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქცია**
- წლის ნეგატიური მოვლენა - **საფეხბურთო კლუბ ფოთის "კოლხეთის" დაშლა**
- წლის ქველმოქმედი - **საქართველოს ოლიმპიური ფონდი**

მკითხველის თხოვნით

# მაშველი

**ძალიან მაინტერესებს მარათონული გაცურვების ისტორიები. მეამაყება, რომ იმ ადამიანთა შორის, ვინც თავი გამოიჩინა ამ საქმეში, ხშირად მოიხსენიებენ ჩვენ თანამემამულე მემედ ბედიას. თუ გაქვთ შესაძლებლობა, გთხოვთ მოგვითხროთ მის შესახებ.**

*აკაკი მეგონია, ქუთაისი*

2006 წლის შემოდგომაზე, 26 წლის თბილისელმა მოცურავემ, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა და ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე **ზურაბ ხომასურიძემ** ბათუმიდან ფოთამდე, შეუჩერებლივ, 60 კილომეტრზე მეტი მანძილი 18 საათში დაფარა. ამაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მე-20 საუკუნის დასაწყისში კი პირველმა **მემედ ბედიამ** გაცურა ეს დისტანცია. რეკორდსაც მან ჩაუყარა საფუძველი.

ბათუმელმა მაშველმა, ეროვნებით აფხაზმა მემედ ბედიამ თავის დროზე ოთხიათასზე მეტი ადამიანი გამოსტაცა ზღვის ტალღებს. მისი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ბათუმში.

ბედიების ოჯახს რომ ვესტუმრე, კარი მემედის შვილთაშვილმა, **კემრან ბედიამ** გამიღო. მამამისი **ენვერ ბედია**, მემედის უმცროსი შვილიშვილი ყოფილა. ენვერს ჯერ ბათუმის საზღვაო ტექნიკუმი დაუმთავრებია, შემდეგ მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტი. საზაფხულო არდადეგებზე, სტუდენტობისას, იქვე მოსკოვის სამაშველო სადგურში უმუშავია და მასაც 30 ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენია.

როცა მემედზე ვკითხე, მითხრა - იმაზე მეტს ვერაფერს გეტყვით, რასაც აქედან შეიტყობთო და - ჟურნალ "ოგონიოკის" 1962 წლისა და "ბატუმსკი რაბოჩის" 1926 წლის ნომრები მოგვაწოდა.

ბედიების ოჯახი ბათუმში მე-17 საუკუნიდან ცხოვრობს. ახალგაზრდა მემედ ბედია, ისე როგორც სხვა მრავალი ბათუმელი, დიდ დროს ატარებდა ზღვის სანაპიროზე. მან თანდათანობით გაითქვა სახელი, როგორც კარგმა მყვინთავმა და მოცურავემ. როცა ბათუმში პირველი სამაშველო სადგური გაიხსნა, ის მეზღვაურად გააფორმეს და არჩევანში არ შემცდარან. ჩვენს დროში მყვინთავები მრავალგვარ აღჭურვილობას იყენებენ, მემედს კი არაფერი გააჩნდა. თავის საგმირო საქმეებში მას არაჩვეულებრივი ჯანმრთელობა უწყობდა ხელს. მემედმა 61 წელიწადი იმუშავა მაშველად.

რაც შეეხება ბათუმიდან ფოთში გადაცურვას, ეს XX საუკუნის დასაწყისში მოხდა (მემედი, სავარაუდოდ, 1846 წელს დაიბადა). გადაცურვის დროს ზღვა საკმაოდ ირწეოდა, შიგადაშიგ ღელავდა, შეჯიბრების მონაწილენი ერთიმეორის მიყოლებით გამოეთიშნენ ასპარეზობას. ზოგი მახინჯაურში, ზოგი - ქობულეთში. ნაპირისაკენ მიბრუნდა კანჯოც, რომელიც მათ მიაცილებდა, მხოლოდ მემედი არ შედრკა და ფოთისაკენ გააგრძელა მარათონი, რაც წარმატებით დაასრულა.

ამავე პერიოდში დარდანელის სრუტე გადაუცურავს მეფუნთუშეს, ვინმე ფრანგს, სახელად მიშელს და იმდროინდელი გაზეთები აჭრელებული ყოფილა მისი ფოტოებით, მემედის ეს გმირობა კი არავინ იცოდა. არადა, ნამდვილად უნდა შესულიყო მსოფლიოს სპორტის ისტორიაში. მხოლოდ 1926 წელს, საბჭოთა კავშირის წყალზე მაშველთა საზოგადოებამ ბედია მამაცობისათვის ოქროს სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა, ხოლო 1927 წელს ორდენით. 1940 წლის 14 იანვარს უხუცესი მაშველი **მიხეილ კალინინმა** კრემლში მიიღო.

"ოგონიოკში" ასეთი ეპიზოდია აღწერილი. ერთ საღამოს, როცა მაშველები უკვე შინ მიდიოდნენ, მემედი სანაპიროზე ჩამომჯდარიყო და ისვენებდა. უცებ ორი გოგონა დაინახა ნაპირზე, მესამე კი ზღვიდან ამოსვლას აგვიანებდა. გოგონები ისევ ზღვაში შევიდნენ, ეტყობა ამხანაგის მისაშველებლად. გამოცდილი მაშველი მყისვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და იქით გაეშურა - სასწრაფოდ ისროლა ზღვაში მაშველი წრე, თავადაც უმალ იქ გაჩნდა და გრძნობადაკარგული გოგონა, რომელსაც მეორე ჰყავდა ჩაბღუჯული, გრძელი თმებით იმ წრეს მიაბა. მესამე ფსკერზე იპოვა და ნაპირზე გამოიყვანა - შემდეგ ის ორიც.

უკანასკნელად მან განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანი 85 წლისამ გადაარჩინა. მაშინ მემედი, რა თქმა უნდა, უკვე აღარ მუშაობდა მაშველად. მოსკოველი სტუდენტის ბედად, ჩვეულებისამებრ ისევ ნაპირთან იჯდა, როცა ის სტუდენტი ზღვაში ჩავიდა და აზვირთებულმა ტალღებმა ჩაითრია. მემედი, როგორც ახალგაზრდობაში, უყოყმანოდ გადაეშვა ზღვაში და ამ ჭარმაგმა მოხუცმა კვლავ იხსნა ადამიანის სიცოცხლე, ეს იყო 1934 წლის ზაფხულში.

ახალგაზრდობაში მემედი 26 მეტრის სიღრმეზე ყვინთავდა, რაშიც გოლიათური აღნაგობა, უნაკლო ჯანმრთელობა და ბავშვობიდან ნავარჯიშები ფილტვები ეხმარებოდა. სხვათა შორის, მას ზღვის ფსკერიდან ძვირფასეულობაც ამოუტანია.

მემედის უფროს შვილს **მეჯიდსაც** არაერთხელ გადაურჩენია განწირული ადამიანები. მის ანგარიშზე თურმე 600 ასეთი შემთხვევა ირიცხება. როგორც ხედავთ, ბათუმში ნამდვილად ცხოვრობდა კაცილეგენდა, წყალმაშველი და მყვინთავი, მარათონული ცურვის შეუდარებელი ოსტატი, აფხაზი მემედ ბედია.

**ოთარ მურვანიძე**
ბათუმიდან

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მხატვრული ტანვარჯიში



ნელი სალაძე

ინტერვიუ ნელი სალაძესთან

# მარტში, მოსკოვიდან დაიწყება

### პეკინამდე მხატვრულ ტანვარჯიშს ნელი სალაძე უხელმძღვანელებს

**პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებისთვის ბრძოლაში წლეულს ჩვენი ტანმოვარჯიშეებიც ჩაერთვებიან. მათ შორის იქნებიან მხატვრული სტილით მოვარჯიშეებიც, რომლებსაც ამ შემოდგომით გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე, ოცეულში მოხვედრა მწვანე შუქს აუნთებს პეკინისკენ.**

**სამწუხაროდ, ფედერაციაში არსებული შინააშლილობის გამო, ჩვენს წამყვან მხატვრული ტანმოვარჯიშეებს შარშან თითქმის ყველა მნიშვნელოვანი შეჯიბრება გაუცდათ. მათ მხოლოდ წლის ბოლოსლა იასპარეზეს მსოფლიო თასის ეტაპზე, გრანპრისა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე, რაც საკმაოდ ცოტაა.**

**ვიმედოვნებთ, წლეულს განხეთქილება წარსულს ჩაბარდება და ჩვენს გოგონებს საშუალება ექნებათ, მშვიდად იბრძოლონ ოლიმპიური ლიცენზიებისთვის. როგორც გუშინ საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტმა, ნელი სალაძემ გვითხრა, ამის რეალური ნიშნები უკვე გამოიკვეთა.**

- წლეულს პრინციპული, გადამწყვეტი სეზონი გვაქვს. თუკი პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები გვინდა, ყველამ უნდა დავივიწყოთ პირადული და ერთმანეთს დავუდგეთ გვერდში საერთო საქმისთვის. აუცილებლად უნდა ვიასპარეზოთ ყველა გრანპრისა თუ მსოფლიო თასის ეტაპზე. შარშან საკმაოდ ბევრი გაგვიცდა და წლეულს როგორმე უნდა მოვახერხოთ ამ დანაკლისის ანაზღაურება.

ტანვარჯიშს შევადარებდი მძლეოსნობას - როგორც მძლეოსნების რბენის შუა ნაწილში გამოიკვეთება ხოლმე ლიდერთა ვინაობა, ასევეა ჩვენს სახეობაშიც. პეკინის ოლიმპიადისთვის 20 ლიცენზია თამაშდება. აქედან, 6 ქვეყნის 12 ტანმოვარჯიშე ალბათ უპრობლემოდ მოხვდება პეკინში. დანარჩენ 8 საგზურზე კი ერთბაშად ოცდაათამდე ტანმოვარჯიშე აცხადებს პრეტენზიას. მათ შორის არიან ჩვენი წამყვანი სპორტსმენები - ქეთი ხატიაშვილი, თათია დონაძე და ელენე გავარდაშვილი. მართალია, მათ შარშანდელი სეზონის უმთავრესი ღონისძიებების დიდი ნაწილის გაცდენამ ბევრი დააკლო, მაგრამ თავდაუზოგავი მუშაობით, პეკინში მოხვედრა სავსებით რეალურად მეჩვენება.

სამწუხაროდ, ჩვენს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნულ ფედერაციასთან ბოლომდე კვლავ ვერ მოვაგვარეთ პრობლემები. მათ ამჯერადაც ვთხოვეთ, რომ ყველა საზღვარგარეთული მნიშვნელოვანი შეჯიბრის მიწვევა ჩვენთვისაც გამოეგზავნათ. თავიდან უარი გვითხრეს - არაფერი მიგვილიაო. თუმცა, მერე ვიკითხეთ სხვადასხვა ქვეყნებში და მათ პირიქით თქვეს, გამოვაგზავნეთ და თქვენს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციას მიაკითხეთო. საბოლოოდ, გავარკვიეთ, რომ მართლაც მიუღიათ და მხოლოდ იმ ქვეყნებში გაუგზავნიათ დადებითი პასუხები, რომელიც თავად სურდათ.

ვიმედოვნებ, ეს უკანასკნელი გაუგებრობა იქნება და ამიერიდან ყველა ერთად დავდგებით. მარტიდან მოსკოვის გრანპრით იწყება დიდი ტურნირები და ახლა წამითაც არ გვაქვს სხვა რამეებზე ფიქრის დრო, მთელი ყურადღება ტანმოვარჯიშეების ღირსეულად მომზადებაზე უნდა გადავიტანოთ.

აღნიშნულ საკითხზე ველაპარაკეთ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას. ისინიც მომხრეები არიან, რომ შემდეგში გაუგებრობები და უსიამოვნებები თავიდან ავირიდოთ. ამიტომაც, რადგან წამყვანი ტანმოვარჯიშეები ჩვენს ფედერაციაში არიან, მითხრეს, რომ პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ციკლში, მხატვრულ ტანვარჯიშს მე ვუხელმძღვანელებ. ამაზე სიტყვიერ შეთანხმებას უკვე მივაღწიეთ. ვიმედოვნებ, უახლოეს დღეებში ყველაფერი ოფიციალურად გაფორმდება.

**კობა ხატისაშვილი**

## წყალბურთი



ინტერვიუ სოსო მაისურაძესთან

# რა დროს ევროპაა?

### წყალი არ გვაქვს და უფულოდ ვიხრჩობით!

**სამწუხაროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ წლეულს ქართულ წყალბურთს ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებზე საერთოდ აღარ ეყოლება წარმომადგენელი. თუკი ბოლო წლებში ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები მაინც გამოდიოდა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპებზე და რამდენჯერმე ფინალურ ტურნირზეც კი გაუღწევია , წლეულს მხოლოდ ორიოდ საერთაშორისო ტურნირით თუ დავკმაყოფილდებით.**

**გვესაუბრება საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი სოსო მაისურაძე:**

- მოგეხსენებათ, გია უდესიანმა დატოვა საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია და ამჟამად, უთავკაცოდ ვართ დარჩენილები. პრეზიდენტის მოვალეობას დროებით ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი დავით რურუა და ახლა ვეძებთ ისეთ ადამიანს, რომელიც უდესიანს ღირსეულად შეცვლის და ისე გვიპატრონებს, როგორც საჭიროა. ორი ვარიანტია - ან ისეთი ადამიანი უნდა მოვნახოთ, რომელიც მთავრობის მაღალჩინოსანია და სახელმწიფო ბიუჯეტიდან თუ პირადი კავშირების წყალობით მოახერხებს საწყლოსნო სახეობებისთვის საჭირო თანხის მოძიებას, ანდა რომელიმე ბიზნესმენი უნდა ავირჩიოთ პრეზიდენტად.

თუმცა, ჩვენი კანონმდებლობის ერთ-ერთი პუნქტი ისეთია, ბიზნესმენსაც დაეკარგება ფედერაციის პრეზიდენტობის სურვილი და ჩვენთვის განკუთვნილი თანხის დიდ ნაწილსაც დავკარგავთ. საქმე ის არის, რომ ამ კანონის თანახმად, თუკი ბიზნესმენი სპორტში, ამ შემთხვევაში კი საწყლოსნო სახეობებში ფულს დახარჯავს, თანხის 32 პროცენტი სახელმწიფო ხაზინაში უნდა გადაირიცხოს, რაც საკმაოდ ბევრია. ჩვენ კი ჰაერივით გვჭირდება დაფინანსება და თანაც საკმაოდ ბევრი.

ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ძალიან გვალშფოთებს ის ახალი კანონიც, რომლის შემოღებასაც აპირებენ. ვგულისხმობ სპორტსკოლებისა თუ ბაზების თვითდაფინანსებაზე გადასვლას. ასეთ შემთხვევაში, წყალბურთში ნაკრების წევრი იძულებული გახდება, აბონემენტი შეიძინოს დღეში ორჯერ სავარჯიშოდ, რაც სრული აბსურდია და არამარტო საწყლოსნო, არამედ სხვა სახეობებსაც გვარიანად აზარალებს. თუ ქალაქის მერიამ კომუნალური ხარჯები მაინც არ გადაგვიხადა, შავ დღეში აღმოვჩნდებით.

**- თებერვლის მეორე ნახევარში უკრაინის ღია პირველობის მეორე ტურში ითამაშებთ. რა შემადგენლობა მიგყავთ?**

- ეს იქნება ეროვნული ნაკრები. გერმანიიდან ჩამოვა სამი წყალბურთელი - მიხეილ ბალათურია, ილია ბუტიკაშვილი და პავლე ჯაფარიძე. რუსეთიდან ველით ზურაბ რურუას, ზურაბ ჭუმბურიძეს, კონსტანტინე გეგელაშვილსა და გიორგი ხვედელიანს. მათ დაემატებიან საქართველოში მოვარჯიშე ახალგაზრდებიც და ასეთი გუნდით წარვდგებით მარიუპოლში.

**- ასეთი შემადგენლობით მოთამაშე ეროვნული ნაკრები ერთი წელია, რაც არსებობს და მხოლოდ უკრაინის ჩემპიონატში ასპარეზობს. ოფიციალურ შეჯიბრებებზე გასვლას არ აპირებთ?**

- ეროვნულ ნაკრებს წლეულს შეუძლია, კლუბის სახელით იასპარეზოს ევროპის ჩემპიონთა თასზე, ან ევროპის B ჩემპიონატზე. თუმცა, ევროპის ჩემპიონატზე განაცხადების მიღების ვადა უკვე ამოიწურა და რომც დაგვიშვან, საამისო თანხა არ გვაქვს. იგივე მდგომარეობაშია ახალგაზრდული ნაკრებიც. სამწუხაროდ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ბოლო წლების განმავლობაში პირველად, ველარც ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები გამოვა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ფული ჩვენ არ გვაქვს და აუზი, როგორ უნდა გავიდეთ ევროარენაზე?

წლეულს, ჯერჯერობით, მხოლოდ იმის თანხა გვაქვს, რომ უკრაინის ღია ჩემპიონატის მეორე ტურზე წავიდეთ. თუკი მოგვიანებით მაინც გამოჩნდა ფული, მაშინ, შესაძლოა, სევასტოპოლის საერთაშორისო ტურნირზე წავიდეთ. ვიმედოვნებ, ჩვენი პრობლემები დასრულდება და გაისიდან მაინც დაიწყებენ წინსვლას საწყლოსნო სახეობები.

**კობა ხატისაშვილი**

## ხელბურთი



ეროვნულმა ნაკრებმა სეზონი დაამთავრა, გადავდივართ საქართველოს ჩემპიონატზე

# დანიაში უფრო იაფია!

სანაკრებო ბატალიების დასრულების შემდეგ, საქართველოს ხელბურთის ასოციაცია სეზონის განახლებისთვის ემზადება. წლის პირველ ნახევარში ორი მთავარი ღონისძიებაა - საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი და ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი.

საქართველოს ჩემპიონატი, მოგეხსენებათ, დეკემბრის დასაწყისში, ცოტა არ იყოს, სკანდალურ ვითარებაში შეჩერდა. ამის მიზეზი გახდა ეროვნული ნაკრები, რომლის საქართველოში მოთამაშე წევრებიც აზერბაიჯანულ შეკრებაზე წავიდნენ. შესაბამისად, ჩემპიონატი გადადებულად გამოცხადდა. როგორც გუშინ ხელბურთის ასოციაციიდან გვაცნობეს, ჩემპიონატი თებერვლის ბოლოს ან მარტის პირველ რიცხვებში განახლდება.

რაც შეეხება მსოფლიო შემპიონატის შესარჩევ ტურნირს. როგორც იცით, ეს შეჯიბრება ამ გაზაფხულზე თბილისში უნდა ჩატარებულიყო. სამწუხაროდ, ჩვენი ხელბურთის შეფებს ამაზე უარის თქმა მოუხდათ, რადგან ასოციაციას საკმაოდ მწირი ბიუჯეტი აქვს და ყოველგვარი გართულების თავიდან ასარიდებლად, ორგანიზატორებს შესარჩევი ტურნირის მასპინძლობაზე უარი უთხრა. ფულის ყველაზე მომჭირნედ დახარჯვითაც კი, ტურნირის თბილისში ჩატარება 75-80 000 ლარამდე ჯდებოდა, სტუმრად ჩასვლა კი თურმე გაცილებით იაფია და საამისო თანხის შოვნაც შესაძლებელია.

ასე რომ, შესარჩევი ტურნირი გაიმართება დანიაში, სადაც მასპინძლებსა და ქართველებთან ერთად ითამაშებენ უკრაინელები და ლიტველები. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ზაფხულში მაკედონიაში გაიმართება, ჩვენი ქვეჯგუფიდან იქ ორი საუკეთესო გუნდი მოხვდება. უფრო დაწვრილებით ამ და სხვა საკითხებზე შემდეგ კვირაში მოგიყვებით, როდესაც ხელბურთის ასოციაცია საბოლოოდ ჩამოაყალიბებს სამომავლო გეგმებს.

**ლაშა კობიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ვარსკვლავების გარეშე



გუშინ ოსტინ კროშირს ყველაფერი გამოსდიოდა

**ინდიანა–ბოსტონი 103:96**

24:30, 28:13, 24:13, 27:40

**ინდიანა:** ტინსლი (28 ქ. 7 პ. 6 მ. 4 ჩ), ჯ. ონილი (25 ქ. 8 მ. 4 პ. 3 დ), დ. გრეინჯერი (13 ქ. 5 მ), მერფი (9 ქ. 10 მ).

**ბოსტონი:** ელ ჯეფერსონი (15 ქ. 17 მ. 2 ჩ), ჯ. გრინი (14 ქ), გომესი (13 ქ. 2 ჩ), ტელფეირი (11 ქ).

"ბოსტონი" თუ მომდევნო დრაფტის საუკეთესოს უმიზნებს, მაშინ ყველაფერი გეგმისამებრ მიდის, მაგრამ ამდენი წაგებაც ნამეტანია. ლიგის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი სამარცხვინო კალათბურთს თამაშობს და ვეჭვობ, "სელტიქსის" თამაშის ხარისხის მკვეთრად გაუარესება მხოლოდ და მხოლოდ **პოლ პირსის** ტრავმით იყოს განპირობებული. კი, პოლი ძალიან დიდი ძალაა, მაგრამ სუსტ აღმოსავლეთში, სადაც პირველ ადგილზე მყოფ "ვაშინგტონს" დასავლეთის საშუალო გუნდთან საფლეიოფო სერიაში მოგების მიზერული შანსი ექნებოდა, თუნდაც ასეთი კონტინგენტით ბევრად უკეთესი კალათბურთის დემონსტრირებაა საჭირო.

"ბოსტონს" წინა შეხვედრაში ტრავმამოშუშებული **უოლი შჩერბიაკი** შეუერთდა, რომელიც ამ ორ მატჩში სათამაშო პრაქტიკის უქონლობას სროლების საშინელი პროცენტული მაჩვენებლით ადასტურებს – უოლის 25-დან მხოლოდ 5 სროლა აქვს გამოყენებული და როგორც ჩანს, "სელტიქსს" ან მთავარი მწვრთნელის როქირება არ ასცდება, ან კიდევ სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს რაიმე "დიდი" გაცვლა, რომელიც გუნდს ახალ სისხლს გადაუსხამს.

არასტაბილურია რიკ კარლაილის "ინდიანაც", მაგრამ "ბოსტონთან" შედარებით ეს გუნდი საჩემპიონო თამაშს აჩვენებს, ხოლო ახალწვეულების (**ტროი მერფი, მაიკ დანლივი-უმცროსი**) სათამაშო სქემებში საბოლოოდ გაშინაურების მერე "პეისერზი" იქნებ კონფერენციის ერთ-ერთ ფავორიტადაც იქცეს.

"ინდიანსთან" მატჩამდე "ბოსტონის" გამთამაშებელმა **დელონტე უესტმა** (წინა 4 შეხვედრაში იგი საშუალოდ 20.5 ქულას აგროვებდა) პირობა მისცა ფანებს, აი, დღეს ულაპარაკოდ დავასრულებთ ამ საშინელ სერიას (რომლის დროსაც გუნდი ზედიზედ 11-ჯერ დამარცხდა) და "პეისერზი" უშანსოდ იქნებაო.

მთქმელს წესით, უნდა ეთამაშა კიდეც, მაგრამ უესტს სიცხემ აუწია და პირველ ნახევარში ფაფხურის (12 წუთში 4 ქულა და 2 პასი) მერე, დიდი შესვენების შემდეგ იგი მოედანზე საერთოდ არ გამოჩენილა.

დელონტეს გამონათქვამი "პეისერზისთვის" მატჩის მოგების დამატებით მოტივაციად იქცა და სამი მეოთხედის განმავლობაში მასპინძლები აკეთებდნენ ყველაფერს, რაც კი მოესურვებოდათ.

**ჯამაალ ტინსლიმ** მიმდინარე რეგულარულში თავისი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და 28 ქულით სამსეზონო პირადი რეკორდიც კი დაამყარა. ბოლო მეოთხედში, როდესაც "სელტიქსმა" 21-ქულიანი ჩამორჩენა 7-მდე დაიყვანა, სწორედ ტინსლიმ ითავა ლიდერობა და 6-დან 5 საჯარიმოს ზუსტად შესრულებით (სულ 11-დან 10 გამოიყენა) მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა.

"ბოსტონის" რიგებში კი ერთადერთ ნათელ წერტილად კვლავ უნიჭიერესი ფორვარდ-ცენტრი **ელ ჯეფერსონი** რჩება, რომელმაც აღნიშნულ ჯახში ამ სეზონში ორმაგი დუბლების რაოდენობა 20-მდე გაზარდა, სხვა მხრივ კი **დოკ რივერისი** გუნდში არავის უთამაშია თუნდაც საშუალო დონეზე. რივერსის დღეები დათვლილია? ალბათ, ასეა, პოლ პირსს კი მომდევნო სეზონიდან რომელიმე ძლიერ დასავლურ გუნდში ვიხილავთ.

**კლივლენდი–გ. სტეიტი 124:97**

37:22, 30:25, 24:29, 33:21

**კლივლენდი:** პავლოვიჩი (24 ქ. 3 პ), დ. მარშალი (15 ქ. 5 მ), ილგაუსკასი (14 ქ. 10 მ. 4 პ), გიბსონი (12 ქ), გუდენი (11 ქ. 3 ჩ), ჰიუზი (11 ქ. 2 ჩ), უესლი (11 ქ. 5 მ), დ. ჯოუნსი (10 ქ. 4 პ).

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (21 ქ. 8 პ. 5 მ. 2 დ), ელ ჰარინგტონი (13 ქ. 8 მ), ბიედრინსი (12 ქ. 8 მ. 2 დ), მ. ელისი (11 ქ), მ. პიეტრუსი (11 ქ).

**ლებრონ ჯეიმსს** მარჯვენა საჩვენებელი თითის მიკროტრავმის გამო არ უთამაშია, მის ნაცვლად სასტარტოში დაყენებულმა **საშა პავლოვიჩმა** კი 24 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა.

**ვაშინგტონი–დეტროიტი 104:99**

30:18, 25:24, 19:22, 30:35

**ვაშინგტონი:** არენასი (36 ქ. 11 პ. 7 მ), სტივენსონი (15 ქ), კ. ბატლერი (13 ქ. 5 მ. 5 ჩ).

**დეტროიტი:** ბილაპსი (24 ქ. 8 პ. 4 მ), პრინსი (19 ქ), რ. უოლასი (15 ქ. 8 მ. 2 დ), რ. ჰამილტონი (15 ქ), მაკდაიესი (11 ქ. 6 მ).

**ნიუ იორკი–ლეიკერსი 99:94**

25:20, 18:21, 30:23, 26:30

**ნიუ იორკი:** კარი (27 ქ. 9 მ), მარბერი (22 ქ. 7 მ), ჯ. კროუფორდი (17 ქ), ჯეფრიზი (14 ქ. 7 მ. 2 ჩ. 2 დ), ფრაი (11 ქ), ლი (2 ქ. 13 მ. 4 პ).

**ლეიკერსი:** ოდომი (25 ქ. 9 მ. 6 პ), რადმანოვიჩი (18 ქ. 9 მ. 2 ჩ), ს. პარკერი (14 ქ), მ. ევანსი (10 ქ).

"სან ანტონიოსთან" შეხვედრაში მანუ **ჯინობილისთვის** სახეში იდაყვის გარტყმისთვის, ლიგამ **კობი ბრაიანტი** ერთი მატჩით დასაჯა, მის გარეშე კი "ლეიკერსმა" ვერაფერი მოუხერხა სწრაფ "ნიქსს" და ზედიზედ მესამედ დამარცხდა.

**მაიამი–მილუოკი 110:80**

35:14, 31:23, 25:25, 19:18

**მაიამი:** უეიდი (28 ქ. 6 მ. 6 პ. 2 ჩ), კაპონო (15 ქ), პოუსი (13 ქ), დულიკი (11 ქ. 11 მ. 5 პ), ა. უოკერი (11 ქ. 5 მ. 4 პ).

**მილუოკი:** ვილიანოვა (17 ქ), მო უილიამსი (14 ქ), ჩ. ბელი (12 ქ), ბოიკინსი (11 ქ. 5 პ).

ტრავმების გამო "მაიამის" **შაკილ ონილი** და **ჯეისონ უილიამსი** არ ჰყოლია, თუმცა ფლორიდელებმა მაინც მოიგეს და სამმატჩიანი წარუმატებელი სერია დაასრულეს.

**დალასი–სიეტლი 122:102**

28:28, 38:26, 19:26, 37:22

**დალასი:** კროშირი (34 ქ. 7 მ. 3 პ), ტერი (19 ქ. 4 პ), ბაკნერი (17 ქ. 3 ჩ), დ. ჰარისი (16 ქ. 4 პ), ნოვიცკი (15 ქ. 6 მ).

**სიეტლი:** რ. ალენი (35 ქ. 7 პ. 6 მ. 2 ჩ), უოტსონი (15 ქ. 6 პ), კოლისონი (15 ქ. 9 მ), უილკოქსი (12 ქ. 7 მ. 2 ჩ).

**დირკ ნოვიცკის** თამაში არ წაუვიდა (12-დან მხოლოდ 3 სროლა გამოიყენა), **ჯოშ ჰოვარდს** შვილი შეეძინა და საერთოდ არ უთამაშია, მაგრამ ეივერი ჯონსონის გუნდში იმ დღეს შეუდარებელი იყო **ოსტინ კროშირი,** რომელმაც 34 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა. რაც შეეხება "მავერიქსს", გუნდმა შინ ზედიზედ მე-14 მატჩი მოიგო, რაც გუნდური რეკორდის გამეორებას ერთადერთ მოგებითღა ჩამოუვარდება.

**ზურაბ თალაკვაძე**

## NBA. თებერვლის კალენდარი

**1 თებერვალი**
- მაიამი-კლივლენდი
- ფინიქსი-სან ანტონიო

**2 თებერვალი**
- ატლანტა-ტორონტო
- ბოსტონი-კლიპერსი
- კლივლენდი-შარლოტი
- დენვერი-პორტლენდი
- დეტროიტი-მილუოკი
- ინდიანა-ლეიკერსი
- ნიუ ორლეანი-მინესოტა
- ორლანდო-ნიუ ჯერსი
- ფილადელფია-გოლ. სტეიტი
- სიეტლი-ჩიკაგო

**3 თებერვალი**
- შარლოტი-გოლდენ სტეიტი
- დალასი-მინესოტა
- ჰიუსტონი-ნიუ ორლეანი
- მემფისი-ინდიანა
- მილუოკი-მაიამი
- ორლანდო-ნიუ იორკი
- ფინიქსი-იუტა
- პორტლენდი-ჩიკაგო
- საკრამენტო-დენვერი
- ვაშინგტონი-ლეიკერსი

**4 თებერვალი**
- კლივლენდი-დეტროიტი
- ნიუ ჯერსი-ატლანტა
- ტორონტო-კლიპერსი

**5 თებერვალი**
- ატლანტა-ლეიკერსი
- ჰიუსტონი-მინესოტა
- ინდიანა-გოლდენ სტეიტი
- მაიამი-შარლოტი
- ფილადელფია-ნიუ ჯერსი
- საკრამენტო-ნიუ ორლეანი
- იუტა-ჩიკაგო
- ვაშინგტონი-სიეტლი

**6 თებერვალი**
- დეტროიტი-ბოსტონი
- მემფისი-ჰიუსტონი
- მილუოკი-ორლანდო
- ნიუ იორკი-კლიპერსი
- პორტლენდი-ფინიქსი

**7 თებერვალი**
- ატლანტა-ნიუ ჯერსი
- ბოსტონი-მაიამი
- კლივლენდი-კლიპერსი
- დალასი-მემფისი
- დენვერი-ნიუ ორლეანი
- ინდიანა-სიეტლი
- მინესოტა-გოლდენ სტეიტი
- ფილადელფია-შარლოტი
- ტორონტო-ორლანდო
- ვაშინგტონი-სან ანტონიო

**8 თებერვალი**
- დეტროიტი-ლეიკერსი
- ნიუ ორლეანი-მილუოკი
- საკრამენტო-ჩიკაგო

**9 თებერვალი**
- ბოსტონი-ნიუ ჯერსი
- კლივლენდი-მაიამი
- შარლოტი-პორტლენდი
- დალასი-ჰიუსტონი
- გოლდენ სტეიტი-ჩიკაგო
- ინდიანა-დენვერი
- მემფისი-მინესოტა
- ორლანდო-სან ანტონიო
- ფილადელფია-კლიპერსი
- ფინიქსი-ატლანტა
- ტორონტო-ლეიკერსი

**10 თებერვალი**
- დეტროიტი-ტორონტო
- ჰიუსტონი-შარლოტი
- მილუოკი-დენვერი
- ნიუ ჯერსი-ორლანდო
- ნიუ ორლეანი-მემფისი
- სიეტლი-საკრამენტო
- იუტა-ნიუ იორკი

**11 თებერვალი**
- კლივლენდი-ლეიკერსი
- გოლდენ სტეიტი-ატლანტა
- ინდიანა-კლიპერსი
- მაიამი-სან ანტონიო
- მინესოტა-ბოსტონი
- ფილადელფია-დალასი
- ფინიქსი-ჩიკაგო
- საკრამენტო-სიეტლი
- ვაშინგტონი-პორტლენდი

**12 თებერვალი**
- დენვერი-გოლდენ სტეიტი
- დეტროიტი-კლიპერსი
- იუტა-ატლანტა

**13 თებერვალი**
- ჩიკაგო-ტორონტო
- ჰიუსტონი-საკრამენტო
- ლეიკერსი-ნიუ იორკი
- მემფისი-ნიუ ორლეანი
- მაიამი-პორტლენდი
- მილუოკი-დალასი
- ნიუ ჯერსი-სან ანტონიო

**14 თებერვალი**
- ბოსტონი-მილუოკი
- შარლოტი-ჩიკაგო
- დეტროიტი-სან ანტონიო
- გოლდენ სტეიტი-ნიუ იორკი
- ინდიანა-მემფისი
- კლიპერსი-ატლანტა
- მინესოტა-დენვერი
- ნიუ ორლეანი-საკრამენტო
- ორლანდო-პორტლენდი
- ფილადელფია-ვაშინგტონი
- სიეტლი-ფინიქსი
- ტორონტო-ნიუ ჯერსი
- იუტა-კლივლენდი

**15 თებერვალი**
- ჰიუსტონი-დალასი
- ლეიკერსი-კლივლენდი

**20 თებერვალი**
- შარლოტი-ნიუ ორლეანი
- ჩიკაგო-ატლანტა
- კლიპერსი-ფინიქსი
- მილუოკი-დეტროიტი
- ნიუ იორკი-ორლანდო
- პორტლენდი-იუტა
- საკრამენტო-ბოსტონი
- სან ანტონიო-დენვერი
- სიეტლი-მემფისი
- ვაშინგტონი-მინესოტა

**21 თებერვალი**
- ატლანტა-სან ანტონიო
- დეტროიტი-ორლანდო
- გოლდენ სტეიტი-მემფისი
- ჰიუსტონი-მაიამი
- ინდიანა-მილუოკი
- ლეიკერსი-პორტლენდი
- მინესოტა-შარლოტი
- ნიუ ჯერსი-ნიუ ორლეანი
- ფილადელფია-ნიუ იორკი
- ფინიქსი-ბოსტონი
- ტორონტო-კლივლენდი

**22 თებერვალი**
- კლივლენდი-ჩიკაგო
- დალასი-მაიამი
- ვაშინგტონი-საკრამენტო

**23 თებერვალი**
- ატლანტა-ჰიუსტონი
- შარლოტი-ფილადელფია
- ჩიკაგო-ვაშინგტონი
- დენვერი-იუტა
- ლეიკერსი-ბოსტონი
- მინესოტა-ფინიქსი
- ნიუ ჯერსი-საკრამენტო
- ნიუ ორლეანი-სიეტლი
- ნიუ იორკი-მილუოკი
- ორლანდო-დეტროიტი
- პორტლენდი-მემფისი
- ტორონტო-ინდიანა

**24 თებერვალი**
- შარლოტი-ტორონტო
- დალასი-დენვერი
- კლიპერსი-გოლდენ სტეიტი
- მილუოკი-ფილადელფია
- სან ანტონიო-სიეტლი
- იუტა-ბოსტონი

**25 თებერვალი**
- ატლანტა-ფინიქსი
- დეტროიტი-ჩიკაგო
- გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი
- ინდიანა-საკრამენტო
- მაიამი-კლივლენდი
- მინესოტა-ვაშინგტონი
- ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი
- ორლანდო-ჰიუსტონი

**26 თებერვალი**
- ჩიკაგო-ორლანდო
- დალასი-ატლანტა
- ჰიუსტონი-ბოსტონი
- კლიპერსი-შარლოტი
- მემფისი-დენვერი
- ნიუ იორკი-მაიამი
- ფილადელფია-საკრამენტო
- სან ანტონიო-ტორონტო
- სიეტლი-პორტლენდი
- იუტა-ლეიკერსი

**27 თებერვალი**
- კლივლენდი-ნიუ ორლეანი
- ინდიანა-ფინიქსი
- მილუოკი-გოლდენ სტეიტი
- მინესოტა-დალასი
- ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი

**28 თებერვალი**
- ბოსტონი-ნიუ იორკი
- ჩიკაგო-გოლდენ სტეიტი
- დენვერი-ორლანდო
- ჰიუსტონი-ტორონტო
- კლიპერსი-სიეტლი
- მემფისი-იუტა
- ნიუ ორლეანი-ატლანტა
- ფილადელფია-ფინიქსი
- საკრამენტო-შარლოტი
- ვაშინგტონი-მაიამი



მძლეოსნობა

### ბენ ჯონსონი მწვრთნელი გახდა

სკანდალურად ცნობილი კანადელი სპრინტერი **ბენ ჯონსონი** მძლეოსნობაში დაბრუნებას აპირებს. ჯონსონი 20 წლის **ბრენდ ფრალიკის** მწვრთნელია, რომლის საუკეთესო შედეგი 100 მეტრ დისტანციაზე 10.94 წამი გახლავთ. უახლოეს ხანში, ფრალიკი ლაიპციგის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას და შეჯიბრის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ არაფერი აქვთ საწინააღმდეგო, თუ 45 წლის ბენ ჯონსონი ტურნირს დაესწრება.

შეგახსენებთ, რომ კანადელმა სპრინტერმა 1988 წელს, სეულის ოლიმპიური თამაშები მსოფლიო რეკორდით (7.79 წამი) მოიგო, მაგრამ მას ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი - სტენოზალოლი აღმოუჩინეს და ოქროს მედალი ჩამოართვეს. ორწლიანი დისკვალიფიკაციის დასრულების შემდეგ, ბენი სარბენ ბილიკს დაუბრუნდა, მაგრამ 1993 წელს, ხელმეორედ ჩააგდო დოპინგ-ტესტი და სამუდამო დისკვალიფიკაცია მიიღო.

ჩოგბურთი

### მზადება დევისის თასისთვის

9-11 თებერვალს, დევისის თასის მსოფლიო ჯგუფში მერვედფინალური მატჩები გაიმართება და ამ ეტაპზე მონაწილე გუნდების კაპიტნები, ერთი მეორის მიყოლებით ასახელებენ შემადგენლობებს.

ჩვენ უკვე გაგაცანით შარშანდელი გათამაშების ფინალისტების - რუსეთისა და არგენტინის შემადგენლობები, ახლა კი, სხვა გუნდების მწვრთნელთა არჩევანს გავეცნოთ.

ჩეხეთის ნაკრების კაპიტანმა **იაროსლავ ნავრატილმა** ამერიკასთან მატჩისთვის შემდეგი ჩოგბურთელები გამოიძახა: მსოფლიოს მე-12 ჩოგანი **ტომაშ ბერდიჩი, ლუკაშ დლუჰი, ივო მინარი** და წყვილთა თანრიგში თამაშის სპეციალისტი **პაველ ვიზნერი**.

ამერიკის შემადგენლობა კი, ასე გამოიყურება: **ენდი როდიკი, ჯეიმს ბლეიკი, ბობ** და **მაიკ ბრაიანები**. ამ გუნდის კაპიტანი პატრიკ მაკინროი გახლავთ.

■ ■ ■

საფრანგეთისა და რუმინეთის ნაკრებები კლერმონში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. საფრანგეთის ნაკრების კაპიტნის **გი ფორჟეს** ხელმძღვანელობით, ამ მატჩისთვის მზადებას დაიწყებენ - **რიშარ გასკე, არნო კლემანი, სებასტიან გროჟანი** და **მიკაელ ლოდრა**. ხოლო რუმინეთი კლერმონში ასეთი შემადგენლობით ჩავა: **ანდრეი პაველი, ვიქტორ ჰანესკუ, ვიქტორ კრივოი** და **ჰორია ტეკაუ** (კაპიტანი: **ფლორინ სეგარჩანუ**).

■ ■ ■

თითქმის ოპტიმალური შემადგენლობებით შეიკრიბებიან გერმანიის ქალაქ კრეფელდში გერმანიისა და ხორვატიის ნაკრებები. ერთადერთი დანაკლისი მასპინძლებს აქვთ ტრავმირებული **ნიკოლას კიფერის** სახით.

გერმანიის ნაკრები - **ტომი ჰაასი, ბენჯამინ ბეკერი, ალექსანდრ ვასკე** და **მიხაელ კოლმანი**.

ხორვატიის ნაკრები - **ივან ლუბიჩიჩი, მარიო ანჩიჩი, ივო კარლოვიჩი, მარინ კილიჩი**.

■ ■ ■

**ნიკოლაი დავიდენკოს** გარეშე მოთამაშე რუსეთის ნაკრებს, ჩილე უძლიერესი შემადგენლობით დაუპირისპირდება. ამ გუნდში იქნება ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი **ფერნანდო გონსალესი** და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ნიკოლას მასუ**. ამ დუეტს პარტნიორობას **პოლ კაპდევილია** და **ადრიან გარსია** გაუწევენ.

■ ■ ■

შეგახსენებთ, რომ შესაძლოა, ესპანეთის ნაკრებს ტრავმის გამო მსოფლიოს მეორე ჩოგანი **რაფაელ ნადალი** დააკლდეს. ხოლო, დანამდვილებით არის ცნობილი ის, რომ შვეიცარიის ნაკრებში ვერ ვიხილავთ ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონ **როჯერ ფედერერს**.

ჰოკეი

### კვებეკმა მსოფლიო ჩემპიონატი გადაარჩინა

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, კვებეკ-სიტიში 2008 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გამართვას საფრთხე დაემუქრა, ვინაიდან ტურნირის ორგანიზატორებმა სხვადასხვა სახის პრობლემების მოგვარება ვერ მოახერხეს, მათ შორის იყო, სპონსორების მოზიდვაც. მაგრამ, გუშინ, კვებეკის მერმა **ანდრე ბუშემ** კანადის ჰოკეის ფედერაციის ხელმძღვანელობა დაამედა და განაცხადა, რომ მისი ქალაქი ღირსეულად უმასპინძლებს მსოფლიო პირველობას.

ბუშეს ინფორმაციით, ტურნირის ბიუჯეტი 11 მილიონი დოლარით გაიზარდა. ამ თანხის ნაწილი კანადის მთავრობამ გაიღო, ნაწილი კი, ქალაქმა დამოუკიდებლად მოიზიდა. ასე რომ, კვებეკის მთავრობა დროულად გამოეხმაურა ქვეყნის ჰოკეის ფედერაციის ულტიმატუმს და ფინანსური პრობლემები მოაგვარა.

### მოდანო ბრუნდება

უახლოეს მატჩში, "დალას სტარზს" თავისი კაპიტანი - **მაიკ მოდანო** დაუბრუნდება. კლუბმა თავისი ერთ-ერთი ლიდერი უკვე გამოიყვანა ტრავმირებულთა სიიდან და სავარაუდოდ, მოდანო პარასკევს ითამაშებს რეგულარულ ჩემპიონატში.

შეგახსენებთ, რომ ამერიკულმა ფორვარდმა ბარძაყისა და საზარდულის ტრავმის გამო, თითქმის ორი თვე გააცდინა.

კალათბურთი

### ედი ჯონსი მაიამის მოელაპარაკა

ცნობილმა მცველმა **ედი ჯონსმა** "მემფის გრიზლისთან" კონტრაქტი გაწყვიტა და სავარაუდოდ ხუთშაბათს, ამ სეზონის ბოლომდე გააფორმებს ხელშეკრულებას მოქმედ ჩემპიონ "მაიამი ჰიტთან".

"გრიზლისი" 35 წლის ჯონსს ამ წლით გათვალისწინებულ მთელ ხელფასს, ანუ 15.4 მილიონ დოლარს გადაუხდის.

NBA-ში ჩატარებული 12 სეზონიდან, ედი ჯონსმა ხუთი წელი "მაიამის" შემადგენლობაში ითამაშა, საიდანაც ტრეიდის შედეგად "მემფისში" აღმოჩნდა. ამ სეზონში კალათბურთელი საშუალოდ მატჩში 5.6 ქულას აგროვებს, კარიერაში ანალოგიური მაჩვენებელი კი, 15.7 ქულას უტოლდება.

თხილამურებით რბოლა

### ვეერპალუ მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დარჩა

ტურინის ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, ესტონელი **ანდრუს ვეერპალუ** მსოფლიო ჩემპიონატს გამოტოვებს. სეზონის მთავარი ტურნირი იაპონიის ქალაქ საპოროში, 22 თებერვალს აიღებს სტარტს.

ვეერპალუს მთელი ამ სეზონის განმავლობაში მუხლის ტრავმა აწუხებს. როგორც ესტონეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მატი ალავარი** აცხადებს, თუ ანდრუსმა ახლა არ მიხედა ამ დაზიანებას, შესაძლოა მას ტრავმის გამიზეზების გამო, მთელი სეზონის გამოტოვება მოუწიოს.

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**კოლორადო-ნეშვილი 4:3**

2:1, 1:1, 1:1

გოლები: 1:0 ბრუნეტი-18 (საკიკი-33, ვოლსკი-19), 2:0 არნასონი-12 (ვაანანენი-4, მაკლინი-10), 2:1 არნოტი-18 (სალივანი-34, დუმონი-30), 2:2 კარია-17 (ჟიდლიცკი-21, ერატი-34), 3:2 ვოლსკი-17 (ბრუნეტი-27, საკიკი-34), 4:2 ჰეიდუკი-16 (პ. შჩასტნი-26, ლეოპოლდი-1), 4:3 სალივანი-18 (დუმონი-31).

**ბაფალო-ბოსტონი 7:1**

2:1, 4:0, 1:0

გოლები: 1:0 ვანეკი-25 (პომინვილი-19, აფინოგენოვი-32), 2:0 დრური-27 (პაეტში-10, ჰეხტი-14), 2:1 გ. მიურეი-24 (სავარი-45, ხარა-24), 3:1 ბრიერი-19 (ბ. კემპბელი-26), 4:1 გოსტადი-9 (დ. რუა-25, აფინოგენოვი-33), 5:1 პომინვილი-22 (ლიდმანი-12, დ. რუა-26), 6:1 ბრიერი-20 (აფინოგენოვი-34, ვანეკი-26), 7:1 ბრიერი-21 (ლიდმანი-13, ჰეხტი-15).

**კაროლინა-ტორონტო 1:4**

1:1, 0:0, 0:3

**გოლები**: 0:1 ბატალია-8 (პოლი-10, ი. უაიტი-17), 1:1 რეი უიტნი-21 (საიდენბერგი-5, ბრინდამორი-41), 1:2 ანტროპოვი-7 (სუნდინი-25, ტ. კაბერლე-33), 1:3 ანტროპოვი-8 (მაკეიბი-28), 1:4 ტ. კაბერლე-9 (კილგერი-10, ბატალია-13).

**სენტ ლუისი-მინესოტა 2:5**

0:1, 1:0, 1:4

გოლები: 0:1 ბუშარი-12 (ნუმელინი-12, მ. კოივუ-22), 1:1 ბრიუერი-3 (დვორაკი-19, ჩაიანეკი-19), 1:2 ბუშარი-13 (როლსტონი-19, ვალცი-7), 1:3 დემიტრა-12 (ნუმელინი-13, როლსტონი-20), 2:3 მაკლემანი-5 (ტკაჩუკი-20), 2:4 დემიტრა-13 (პერიში-13, გაბორიკი-6), 2:5 დუპუი-9 (ვალცი-8, ბერნსი-10).

**ფილადელფია-ტამპა ბეი 3:4 (ბ)**

0:0, 2:2 1:1, 0:0

გოლები: 0:1 სენტ ლუისი-31 (კრეიგი-11, ბოილი-30), 1:1 მ. რიჩარდსი-2 (ჟიტნიკი-14, პიტკანენი-24), 2:1 ჯ. კარტერი-7 (განიე-14, გოტიე-2), 2:2 ფედოტენკო-11 (კარლსონი-4, რეინჯერი-19), 3:2 ფორსბერგი-9 (პიტკანენი-25), 3:3 ლეკავალიე-31 (კუბა-20, სენტ ლუისი-37).

**ბულიტები გაიტანეს**: ლეკავალიე (ტამპა ბეი), ბ. რიჩარდსი (ტამპა ბეი).

**ატლანტა-ნიუ ჯერსი 5:4 (ბ)**

2:1, 1:2, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 კოვალჩუკი-28 (ვიაჩ. კოზლოვი-34, დე ვრისი-14), 2:0 კოვალჩუკი-29 (ვიაჩ. კოზლოვი-35, მარიან ჰოსა-35), 2:1 ჯონტა-24 (ლანგენბრუნერი-17, გომესი-30), 2:2 ელიაში-17 (რაფალსკი-30, ლანგენბრუნერი-18), 2:3 პარიზე-18 (ლანგენბრუნერი-19, რაფალსკი-31), 3:3 ჰაველიდი-3, 4:3 მეტროპოლიტი-11 (მაკარტი-10, ვიაჩ. კოზლოვი-36), 4:4 მადენი-7 (ბრილინი-17).

**ბულიტები გაიტანეს**: ვიაჩ. კოზლოვი (ატლანტა), ჯონტა (ნიუ ჯერსი), მარიან ჰოსა (ატლანტა).

**კალგარი-ლოს ანჯელესი 4:1**

0:0, 2:0, 2:1

გოლები: 1:0 კონროი-6 (ტანგეი-32, ამონტე-15), 2:0 მოსი-6 (ფანოფი-22, ჰუსელიუსი-23), 2:1 კამალერი-20 (კოპიტარი-32, რ. ბლეიკი-12), 3:1 იელი-4 (ნილსონი-6, ფრიზენი-4), 4:1 კონროი-7 (ტანგეი-33, მოსი-3).

**ვანკუვერი-კოლამბუსი 2:3 (ბ)**

1:2, 1:0, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 ე. კარტერი-9 (სვიტოვი-8, მოდინი-12), 1:1 დ. სედინი-19 (კრაიჩეკი-9, ლინდენი-6), 1:2 ფრიტშე-12, 2:2 ს. სალო-9 (ბ. მორისონი-16, ნესლუნდი-24).

**ბულიტები გაიტანეს**: ვიბორნი (კოლამბუსი), ბ. მორისონი (ვანკუვერი), ჟერდიოვი (კოლამბუსი).

**ოტავა-ვაშინგტონი 3:2**

2:0, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 ალფრედსონი-18 (ჰიტლი-36, პრისინგი-24), 2:0 სპეცა-20 (შეფერი-20, ფიშერი-16), 2:1 ოვეჩკინი-32 (ემინგერი-12, ჰიუვარდი-7), 3:1 ჰიტლი-31 (რედენი-17, სპეცა-27), 3:2 ბრაშირი-2 (ბიჩი-13, კლიმერი-9).

**პიტსბურგი-ფლორიდა 3:0**

1:0, 2:0, 0:0

გოლები: 1:0 ულეტი-10 (მალკინი-29, ჯ. სტაალი-6), 2:0 მური-6 (ი. რუუტუ-7, პეტროვიცკი-2), 3:0 რაიან უიტნი-9 (ულეტი-19, კროსბი-54).

**აილენდერსი-დეტროიტი 3:4 (ო)**

1:0, 2:0, 0:3, 0:1

გოლები: 1:0 სილინჯერი-16 (ჰანტერი-8, ჰილბერტი-11), 2:0 ბეიტსი-4 (პარკი-10), 3:0 ჯ. ბლეიკი-26, 3:1 კრონვალი-1 (დაციუკი-34, ზეტერბერგი-23), 3:2 კლირი-19 (ლიდსტრიომი-32, მარკოვი-8), 3:3 ჰოლმსტრიომი-16 (ლიდსტრიომი-33, კრონვალი-14), 3:4 ზეტერბერგი-20 (ლიდსტრიომი-34, მარკოვი-9).

**სან ხოსე-დალასი 2:3 (ბ)**

1:0, 1:0, 0:2, 0:0

გოლები: 1:0 პაველსკი-11 (მ. მიხალეკი-23, ვლასიჩი-14), 2:0 მარლო-25 (ქლოუ-9, ჯ. ტორნტონი-49), 2:1 რიბეირო-7, 2:2 ბუშე-14 (ლინდროსი-20, რიბეირო-26).

**ბულიტები გაიტანეს**: ქლოუ (სან ხოსე), ზუბოვი (დალასი), პაველსკი (სან ხოსე), ი. იოკინენი (დალასი), რიბეირო (დალასი).

## სამთო თხილამურები

მსოფლიო თასი

# შლადმინგის მეფე

სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ბოლო რბოლას ავსტრიის სამთო კურორტმა შლადმინგმა უმასპინძლა, სადაც სლალომში ბადალი არ ჰყავდა ბროლის დიდი გლობუსის მფლობელს, ავსტრიელ **ბენიამინ რაიხს**, ვინც ორი ცდის ჯამში ყველაზე სწრაფი და სტაბილური იყო (ორივე ცდაზე მეორე შედეგი ჰქონდა).

რაიხმა მსოფლიოს თასზე თავისი პირველი გამარჯვება სწორედ შლადმინგში, სლალომის რბოლაში იზეიმა (1999 წელს), ახლა კი იქაურ ტრასაზე (პლანაი) უკვე ოთხი გამარჯვება დაუგროვდა. მეორე ადგილზე გავიდა წინა ორი სლალომის მომგები შვედი **იენს ბიგმარკი**, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ შესანიშნავ ფორმაში იმყოფება. მესამეზეა ავსტრიელი **მარიო მატი**, ვისაც პირველი ცდის შემდეგ საუკეთესო დრო ჰქონდა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო. არადა, პირველი ცდის შემდეგ, ის რაიხს 0.07 წამს, ბიგმარკს კი თითქმის ნახევარ წამს უგებდა.

*"პლანაი ძალიან ძნელი ტრასაა. ყოველთვის მიჭირს მისი უშეცდომოდ გავლა, მაგრამ როგორღაც, მობილიზებას ვახერხებ და ხშირადაც ვიგებ ხოლმე. ამიტომ, მიყვარს აქ გამოსვლა. გამარჯვება ყოველთვის სასიხარულოა, მაგრამ როცა ძნელ პაექრობაში მოიგებ, ორმაგად ბედნიერად გრძნობ თავს"*, - ნარბოლევს განაცხადა რაიხმა, ვინც სეზონი ულიმღამოდ კი დაიწყო, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ფორმაში შევიდა და მსოფლიო თასის აბსოლუტურ კლასიფიკაციაშიც მეორეზე გადაინაცვლა. ახლა მას 705 ქულა აქვს და 75 ქულით ჩამორჩება ლიდერს, ნორვეგიელ **აქსელ ლუნდ სვინდალს**.

როგორც იქნა, სლალომის ორივე ცდის დასრულება შეძლო ამერიკელმა **ბოდე მილერმა**. შეგახსენებთ, რომ თითქმის ერთი წელია, რაც მილერი სლალომის ფინიშს ვერ აღწევდა. ამის გამო, არეს (შვედეთი) მსოფლიო ჩემპიონატზე აშშ-ის სლალომისტთა ნაკრებში მისი მოხვედრაც სათუო გახდა. მაგრამ შლადმინგის შემდეგ, ის ნაკრებში მაინც შეიყვანეს.

არადა, მილერმა ორივე ცდაზე უამრავი შეცდომა დაუშვა და საბოლოოდ, კლასიფიცირებულთა შორის ბოლო, 25-ე ადგილი დაიკავა. ცნობისთვის, რაიხთან მან 9 წამზე მეტი წააგო. არადა, ერთ დროს მილერი სწორედ სლალომის სპეციალისტად იყო მიჩნეული.

ტექნიკურ დისციპლინებში არასტაბილური გამოსვლების მიუხედავად, მილერი იმედოვნებს, რომ არეში სლალომის ოქროს მედლისთვის ბრძოლას შეძლებს. და თუ ეს შეძლო, მაშინ სამთო-სათხილამურო სპორტში გახდება პირველი მამაკაცი მოთხილამურე, ვინც ხუთივე დისციპლინაში მოიპოვებს ოქროს მედლებს. შეგახსენებთ, რომ წინა ჩემპიონატზე ის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა დაშვებასა და სუპერგიგანტში, იმის წინ კი ოქროს მედლებს კომბინაციასა და გიგანტურ სლალომში დაეუფლა. სხვათა შორის, შესაძლოა მან დაშვებაში ტიტულის შესანარჩუნებლად არც კი იბრძოლოს, რადგან მიაჩნია, რომ არეს ტრასა "ოლიმპია" მუხლებისთვის ტრავმასაშიშია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

შლადმინგი (ავსტრია).
კაცები. სლალომი

**1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1:42.55 (50.40, 52.15); 2. იენს ბიგმარკი (შვედეთი) 1:42.93 (50.82, 52.11); 3. მარიო მატი (ავსტრია) 1:43.15 (50.33, 52.82); 4. მარკ ბერთო (შვეიცარია) 1:44.48 (51.51, 52.97); 5. ჯორჯო როკა (იტალია) 1:44.52 (50.96, 53.56); 6. მანფრედ მიოლეგი (იტალია) 1:44.58 (50.98, 53.60); 7. ანდრე მირერი (შვედეთი) 1:44.60 (51.49, 53.11); 8. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 1:44.77 (52.08, 52.69); 9. მანფრედ პრანგერი (ავსტრია) 1:44.81 (51.70, 53.11); 10. მარტინ ჰანსონი (შვედეთი) 1:44.89 (52.53, 52.36...**

აბსოლუტური კლასიფიკაცია

**1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 780; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 705; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 677; 4. ბოდე მილერი (აშშ) 640; 5. პეტერ ფილი (იტალია) 570; 6. მარიო მატი (ავსტრია) 440; 7. იენს ბიგმარკი (შვედეთი) 439; 8. კალე პალანდერი (ფინეთი) 429; 9. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 407; 10. მარკ ბერთო (შვეიცარია) 395...**



რაიხი პლანაის ფერდობზე ასპარეზობისას

## TV სპორტი

**1 თებერვალი. ხუთშაბათი**

**I არხი**

**00:00** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. სევილია-ბეტისი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-პარმა.
**09:45** მძლეოსნობა. სეზონის წინ.
**10:00** სპორტინფორმი.
**10:10** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:10** სპორტინფორმი.
**11:25** ფეხბურთი. შოტლანდიის ლიგის თასი. 1/2 ფინალი. სტ. ჯონსტონი-ჰიბერნიანი.
**13:10** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვერდერი.
**14:55** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. ბარსელონა-სარაგოსა.
**16:40** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:35** სპორტდოსიე.
**17:44** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ბლუმინგი-სანტოსი.
**19:34** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**20:30** სპორტინფორმი.
**20:40** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ტორონტო.
**22:25** სპორტინფორმი.
**22:35** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**23:10** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**00:00** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. სევილია-ბეტისი (LIVE).
**01:51** სპორტინფორმი.
**02:01** კრივი. ნოკაუტების დრო.
**02:50** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ჰერტა.
**04:33** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ფლორიდა-ვაშინგტონი (LIVE).
**07:08** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.

**EUROSPORT**

**10:30** ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
**11:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სწრაფდაშვება. კორტინა დ'ამპეცო. იტალია.
**11:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სუპერ-გიგანტი. სან სიკარიო. იტალია.
**12:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ესტაფეტა. ობერჰოფი. გერმანია.
**13:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია.
**13:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია.
**14:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. უნგრეთის გრან-პრი.
**15:00** სნუკერი. მალტის თასი. პორტომასო. მალტა.
**17:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მას-სტარტი. რუპოლდინგი. გერმანია.
**17:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. მას-სტარტი. რუპოლდინგი. გერმანია.
**18:00** სნუკერი. მალტის თასი. პორტომასო. მალტა (LIVE).
**21:00** ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ვარშავა. პოლონეთი.
**22:00** სნუკერი. მალტის თასი. პორტომასო. მალტა (LIVE).
**01:00** პოკერი. ევროპის მასტერსი. დუბლინი. ირლანდია.
**02:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**03:00** ექსტრემალური სპორტი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. სანკტ-პეტერბურგი. რუსეთი.
**13:00** კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ალბა (გერმანია)-რეალი (ესპანეთი).
**14:00** ახალი ამბები.
**14:45** ველოსპორტი. კატარის ტური. V ეტაპი. (LIVE).
**16:00** ლაკროსი.
**17:00** კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ალბა (გერმანია)-რეალი (ესპანეთი).
**18:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ფრისტაილი. მსოფლიო თასი. ფლენი. საფრანგეთი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. სანკტ-პეტერბურგი. რუსეთი.
**23:00** კიკ-ბოქსინგი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:45** ფრისტაილი. მსოფლიო თასი. დირ უოლი. აშშ.
**02:15** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი. ჩემპიონატი** | |
| საუთჰემპტონი-უენდი | 2:1 |
| ვესტ ბრომვიჩი-პლიმუტი | 2:1 |
| **I ლიგა** | |
| კარლაილი-ნოტინგემი | 1:0 |
| ბრისტოლი-ჩელტენემი | 0:1 |
| **ინგლისის ლიგის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| არსენალი-ტოტენემი | დ.დ. 3:1 (2:2) |
| **იტალიის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| რომა-მილანი | 3:1 (2:2) |
| **ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები** | |
| დეპორტივო-ვალიადოლიდი | 4:1 |
| ხეტაფე-ოსასუნა | 3:0 |
| ბარსელონა-სარაგოსა | 0:1 |
| **საფრანგეთის თასი. 1/8 ფინალი** | |
| ნანტი-ლილი | დ.დ. 1:0 |
| მონტპე-ბორდო | 1:1, 2:2 პენ. 5:4 |
| კლერმონი-ლანსი | 1:4 |
| მარსელი-ლიონი | 2:1 |
| **შოტლანდიის ლიგის თასი. 1/2 ფინალი** | |
| სტ.ჯონსტონი-ჰიბერნიანი | 1:1 დ.დ. 1:3 |
| **თურქეთის თასი** | |
| ტრაბზონი-გაზიანთეპი | 1:0 |
| ბეშიქთაში-მანისა | 4:0 |
| **საბერძნეთის თასი. 1/4 ფინალი** | |
| ქსანტი-ილისიაკოსი | 1:0 |
| ლარისა-კერკირა | 2:0 |
| ოლიმპიაკოსი-იანინა | 2:0 დ.დ. 2:1 |
| პანათინაიკოსი-პაოკ | 2:1 დ.დ. 3:1 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ცსკა-ულქერი | 85:66 |
| პო ორტეზი-ქალგირისი | 68:56 |
| ნაპოლი-ბენეტონი | 62:64 |
| არისი-ბარსელონა | 72:72 ო.ტ. 75:82 |
| **ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი** | |
| ალბა-რეალი | 65:74 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-ილვესი | 2:0 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. დელრეი ბიჩი** | |
| ბლეიკი-კენდრიკი | 6:3, 6:2 |
| გრეული-სვიტინგი | 2:6, 2:6 |
| გარსია ლოპესი-პლესი | 6:3, 7:6 |
| შუტლერი-ფალა | 4:6, 3:6 |
| მაიერი-პაველი | 6:3, 3:6, 6:2 |
| კიმი-ლევინი | 2:6, 2:6 |
| კენდრიკი-ჯენკინსი | 6:4, 6:4 |
| **ATP. ვინია დელ მარი** | |
| გაუდიო-ბერლოკი | 2:6, 2:6 |
| მონტანიესი-კუერტენი | 6:1, 6:4 |
| რამირეს იდალგო-ჰარტფილდი | 6:4, 6:1 |
| ვასალო არგელო-პაშანსკი | 7:6, 6:4 |
| ჰორნა-მელო | 6:3, 6:1 |
| ბერლოკი-ნავარო პასტორი | გადაიდო |
| მასუ-ფრაილე | 6:3, 6:2 |
| როიტმანი-საბალეტა | 6:4, 6:4 |
| **ATP. ზაგრები** | |
| ლოპესი-კუბეკი | 6:2, 6:7, 4:6 |
| ვლიგენი-ლოდრა | 7:6, 6:7, 3:6 |
| ლუბიჩიჩი-კარანუშიჩი | 6:4, 6:3 |
| კლემანი-ჩილიჩი | 6:4, 6:1 |
| სიოდერლინგი-პეია | 5:7, 6:4, 2:6 |
| ბაღდატისი-დანჩევიჩი | 7:6, 6:3 |
| **WTA. ტოკიო** | |
| ჟენგი-მატეკი | 6:2, 6:1 |
| ნაკამურა-სანტანჯელო | 5:7, 0:6 |
| ლიხოვცევა-დულკო | 6:3, 6:2 |
| ზვონარევა-სტოსური | 4:6, 7:6, 1:6 |
| პეერი-კირილენკო | 2:6, 3:6 |
| პრატი-ჰინგისი | 1:6, 5:7 |
| სუგიამა-ვესნინა | 6:4, 6:2 |

# ევროპელი ამერიკაში

**ვლადიმერ სტეფანია**

1998 წელს ჩამოვედი. მას შემდეგ თითქმის 9 წელი გავიდა, ბევრი ვნახე, ვისწავლე, აქაურ ცხოვრებასაც შევეჩვიე და როცა "ლელოს" ჟურნალისტმა ამერიკაში მოთამაშე ევროპელებზე საუბარი მთხოვა, სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან ვიცი, რომ NBA-ში ქართველობა მხოლოდ ზაზა ფაჩულიათი არ შემოიფარგლება - მოდის არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელსაც ადრე თუ გვიან ამერიკული კალათბურთისა და ადათ-წესების წინაშე მოუწევს წარდგომა. თუკი ჩემი გამოცდილება რამეში გამოადგებათ, მოხარული ვიქნები.

მართალია, სათაურში ზოგადად ევროპელ კალათბურთელს ვგულისხმობ, მაგრამ პირად მაგალითზე ვისაუბრებ და შიგადაშიგ სხვებსაც შევეხები. არა მგონია, რომელიმე ევროპელს ამერიკაში ამდენი პრობლემა დახვედროდეს, რამდენიც - მე.

## ნუ იჩქარებ!

**"სიეტლში" მისვლას (1998) რომ ვიხსენებ, ახლა ვხვდები, რომ NBA-ში კარიერის უარეს დასაწყისს ვერც მოიგონებ. დავიწყოთ იქიდან, რომ აქ კაცი არ დამხვდა, რომელიც ჭკუას დამარიგებდა და ადაპტაციას გამიადვილებდა. სრულიად უცხო გარემოში მოხვედრილ 22 წლის კაცს ძალიან გამიჭირდა.**

**მეორე პრობლემა** NBA-ში წასვლის ნაჩქარევად გადაწყვეტა იყო. ამაზე ბევრი უნდა დაფიქრდეს და სურვილებს გონებით აჯობოს. "ოლიმპიაში" ჩატარებული ურთულესი სეზონის შემდეგ მუხლები მაწუხებდა და დასვენება მჭირდებოდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, უნდა ჩავსულიყავი და მევარჯიშა, რადგან უცნობი კალათბურთელისთვის ყურადღება მიექციათ.

ტრაბახში თუ არ ჩამომართმევთ, "სიეტლის" პრეზიდენტის უოლი უოკერის გამონათქვამს გავიხსენებ - სტეფანია 28-ედ კი არა, დრაფტის პირველ ხუთეულში უნდა მოხვედრილიყოო. ეს მას შემდეგ თქვა, რაც საზაფხულო ლიგებში ჩემი თამაში იხილა. ყოველი თამაშიდან 20-ზე ნაკლები ქულით არ გამოვდიოდი. "ოლიმპიასთან" ჩატარებული სეზონის შემდეგ თავს ფორმიდან ამოვარდნის უფლება არ მივეცი. მაგრამ რად გინდა...

**მესამე და მთავარი** პრობლემა "სიეტლში" მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები იყო. გუნდში მწვრთნელი არ მწვრთნელობდა - სიტუაციას გარი პეიტონი და მისი დონის კალათბურთელები აკონტროლებდნენ. წინასწარ სკამისთვის ვიყავი განწირული, მაგრამ შემცვლელიცაა და შემცვლელიც - "სიეტლში" 7 კაცი თამაშობდა, დანარჩენები კისერს ვიტეხდით, რომ შეცვლაზე რამდენიმე წუთით მაინც შევსულიყავით. გუნდის მექანიზმის მცირე ნაწილადაც რომ ვინმეს მივეჩნიე, გამიფრთხილდებოდნენ და ჩემს ჯანმრთელობას, ბოდიში და ფეხებზე არ დაიკიდებდნენ.

მკითხავთ, როგორ შეიძლება, კლუბში მოთამაშის ჯანმრთელობაზე არ ზრუნავდნენო? გიპასუხებთ - დღეს მუხლების რომ ვმკურნალობ, სწორედ "სიეტლის" ბრალია: თუ გახსოვთ, 1998 წელს NBA-ში ხანმოკლე ლოკაუტი გამოცხადდა, ამიტომ სეზონი გვიან დაიწყო და მხოლოდ ვარჯიშებით გვხოცავდნენ. აზრიანი ვარჯიში რომ ყოფილიყო, კიდევ არა უშავს - დარბაზში ყოველდღიურად დილის 10 საათზე უნდა გამოვცხადებულიყავი და სამი საათის განმავლობაში ვინმესთან ერთი-ერთზე შეუსვენებლივ მეთამაშა. სწორედ მაშინ გადამეტვირთა მუხლები და სეზონის დაწყებიდან ოცდამეერთე მატჩში სერიოზული ტრავმაც მივიღე. მას შემდეგ არაერთი ოპერაცია დამჭირდა და ისე ერთი თამაშიც არ ჩამიტარებია, ფეხი რომ არ მტკიებოდა.

თემას გადავუხვევ და დაინტერესებულ მკითხველს ვეტყვი, რომ ხანგრძლივი დასვენების შემდეგ მარცხენა მუხლი მთლად დამიცხრა. სამაგიეროდ მარჯვენაშია ისეთი დაზიანება, სერიოზულად რომ ვტვირთავ, მისივდება. ვიმედოვნებ, გაზაფხულამდე ყველაფერი წესრიგში იქნება. სხვათა შორის, მარჯვენა მუხლი "პორტლენდში" ყოფნისას დავიზიანე, იქაც მაიძულებდნენ ტრავმირებულს მევარჯიშა.

"პორტლენდი", "სიეტლი", "გოლდენ სტეიტი", "მინესოტა"... თუმცა სჯობს ამ და სხვა კატეგორიის გუნდებს ცალკე ქვეთავი გამოვუყო.




## კარგი და ცუდი კლუბი

**ჩემი მაგალითი ორი მიზეზით მოვიყვანე. პირველი - მინდოდა ახალგაზრდებისთვის მეჩვენებინა, რომ NBA სამოთხე არ არის და ყველაფრისთვის წინასწარ მზად უნდა იყვნენ.**

**მეორე** - საკუთარ მაგალითზე დეტალურად დავახასიათე ამერიკული კლუბების ერთი ჯგუფი. საქმეს "სიეტლის" მსგავსად უდგებიან "პორტლენდში", "მინესოტაში" და "გოლდენ სტეიტში". ამ კლუბებში ხელმძღვანელობას საქმე არასწორად აქვს დაყენებული - დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს. და თუ რომელიმე მწვრთნელი კვერცხს სწრაფად არ მოიტანს, დაუფიქრებლად ათავისუფლებენ. ამის შიშით კაცი მომავალზე გათვლას არ აკეთებს, 7 წამყვანი კალათბურთელის გარდა არავინ და არაფერი აინტერესებს.

ასეთ გუნდებში ვარჯიშების სისტემაც განსხვავებულია. მწვრთნელი მოედნის ცენტრშია, კალათბურთელები რიგრიგობით სტყორცნიან, ვინც ბურთს მოხსნის, ის ისვრის. ისეთს არაფერს გასწავლიან, რაც შემდეგში გამოგადგება. იცით, ყველაზე მეტად რამ გამაოცა? ვარჯიშები ყოველგვარი გაწელვებისა და გახურების გარეშე იწყებოდა. ასეთი რამ ეზოს კალათბურთშიც არ ხდება. სლოვენიის "ოლიმპიაში" წვრთნა გაწელვის გარეშე რომ დაგეწყო, სერიოზული პრობლემები შეგექმნებოდა, ხოლო "მაიამიში" გაუხურებლად თამაშში ჩართვაზე ხუთიათასდოლარიანი ჯარიმა იყო.

მინდა **ნიკა ცქიტიშვილის** "მინესოტაში" გადასვლის ამბავიც გავიხსენო. ცქიტომ "ვულვზთან" კონტრაქტს ხელი რომ მოაწერა, ვუთხარი, - მანდ საკუთარ თავს თუ არ მიხედე, ინდივიდუალურად არავინ მოგამზადებს-მეთქი. ვიცოდი, ასე მოხდებოდა, რადგან "მინესოტას" მწვრთნელ დუეინ კეისის "სიეტლიდან" კარგად ვიცნობდი. ჯორჯ კარლის სკოლის წარმომადგენელია - 7-8 კაცს ათამაშებს და მოედანზე სხვას მხოლოდ მაშინ გაიყვანს, თუ შვიდეულიდან რომელიმე კისერს მოიტეხს.

ახლა უფრო ჩამოყალიბებული გუნდების კატეგორიას შევეხოთ. "მაიამიში", "ნიუ იორკში", "სან ანტონიოში", "დეტროიტსა" და "ჰიუსტონში" შეიძლება 2 წელი ვერ ითამაშო, მაგრამ არც დროს დაკარგავ - ინდივიდუალურად გამუშავებენ და გრძნობ, რომ უმატებ. ეს კლუბების ხელმძღვანელებსაც აწყობთ, რადგან იციან, რომ ხვალ შეიძლება დასჭირდე და დახმარება გაუწიო. მაგალითად ბოშჩან ნახბარის ამბავი გამოდგება, რომელმაც "ჰიუსტონში" სათადარიგოთა სკამი სამი წელი ხეხა. "როკეტსის" მწვრთნელი სტან ვან განდი "მაიამიში" პატ რაილისთან მუშაობდა, კარგად ვიცნობდი და სლოვენიელი ნახბარის შესახებ ხშირად ვეკითხებოდი. დიდი კალათბურთისთვის ვამზადებთო - მეუბნებოდა. სამი წლის შემდეგ მართლა კარგად ათამაშდა.

მოდით, პატ რაილის კიდევ ერთხელ ვახსენებ. მისი ხელმძღვანელობით "მაიამიში" ვთამაშობდი და სხვაგან ისე არ მიგრძნია ჩემი შესაძლებლობები, როგორც "ჰიტში". იქ მეთორმეტე კაციც კი თავს მნიშვნელოვან ფიგურად მიიჩნევდა.

**მაგრამ, არ გაგიკვირდეთ, თუ ვიტყვი, რომ "მაიამისა" და "სან ანტონიოს" კატეგორიის გუნდებში მოხვედრა ყველასთვის სასარგებლო როდია. შორს წასვლა რად გვინდა, ზაზას ამბავს გავიხსენებ.**

თუ არ ვცდები, თურქეთის ჩემპიონატის ფინალების გამო მან დრაფტის წინ ამერიკაში ჩამოსვლა დააგვიანა, თუმცა სკაუტების თანდასწრებით ნიუ ჯერსისა და ლოს ანჯელესის კემპებს მაინც ჩამოასწრო. ანჯელესში ცუდად ითამაშა და ჩემი აზრით გაუმართლა: შესაძლებლობები სრულად რომ გამოევლინა, "სან ანტონიო" აიყვანდა და 3-4 წლის განმავლობაში კაპიკებზე უნდა ევარჯიშა. თამაშის საშუალება ნაკლებად მიეცემოდა, რადგან მაშინ "სპურზში" როუზი, დანკანი და რობინსონი ირიცხებოდნენ.

ფაჩულიას დრაფტის მერე დავურეკე და ვუთხარი - შენ ჯერ არ იცი, როგორ გაგიმართლა, "ორლანდოში" ნორმალური ცენტრი არ არის და ვერც იყიდიან, რადგან გრანტ ჰილსა და ტრეისი მაკგრეიდის დიდ ფულს უხდიან, სერიოზული მეფარის საყიდლად კი თანხა აღარა აქვთ. ამ სეზონში მინიმუმ 15 წუთს აუცილებლად ითამაშებ-მეთქი.

მალე გამოჩნდა, რომ ზაზას ინდივიდუალურ მუშაობაზე მეტად სათამაშო დრო სჭირდებოდა. ახლა კი "სან ანტონიოში" ერთ-ერთი წამყვან მოთამაშედ გადავა. თუ კლუბი მოისურვებს, რა თქმა უნდა.

## მოედანს მიღმა

**NBA-ში ისეთ დროს მოვხვდი, როცა ევროპელი კალათბურთელები იქ სანთლით იყვნენ საძებარნი. ამერიკაში ვიყავით მე, სტოიაკოვიჩი, ნესტეროვიჩი, თურქანი...**

სამივეს ევროპაშიც გვქონდა შეხება, მაგრამ ამერიკაში ერთმანეთთან ურთიერთობა თითქმის არ გვქონია. მხოლოდ თურქანს ვურეკავდი ხანდახან. აქაური ჟურნალისტებიც ხშირად მეკითხებოდნენ და ქართველებსაც აინტერესებდათ ჩემი და რაშო ნესტეროვიჩის დამოკიდებულება - "ოლიმპიაშიც" ხომ ერთად ვირიცხებოდით...

პირდაპირ ვიტყვი - ნესტეროვიჩი ჩემთან ურთიერთობას ყოველთვის გაურბოდა. ახლაც ვერ ვხვდები, რატომ. ალბათ იმიტომ, რომ პიროვნულადაა ჩაკეტილი ადამიანი. მამამისი, თუ არ ვცდები მეტყევეა, მაგრამ ჩალიჩა კაცია, შვილი მან გაქაჩა - "ოლიმპიადან" ბოლონიის "კინდერში" გადაიყვანა (არც ეს ჩამომართვათ ტრაბახში, მაგრამ "ოლიმპიაში" რაშო მუდმივად ჩემი შემცვლელი იყო). ნესტეროვიჩი ვერც იტალიაში ითამაშებდა, გამართლება რომ არა: "კინდერში" 3 ძლიერი მეფარე დახვდა. მთავარი ცენტრი ჯორჯ ამიჩი იყო (თავის დროზე "იუტაში" თამაშობდა), რომელსაც დანილოვიჩთან ჩხუბი მოუვიდა და იუგებმა ჰომოსექსუალისტობა დასწამეს - გასახდელში ცუდად გვიყურებსო. ამიჩი გუნდიდან გააგდეს და ნესტეროვიჩი მეორე ცენტრი გახდა. შემდეგ შრომისმოყვარეობით ხუთეულსაც მიაღწია და NBA-საც.

ევროპელებზე რა გითხრათ, მაგრამ ბევრ ამერიკელს კარგად ვუგებდი. მაგალითად ზო მურნინგს, რომელმაც დიდი ფული იშოვა, მაგრამ უბრალო კაცად დარჩა. იგი ხშირად მარიგებდა და კიდევ 2-3 კალათბურთელთან ერთად რესტორნებშიც დავდიოდით.

ისევე როგორც მე, ბევრი ქართველი ამერიკელის ბუნებას თავიდანვე ვერ ამოხსნის. რასაც ახლა ვწერ, შეიძლება გამოგადგეთ. შტატებში ახალჩასულს ერთი ფაქტი ძალიან მეუცნაურა - სან დიეგოში, პორტლენდში და ესეთ, შედარებით პატარა ქალაქებში ყველა თავაზიანად გეპყრობა და გიცინის, ხოლო მეგაპოლისებში, ჩიკაგოში, ნიუ იორკში, სან ფრანცისკოში - პირიქითაა. ამის მიზეზის გასარკვევად 2-3 წელი დამჭირდა. საქმე ისაა, რომ დიდ ქალაქებში ბევრი უცხოელია და ყველა საქმითაა დაკავებული. ხოლო, თუ გგონიათ, რომ ამერიკულ პატარა დასახლებებში ძალიან უყვარხართ და იმიტომ გიცინიან, ძალიან ცდებით. ესაა ტოტალური სიყალბე - რაც მეტად გიღიმიან, მით მეტად მიაჩნიხართ არარაობად. ამერიკელების უმეტესობას ერთნაირი რეფლექსი აქვს: სხვანაირად რომ გაცვია, აქცენტით საუბრობ და ბევრ ჰამბურგერს არ მიირთმევ, ხალხს რატომღაც სულელი ჰგონიხარ. ეს, ალბათ უმეცრების და ქედმაღლობის ბრალია. მაგალითად, თუ სხვაგან ასეთი ხალხი 90 პროცენტს შეადგენს, სიეტლში 50/50-ზეა. ამიტომაც ვცხოვრობ ამ ქალაქში. მომწონს მაიამიც, მაგრამ ის ამერიკული ქობულეთია - 12 თვე კურორტზე ხომ ვერ იცხოვრებ.

**მიუხედავად ამისა, ამერიკა უცხოელს ბევრ შანსს აძლევს. თუ ხელს გაანძრევ, კარგადაც იცხოვრებ. შეიძლება, პარადოქსია, მაგრამ აქ თავს ყველაზე უკეთ მაინც ემიგრანტები გრძნობენ - ირანელები, ებრაელები, იტალიელები... რომლებიც არც ამერიკულ სულელურ ტელეგადაცემებს უყურებენ, მყუდრო ოჯახებიც აქვთ და "მაყუთსაც" აკეთებენ.**

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10[a],
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა

ეროვნული ბიბლიოთეკა